



საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა
ადმინისტრაციულ საქმეებზე

(2020 წელი)

კრებული მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური
განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ

შემდგენელი

ლიანა ლომიძე

ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების
განყოფილების მთავარი კონსულტანტი

რედაქტორი

ნინო ძიძიგური

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი,

ფილოლოგის დოქტორი

საქართველოს უზენაესი სასამართლო

2021

Contents

შესავალი	8
1. შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები	9
1.1. ძალოვან სტრუქტურებთან დაკავშირებული დავები	9
1.1.1. შინაგან საქმეთა სამინისტრო	10
სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელის კადრების განკარგულებაში გადაყვანისა და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება	10
საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება	11
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება	13
1.1.2. თავდაცვის სამინისტრო	14
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ინსპექტირების სამმართველოს უფროსის მოადგილის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება	15
საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სასწავლო ცენტრის ინსპექტორის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერებასთან დაკავშირებით სარჩელის ხანდაზმულობა	16
თავდაცვის სამინისტროს ყოფილი საჯარო მოსამსახურის მიერ მიუღებელ სახელფასო თანხისა და კვების კომპენსაციის ხანდაზმულობა	19
თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლისათვის გაუცემელი ხელფასის, პრემიის და კვების კომპენსაციის ერთმანეთისაგან გამიჯნა	20
1.2. ადგილობრივი თვითმმართველობის/ მმართელობის ორგანოები	21
მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება	21
მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი	23
მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნისას გასაუბრების შედეგების გათვალისწინების აუცილებლობა	24
მუნიციპალიტეტის გამგეობის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა ჩატარებული კონკურსის შედეგების მიხედვით	25
მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელის მიერ მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება	27

სადაცო თანამდებობის ვაკანტურობის საკითხის მნიშვნელობა პირდაპირ (უშუალო) თანამდებობაზე აღდგენისათვის	28
ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, განაცდური ხელფასის ანაზღაურება.....	29
მობილობის წესის დაცვის აუცილებლობა, ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა.....	30
1.3. სხვა სახის ადმინისტრაციული ორგანოებიდან სამუშაოდან გათავისუფლება.....	31
1.3.1 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	31
1.3.2. აღსრულების ეროვნული ბიურო.....	33
პრემიის სახით გაცემული თანხის ხელფასის დანამატად მიჩნევა და მისი იძულებითი წესით ამოღება.....	33
2. საჯარო რეესტრში უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავები	34
2.3. მიწის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში	35
მიწის რეგისტრაციის დაზუსტებული და დაუზუსტებელი რეგისტრაციის სამართლებრივი მინიშვნელობა.....	35
მიწის დაუზუსტებელი მონაცემებით აღრიცხული მიწის ნაკვეთის საზღვრების დაზუსტება და ახალ კოორდინატთა სისტემაში რეგისტრაცია.....	36
საჯარო რეესტრის მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონიერება	37
მიწის ნაკვეთების იდენტურობის დამდგენი ოქმის კანონიერება	39
მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს სახელზე განხორციელებული რეგისტრაციების მართლზომიერება	40
მიწის მიღება-ჩაბარების აქტი, როგორც საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის საფუძველი	42
2.4. უძრავი ქონების რეგისტრაციის კანონიერება	43
სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება ან რეგისტრაციაზე უარის თქმა	43
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგნტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების გადამოწმების უფლებამოსილება.....	45
რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის საფუძველი.....	46
2.4.1. შენობა-ნაგებობისა და მისასვლელი გზის რეგისტრაციის საფუძველი	46
საჯარო რეესტრში წარდგნილი სასამართლო გადაწყვეტილების სარეგისტრაციო დოკუმენტად მიჩნევა	47
საერთო სარგებლობის გზის მესამე პირთა საკადასტრო საზღვრებიდან გამოთავისუფლება.....	48
მისასვლელი გზის რეგისტრაციის კანონიერება	49
3. მიწის კანონმდებლობიდან გამომდინარე აქტების კანონიერება	50

სადაც მიწის ნაკვეთის ფლობა-სარგებლობის ფაქტი, როგორც საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი	50
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებაში გადაცემულ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება	52
მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი	53
თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება.....	54
თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის საკუთრების აღიარება მაგისტრალური მილსადენის დაცვის ზონაში	56
მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი	57
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებაში გადაცემულ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება	58
თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი	59
მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება და რეგისტრაცია.....	61
მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისა და ყოველი მომდევნო რეგისტრაციების ბათილად ცნობა	63
4. სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე დავები.....	65
უნებართვო მშენებლობის ობიექტის დემონტაჟის ვალდებულების დაკისრების კანონიერება.....	65
უნებართვო მშენებლობის გამო დაკისრებული ჯარიმისგან გათავისუფლების საფუძველი	67
სამშენებლო დავის გამო პენსიონერზე დაკისრებული ჯარიმის გაუქმების საფუძველი	67
სამშენებლო სამართალდარღვევის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები	69
სოციალურად დაუცველ და დევნილ პირებზე შედაგათის გავრცელება სამშენებლო სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას.....	70
სოციალურად დაუცველ პირზე დაკისრებული ჯარიმის გადახდისაგან გათავისუფლება	72
უნებართვოდ აშენებული კაპიტალური შენობა-ნაგებობის დემონტაჟისა და დაჯარიმების შესახებ აქტების კანონიერება	73
მშენებლობის ნებართვის მოპოვება სანაპირო ზოლისთვის უსაფრთხო სამშენებლო პროექტის ფარგლებში.....	74
უნებართვო სამშენებლო სამუშაოების სუბიექტის დადგენის მნიშვნელობა სამართალდარღვევის სწორი კვალიფიკაციისთვის	76
მშენებლობის მიზნით გადაცემულ და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების აღრიცხულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის აკრძალვის კანონიერება	77
ნებართვის გარეშე გამოჭრილი ღიობების ლეგალიზაცია	78
5. საგადასახადო დავები	79

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილება შეცვალოს სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაცია სათანადო პირობების არსებობისას.....	79
გასვლითი საგადასახადო შემოწმების მიმღინარეობის კანონიერება81	
პასუხისმგებლობა საგადასახადო სამართალდარღვევისათვის.....82	
გადასახადის უკანონოდ დაბეგვრილი თანხის უკან დაბრუნება84	
საგადასახადო ორგანოს ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობა85	
საგადასახადო შემოწმების აქტისა და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა87	
საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისას არაპირდაპირი მეთოდის გამოყენება88	
6. სოციალური დავები 89	
6.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფა90	
6.2. დევნილებზე ქულების მინიჭება.....91	
საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე დევნილი ოჯახისათვის მინიჭებული ქულების შემცირების კანონიერება91	
6.3. ეკომიგრანტების განსახლების საკითხი.....92	
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულისთვის საცხოვრებელი სახლის გადაცემის წინაპირობები.....92	
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულისთვის საცხოვრებელი სახლის გადაცემის წინაპირობები.....94	
6.4. სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული დავები.....95	
სოციალური დახმარების შეწყვეტის კანონიერება95	
მიუღებელი სოციალური სუბსიდიის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობა96	
6.5. საპენსიო დავები.....97	
პენსიის შეწყვეტის კანონიერება; მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველი.....97	
სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით წელთა ნამსახურების ანგარიშის შედგენა და სისიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში გადაგზავნა98	
მიუღებელი პენსიის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერება100	
7. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები 101	
7.1. სახელმწიფო ქონების პრივატიზება.....101	
სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერების შეფასება.....101	
სადაცო უძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების კანონიერება103	

7.2. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის გამო	104
სამეწარმეო საქმიანობისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერად სარგებლობისათვის შესაბამისი საფასურის გადახდა	104
სამხედრო პირის მიმართ კონტრაქტის დარღვევის გამო დაკისრებული შექსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება	105
საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული და არამიზნობრივად გახსარჯული საგრანტო თანხის უკან დაბრუნების საფუძველი	106
ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე	107
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მისი მოსამსახურის მიერ განხორციელებული ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრების ფარგლები	107
8. სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დავები	109
აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მოვალისგან ამოღებული თანხის განაწილების კანონიერება	109
იმულებითი აუქციონის შეჩერებისა და შეწყვეტის დაუშვებლობა	111
მომრავი ქონების საჯარო აუქციონის გზით განკარგვის კანონიერება	112
ხანდაზმულობის მოტივით სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისა და სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების კანონიერება	114
— „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტები	114
ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აღმასრულებელმა უნდა განსაზღვროს მოთხოვნათა ხანდაზმულობის საკითხი მატერიალური სამართლის მიხედვით; ხანდაზმულია თუ არა მოთხოვნა, უნდა დადგინდეს ხანდაზმულობის დამადასტურებელ და გამომრიცხავ გარემოებათა დამდგენი მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის გზით.	114
ხანდაზმულობის მოტივით სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების კანონიერება	115
9. სხვა კატეგორიის დავები	117
საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება	117
შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა	119
სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება	120
სისიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურებისთვის ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნისა და ჯარიმის დაკისრების კანონიერება	121
კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის ლანდშაფტურ-სარეკორდო ზონის სტატუსის მინიჭების კანონიერება	123
უმაღლესი განათლების მიღების ფაქტის აღიარება სასამართლოს მიერ	124

10. პროცესუალურ-სამართლებრივი საკითხები	126
გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი	126
დასკვნა	127

შესავალი

სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამართლებრივი ნორმების განმარტების, მათი ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებისთვის. სასამართლომ უნდა გამოიყენოს ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში.

განზოგადებულ მასალაში გადაწყვეტილებები დალაგებულია თემატურად, ყოველ მათგანს წინ ერთვის მცირე განმარტება, რაც ზელს შეუწყობს მოსამართლეებს დასაბუთების ხარისხის ამაღლებასა და ადმინისტრაციული სამართლით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უკეთ გაცნობაში.

აღნიშნული სასამართლო პრაქტიკის მასალის სამიზნე ჯგუფი არის შიდა მომხმარებელი – მოსამართლეები და მოსამართლის თანაშემწევები, სასამართლო სისტემაში მომუშავე პირები, ადვოკატები, საჯარო მოხელეები, საზოგადოების წევრები და ა.შ.

ჩვენს მიერ შესწავლილია და განზოგადებულია საკასაციო პალატის მიერ 2000 წელს არსებითად განხილული სხვა და სხვა კატეგორიის საქმეები.

	2019 წელი	2020 წელი
სულ	947 საკასაციო საჩივარი	995 საკასაციო საჩივარი
განხილულია		
არსებითად	56 საქმე	89 საქმე
განხილულია		
სულ		
მიღებულია	40 საქმე	50 საქმე
აზალი		
გადაწყვეტილება		
გაუქმდა	და 8 საქმე	21 საქმე
დაბრუნდა		

ზელაზალი
განხილვისათვის

დატოვებულია 8 საქმე
უცვლელად 18 საქმე

ამდენად, 2020 წელს საკასაციო პალატის მიერ გაუქმდა 71 საქმე, მაშინ როდესაც 2019 წელს გაუქმდა სულ 48 საქმე.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივრების დაშვება და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე მსჯელობა გამოიწვია განსაკუთრებული სპეციფიკით გამორჩეულმა დავებმა, როდესაც საკასაციო პალატამ ქვედა ინსტანციის სასამართლოს კონკრეტული სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის განმარტებას არ დაეთანხმა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგენისა და უკვე დადგენილი პრაქტიკის განვითარების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია, სადაც საკითხი თავად მოეწესრიგებინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომითი, სოციალური, სამშენებლო, საგადასახადო, ზიანის ანაზღაურებასთან, უძრავი ქონების რეგისტრაციასთან, სააღსრულებო ურთიერთობასთან დაკავშირებული დავები, რომლებზედაც ახალი გადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება-განმარტებითაა განპირობებული.

1. შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2020 წელს შრომით დავებზე არსებითად განხილულია 19 საქმე, მათ შორის ახალი გადაწყვეტილება მიღებულია 13 საქმეზე, გაუქმდა და დაბრუნდა ახალი განხილვისათვის 4 საქმე, უცვლელად დატოვებულია 2 საქმე.

1.1. ძალოვან სტრუქტურებთან დაკავშირებული დავები

ამ კატეგორიის შრომით ურთიერთობებზე სულ განხილულია 8 საქმე, მათ შორის, ახალი გადაწყვეტილება გამოტანილია 4 საქმეზე, გაუქმდა და დაბრუნდა ახალ განსახილველად - 3 საქმე, უცვლელად დატოვებულია - 1 საქმე.

1.1.1. შინაგან საქმეთა სამინისტრო

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელის კადრების განკარგულებაში გადაყვანისა და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება

- „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 34-ე მუხლის „ბ“ პუნქტი

დამტკიცებული ერთიანი საშტატო ნუსხის არარსებობა და საშტატო ერთეულების პარალერულ რეჟიმში შექმნა-გაუქმება, შეუძლებელს ხდის დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი რეალურად შტატების შემცირებას და არსებობდა თუ არა ამ მოტივით საჯარო მოხელის, ამ შემთხვევაში პოლიციელის, სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 5 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-1545 (კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

მოცემულ შემთხვევაში პოლიციელი როგორც საჯარო მოხელე მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში და სამსახურში მისი მიღება მოხდა განუსაზღვრელი ვადით. მას მინიჭებული ჰქონდა სპეციალური წოდებები და დადებული ჰქონდა პოლიციელის ფიცი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პოლიციელის, როგორც საჯარო მოხელის საშტატო ერთეულის დაშვება ან გაუქმება ცალკეულ პირთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე – დაუშვებელია, ვინაიდან აღნიშნული უხეშად ხელყოფს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპებს, რომლის მიზანია სტაბილური და საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნას. საჯარო მოხელის სამსახურში მიღებისა და სამსახურიდან დათხოვნის ცალკეულ პირთან დადებულ გარიგებაზე დამოკიდებულად მიჩნევა სრულად გამორიცხავს

ზემოაღნიშნული პრინციპების დაცვის შესაძლებლობას, საჯარო სამსახურის სტაბილურობის შენარჩუნებას. ასეთ შემთხვევაში, საჯარო მოხელე შეიძენს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სტატუსს ანუ იმ პირის, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნა განხორციელდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 34-ე მუხლის „ბ“ პუნქტის საფუძველზე – შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რასაც თან სდევს შტატების შემცირება. პალატამ აღნიშნა, რომ დამტკიცებული ერთიანი საშტატო ნუსხის არარასებობისას და საშტატო ერთეულების პარალელურ რეუიტში შექმნა-გაუქმებისას, უნდა დადგენილიყო, ჰქონდა თუ არა ადგილი რეალურად შტატების შემცირებას და არსებობდა თუ არა ამ მოტივით საჯარო მოხელის, ამ შემთხვევაში პოლიციელის, სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა ვერ დაადასტურა, რომ არსებობდა მოსარჩელის კადრების განკარგულებაში გადაყვანის, სამსახურიდან გათავისუფლების და შემდგომ დათხოვნის კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება

- „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20.2 მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები;
- „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 41.2 მუხლი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი;

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლის სამსახურში მიღებასა და განთავისუფლებაზე უფლებამოსილი პირია სასაზღვრო პოლიციის უფროსი, „სხვა უფლებამოსილი“ პირი დელეგირების ფარგლებში შეიძლება იყოს პირი, რომელიც დაქვემდებარებულია საზღვრის დაცვის პოლიციის უფროსთან

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 ივლისის განმარტება საქმეზე №პს-1037 (კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

მოცემულ საქმეზე სადაც ბრძანება გამოცემული იყო არაუფლებამოსილი პირის (შინაგან საქმეთა მინისტრის) მიერ, რაც ადმინისტრაციული აქტის არარად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. საკასაციო პალატის განმარტებით, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლის სამსახურში მიღებასა და გათავისუფლებაზე უფლებამოსილი პირია სასაზღვრო პოლიციის უფროსი, „სხვა უფლებამოსილი“ პირი მინისტრი ვერ იქნება, რადგან სხვა უფლებამოსილ პირში იგულისხმება ის პირი, რომელიც დაქვემდებარებულია საზღვრის დაცვის პოლიციის უფროსთან. სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ პირად სასაზღვრო პოლიციის უფროსთან ერთად მითითება სხვა უფლებამოსილ პირზე გულისხმობს იმ პირს, რომელსაც დელეგირებული აქვს პოლიციის უფროსის უფლებამოსილება, მინისტრს აქვს სასაზღვრო პოლიციის უფროსის უფლებამოსილების დელეგირების და არა ამ უფლებამოსილების განხორციელების უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება მოსარჩევის სხვა პოზიციაზე – ტოლფას ან უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანის შეთავაზება ან/და მისი უარი გადაყვანაზე, ხოლო დამსაქმებლის მიერ განხორციელებული ცალმხრივი ნების გამოვლენა – სამსახურიდან გათავისუფლება, არ არის შეუზღუდავი. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი წარმოადგენს სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების გამოცემაზე არაუფლებამოსილ პირს, ვინაიდან საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის (მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის) სამსახურიდან გათავისუფლება განეკუთვნებოდა არა შს მინისტრის, არამედ საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებამოსილებათა რიგს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ არარად ცნო გასაჩივრებული აქტები.

- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“
 - 35.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი;
 - „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილი

პირის მიერ გამოხატული სურვილი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან უნდა ეფუძნებოდეს მის ნამდვილ ნებას, რომელიც თავისუფალია რაიმე სახის გარე ზემოქმედებისაგან. სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადებით მიმართვისას ნების გამოვლენის ნამდვილობის შემოწმების საჭიროება დგება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნების გამოვლენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის აშკარა საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 24 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-898 (კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

შრომით დავაზე, რომელშიც შსს მოსამსახურე სადავოდ ხდიდა პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერებას და აღნიშნა, რომ მან განცხადება დაწერა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ზემდგომი თანამდებობის პირების მხრიდან ზეწოლის განხორციელების საფუძველზე. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოხელეს შეუძლია სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან გათავისუფლების თაობაზე ბრძანების გამოცემადე 14-დღიანი ვადის განმავლობაში მოითხოვოს მისი განცხადების განუხილველად დატოვება, ხოლო ბრძანების გამოცემის შემდეგ პირმა უნდა დაასაბუთოს იძულება, მუქარა ან შეცდომაში შეყვანა. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიმართ ადმინისტრაციის მხრიდან ძალადობა, სამსახურიდან დათხოვნის მუქარა, მოტყუება რაიმე მოტივით, ან განცხადების დაწერა სტრუქტულ მდგომარეობაში.

წინა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება სამსახურიდან გათავისუფლების, სამსახურში აღდგენის და სამსახურში აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის საკითხის გათვალისწინების გარეშე და იძულებითი განაცდურის ოდენობა განისაზღვრა არა მხოლოდ გამოსაცდელი ვადით მუშაობის პერიოდის განსაზღვრული ხელფასის განაკვეთით, არამედ აგრეთვე შტატში ჩარიცხვის შემდგომ დარიცხული ხელფასის განაკვეთის

ოდენობით, მაშინ როდესაც შტატში ჩარიცხვისა და საშტატო განაკვეთის დანიშვნის საკითხი სცილდებოდა დავის საგანს.

1.1.2. თავდაცვის სამინისტრო

სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების თავისებურებები

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი;
- „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები

სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნისა თუ განთავისუფლების საკითხის, სპეციალური კანონმდებლობის ფარგლებში და თავად ამ სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ, ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნაზე პირის მიერ უარის თქმის შემთხვევაში მისი განთავისუფლების შესახებ განსხვავებული რეგულირება, შესაბაბისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, ასევე, დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის საერთაშორისო აქტებთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 9 ივნისის განმარტება საქმეზე საქმე-32(კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

სადაც ბრძანება გათავისუფლების აუცილებელ წინაპირობად ასახელებდა პირის მიერ ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმას, რაც რეალურად სწორედ დასაქმებულის ნების ავტონომიურობის პრინციპის აბსოლუტურ გამოვლინებას უკავშირდება, რაც თავისთავად ვერ აქცევს ამ დანაწესს დასაქმებულის უფლების დამრღვევ ნორმად. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საკანონდებლო ჩანაწერი „თანამდებობის არარსებობა“ ასევე, მოიცავს თანამდებობის არავაკანტურობასაც, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის როგორც სადაც პერიოდში, ისე დღეს მოქმედი რედაქცია, აღარ ითვალისწინებს ნორმას, რომელიც მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენის შესაძლებლობას მიუთითებდა, რა საფუძველსაც მაგალითად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 2017 წლის

1 ივლისამდე მოქმედი რედაქცია (97.1 მუხლი) ითვალისწინებდა. პალატის განმარტებით, სპეციალური კანონმდებლობის არსებობის პირობებში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი არ ვრცელდება საქართველოს თავდაცვის ძალების თანამშრომელზე, გარდა ამისა, სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურებრივი ურთიერთობების საკითხები, მათ შორის, თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხები განისაზღვრება საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესით.“ საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ სადაც აქტის კანონიერების შესაფასებლად არსებითი მნიშვნელობა შეთავაზებული თანამდებობის ძველ თანამდებობასთან ტოლფასობის საკითხის დადგენას გააჩნია, ამ საკითხის გასარკვევად დააბრუნა საქმე ზელაზლა განსახილველად.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ინსპექტირების სამმართველოს უფროსის მოადგილის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტი

პირდაპირ ტოლფას თანამდებობაზე აღსადგენად გადამწყვეტია აღნიშნული პოზიციის ვაკანტურობა. სადაც თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების ფაქტი გამორიცხავს სასამართლოს მიერ იმავე თანამდებობაზე პირის პირდაპირ აღდგენას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-1162 (კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

სადაც აქტის გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეს ანიჭებდა გათავისუფლების უკანონოდ ცნობის, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლისა და თანამდებობრივი სარგოს მოთხოვნის უფლებას, ხოლო იმავე კანონის 127.5 მუხლი სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში ითვალისწინებდა მოხელის დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი უარს ამბობდა აღდგენაზე. საკასაციო პალატის განმარტებით, ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის

შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის 118.3 მუხლის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში.¹ გარდა ამისა, სადავო თანამდებობის ვაკანტურობის საკითხი ერთმანეთისგან განასხვავებს სამუშაოზე აღდგენის პროცედურებსა და მექანიზმს. მოხელის სამუშაოზე აღდგენაში არ შეიძლება მოიაზრებოდეს სადავო პოზიციაზე დანიშნული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, უნდა მოხდეს სამსახურში აღდგენილი მოხელის ტოლფას თანამდებობაზე დანიშნული იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სასწავლო ცენტრის ინსპექტორის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერებასთან დაკავშირებით სარჩელის ხანდაზმულობა

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის საქართველოს კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი) 127.1, 127.2¹ მუხლები

სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის დენის დაწყება უნდა დაუკავშირდეს არა მოსარჩელისთვის აქტის მატერიალური სახით გადაცემას, არამედ იმ მომენტს, როდესაც მან შეიტყო საკუთარი უფლების დარღვევისა და იმ კონკრეტული ფაქტობრივსამართლებრივი წინაპირობების თაობაზე, რაც მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა.

¹ კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან უფლება-მოვალეობებზე ზემოქმედება მისი საყოველთაობის გამოვლენაა და არ არის დამოკიდებული საკანონმდებლო აქტში მისი მოქმედების წესის აღნიშვნაზე. ახალი კანონი ვრცელდება არა მხოლოდ მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, არამედ აგრეთვე მის მაღაში შესვლამდე წარმოშობილ მიმდინარე სამართალურთიერთობაზე, ახალი კანონი ზემოქმედებს უფლება-მოვალეობებზე მისი ძალაში შესვლის თარიღიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 22 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-52 (კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენდა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველ ყოვლისა, უნდა შემოწმდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი და განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ინსტიტუტის შემოღება მიზნად ისახავს უფლების დაცვის ვადების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას, რათა უფლება დაუსრულებლად, განუსაზღვრელად არ იყოს საეჭვოობის ხასიათის მატარებელი. ამასთან, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დროული განხორციელება ემსახურება ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. თავის მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არაჯეროვანი გამოყენება, სასამართლოსათვის ვადის დარღვევით მიმართვა წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს. კერძოდ, მოთხოვნის უფლება აგრძელებს არსებობას, მაგრამ მისი საფუძვლიანობისა და დასაბუთებულობის დადასტურების შემთხვევაშიც კი, ვერ დაექვემდებარება იძულებით აღსრულებას და დარღვეული უფლების აღდგენა მხოლოდ დამრღვევის მიხედულებაზე იქნება დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სასკ-ის 22-ე და 23-ე მუხლებით გათვალისწინებული შეცილებითი და მავალდებულებელი სარჩელის წარდგენისას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცვა წარმოადგენს სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ კრიტერიუმს და ასეთი ვადის დაცვა წარმოადგენს საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობას ქმნის. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს მითითებული ვადების მხარეთა მიერ დაცვის ფაქტი. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების შემთხვევაშიც, მხარემ კანონით დადგენილ ვადაში უნდა მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად. კერძოდ, მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში სასამართლოში გაასაჩივროს სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე

მოქმედება. სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა აითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის გაცნობიდან, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში². საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ საჯარო მოსამსახურეზე გამოყენებული უნდა იყოს არა ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის, არამედ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადები. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ უზრუნველყო აქტის მხარისთვის სათანადო წესით ჩაბარება და ვერ დაძლია აქტის მხარისთვის ჩაბარების მტკიცების ტვირთი, გასაჩივრების ვადის ათვლის დაწყების მომენტის განსაზღვრისთვის, გასათვალისწინებელია სადაცო სამართალურთიერთობის სპეციფიკაც. საკასაციო პალატის განმარტებით, იმ პირობებში, როდესაც მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა შეწყდა 2014 წელს, ხოლო სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილია მხოლოდ 2017 წლის 18 აპრილს, უნდა შეფასდეს, მოსარჩელე 2014 წლიდან იყო თუ არა უკვე აღჭურვილი დარღვეული უფლების ჯეროვნად დაცვის, დასაბუთებული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობით. საკასაციო პალატამ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის შეფასებისას, მნიშვნელოვნად მიიჩნია, დადგინდეს სადაცო პერიოდში განახორციელა თუ არა მოსარჩელემ საკუთარი უფლებების დაცვა არა სასამართლოსთვის, არამედ სხვა სახელმწიფო, სამართალდამცავი მათ შორის, საგამოძიებო ორგანოებისათვის მიმართვის გზით. ასეთი მიმართვის არარსებობის პირობებში კი, გამოკვლეული უნდა იყოს, ხომ არ არსებობდა ობიექტური გარემოება, რაც გამორიცხავდა მოსარჩელის მიერ საკუთარი უფლებების დასაცავად სათანადო ორგანოებისათვის მიმართვას ან იყო თუ არა ეს იძულების გაგრძელებით განპირობებული.

² სასკ-ის 22.3 მუხლი.

თავდაცვის სამინისტროს ყოფილი საჯარო მოსამსახურის მიერ მიუღებელ სახელფასო თანხისა და კვების კომპენსაციის ხანდაზმულობა

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. საქართველოს კანონის 134¹ მუხლი;
- სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი

2005 წლამდე წარმოშობილ სახელფასო დავალიანებაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები, ხოლო კვების კომპენსაციის დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნაზე ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 26 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-1110 (კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

მოსარჩელემ მოითხოვა 1998-2000 წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, კერძოდ, მიუღებელ სახელფასო თანხა და კვების კომპენსაცია. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, დავალიანება მოიცავს ორ კომპონენტს: მიუღებელ სახელფასო თანხას და კვების მიუღებელ კომპენსაციას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნიეს მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე მითითებით და არ გაითვალისწინეს საკითხის მომწესრიგებელი სპეციალური რეგულაციების შინაარსი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 134¹ მუხლი წარმოადგენდა დავალიანების კანონისმიერ აღიარებას, რის შედეგადაც 2005 წლამდე წარმოშობილ სახელფასო დავალიანებაზე არ ვრცელდებოდა ხანდაზმულობის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვადები. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალმა კანონმა აღარ გაითვალისწინა სპეციალური, საშეღავათო დათქმა სახელფასო დავალიანების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, რის გამოც საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ წინა პერიოდში სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ზოგადი წესების გავრცელება დაუშვებელია. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას კვების კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე, ეს ნაწილი პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა რიგს განეკუთვნება, რომელზედაც ვრცელდება სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, რომლის ათვლაც გარკვეული თავისებურებებით

ხასიათდება. პერიოდულად შესასრულებელი თითოეული ვალდებულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ცალკე ქმნის ხანდაზმულობის ვადას. თითოეული ვალდებულების მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლა ხორციელდება სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუქცევით. მოსარჩელეს მისაღები პქონდა 1998-2000 წლების კვების კომპენსაცია, სარჩელი კი აღძრულია 2017 წელს, ამდენად, სარჩელი კვების კომპენსაციის დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ხანდაზმულია³.

თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლისათვის გაუცემელი ხელფასის, პრემიის და კვების კომპენსაციის ერთმანეთისაგან გამიჯნა

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 57.2 და 57.3 მუხლები⁴;
- „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.3 მუხლი

დავის განხილვისას მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს შრომის ანაზღაურება (ხელფასი), მისი შემადგენელი ნაწილი – ფულადი ჯილდო (პრემია) და კვების კომპენსაცია. მოხელის შრომის ანაზღაურება მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, საკლასო დანამატს, სახელფასო დანამატს და ფულად ჯილდოს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 7 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-326 (კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი შეადგენდა არა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ანუ თანხის მიღება იმ პერიოდზე, როდესაც მოხელეს ფაქტობრივად არ მუშაობდა, არამედ გაუცემელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება იმ პერიოდზე, როდესაც მოხელე ფაქტობრივად მუშაობდა, ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, რის გამოც გაწეული სამუშაოსათვის დაიმსახურა პრემიის თანხის გამოყოფა.

საკასაციო პალატის განმარტებით, შრომის ანაზღაურების ცნება მოიცავს ასევე ფულადი ჯილდოს, როგორც ხელფასის შემადგენელ ნაწილს. პალატამ აღნიშნა, რომ ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან, კვების კომპენსაცია კი სასურსათო ულუფის კომპენსაციაა⁵ და არა

³ კვების კომპენსაციის ანაზღაურების ხანდაზმულობის შესახებ ანალოგიურია სუსგ №ბს-603-603 (კ-18) 23.03.2020.

⁴ იხ. ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. საქართველოს კანონის 37.1 მუხლი

⁵ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.3 მუხლი.

შრომითი ანაზღაურების შემადგენელი ნაწილი: შრომითი გასამრჯელო ან კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატი. სამხედრო მოსამსახურის მიმართ სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება განპირობებულია მისი სამსახურებრივი სტატუსით, განსხვავებით შრომითი გასამრჯელოსგან, რომლის მიღების უფლებაც მხოლოდ პირის დასაქმების ფაქტით არის წარმოშობილი. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი კვების კომპენსაციის დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ხანდაზმულია, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნის ეს ნაწილი პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა რიგს განეკუთვნება, რომელზეც ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა⁶. საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ დავალიანების არსებობის შესახებ ცნობისა და შესაბამისი წერილის გაცემაშ არ შექმნა მოსარჩელის მიერ გაშვებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის აღდგენის წინაპირობას, რადგან ფაქტის აღიარება არ ნიშნავს სარჩელის აღიარებას. პალატის განმარტებით, ფაქტის და სარჩელის აღიარება არ არის იდენტური ცნებები, ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო სარჩელის აღიარება დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე განკარგვითი აქტია.

1.2. ადგილობრივი თვითმმართველობის/ მმართელობის ორგანოები

მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-60 მუხლი;
- „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლი

საერთო სასამართლოების ასეთი გადაწყვეტილებები და განჩინებები, რომლებიც ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობამდე არ აღსრულებულა, არ ექვემდებარებიან აღსრულებას; მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურეს ზომას და მისი გამოყენების აუცილებლობა უტყუარი მტკიცებულებებით უნდა დასაბუთდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 იანვრის განმარტება საქმეზე №პს-1564(კ-18) <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

⁶ სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

დავა ეხებოდა მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნა/გათავისუფლებისას მერის დისკრეციულ უფლებამოსილებას. საკასაციო პალატამ აღმიშნა, რომ სადავო ინდივიდუალური აღმინისტრულსამართლებრივი აქტის გამოცემის დროს მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-60 მუხლი არაორაზროვნად ადგენდა, რომ გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავდა და თანამდებობიდან ათავისუფლებდა გამგებელი/მერი. ამასთან, კანონი არ შეიცავდა არანაირ მითითებას სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გათავისუფლებასთან დაკავშირებით გამგებლის/მერის დისკრეციის შეზღუდვაზე. ამასთანავე, სადავო აქტის გამოცემის დროს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურიდან გათავისუფლების წესი ექსკლუზიურად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით წესრიგდებოდა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით⁷, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არ წარმოადგენს პოლიტიკური თანამდებობის პირს, სადავო ნორმა ზღუდავს გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში საქმიანობის განხორციელების კონსტიტუციურ უფლებას, შესაბამისად, ლეგიტიმური მიზნის არარსებობისას კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევა წარმოადგენდა თვითმიზნურ შეზღუდვას და არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტს. ამდენად, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „ადგილობრივი თვითმმართელობის კოდექსის“ 2017 წლის პირველ ივლისამდე მოქმედი რედაქციის 60.1 მუხლი, კერძოდ, გამგებლის/მერის უფლებამოსილება გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლო პრაქტიკაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება, საერთო სასამართლოები არ არიან უფლებამოსილნი მოახდინონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსაბამო განმარტება, ამდენად, ის გარემოება, რომ სადავო აქტი მიღებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, არ ადასტურდებს მის მართლზომიერებას. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 17.10.2017წ. №3/5/626 გადაწყვეტილება.

დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურეს ზომას და მისი გამოყენების აუცილებლობა უტყუარი მტკიცებულებებით უნდა დასაბუთდეს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი

— „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 7 სექტემბრის განმარტება საქმეზე №პს-1489(კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრისათვის თავისუფალი მანდატის მინიჭება არ გულისხმობს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შეუძლებლობას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობა⁸. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე საკრებულომ გადაწყვეტილება მიიღო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წარდგინების (დასკვნის) საფუძველზე. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უფლებამოსილების შეწყვეტის კანონიერების შემოწმებისათვის მნიშვნელოვანია კუმულატიურად ორი პირობის ერთდროულად არსებობა: 6 თვის განმავლობაში სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა და შეუსრულებლობის არასაპატიო მიზეზის არსებობა. საქმის მასალებში არ მოიპოვება და ვერც მოსარჩელებ წარმოადგინა 9 თვის განმავლობაში მისი მონაწილეობით კომისიის მიერ რაიმე საკითხის განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ შეფასებას საჭიროებს მოსარჩელის მიერ სასამართლო განხილვის დროს წარდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობათა შინაარსი, რის გამოც სააპელაციო პალატამ უნდა დაადგინოს აღნიშნული ცნობების მეშვეობით

⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობა, აგრეთვე ავადმყოფობის/სტაციონარში მოთავსების პერიოდი, შრომისუუნარობის ხანგრძლივობა.

მუნიციპალური ინსპექციის სტრუქტურული ქვედანაყოფების მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნისას გასაუბრების შედეგების გათვალისწინების აუცილებლობა

– „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის 34-ე, 39-ე, 41.3 მუხლები

გასაუბრების ფორმალურობა გამორიცხავს გასაუბრების ეტაპზე კანდიდატის ვაკანტურ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობას. ფორმალური გასაუბრება გულისხმობს, რომ კანდიდატთან გასაუბრება რეალურად არ შემდგარა.

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მხოლოდ მიზანშეწონილობის საფუძველზე, როდესაც კონკურსის წესით საჯარო მოხელის შერჩევისას, არჩევანი ერთი კანდიდატის სასარგებლოდ გეთდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 13 ივლისის განმარტება საქმეზე №მს-1389(კ-18) <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

მოცემულ დავაზე სააპელაციო სასამართლომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას მოსარჩელის ვაკანტურ თანამდებობაზე პირდაპირ, გასაუბრების გარეშე წარდგენა დაავალა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატას არ შეეძლო პროცესუალურად განეხორციელებინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკონკურსო პროცესის განუყოფელ ნაწილად მიჩნეული გასაუბრების ეტაპის უგულებელყოფა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოსარჩელის პირდაპირ, კონკურსის გარეშე თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენა დაევალებინა. სასამართლო ვალდებული იყო მიემართა ყველა იმ ღონისძიებისათვის, რომელიც კონკურსის პროცესის სრულყოფისაკენ იქნებოდა მიმართული და რომელიც დასაშვებ ფარგლებში მაქსიმალურად გაზრდიდა კონკურსის განმეორებით გასამართი ეტაპის ფარგლებში განხორციელებულ მოქმედებათა სასამართლოს მხრიდან რევიზიის შესაძლებლობას. პალატის განმარტებით, სამსახურიდან

გათავისუფლების შესახებ აქტის კანონიერება უნდა დადგინდეს სადაც აქტის გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობით. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილს, რომ განხორციელდეს გასაუბრების გარეშე მისი თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენა, დავა უნდა გადაწყდეს დავის განხილვის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის, 2017 წლის 1 ივლისს ძალაში შესული „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის საფუძველზე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით ის თანამდებობა, რომელზეც მოსარჩელეს განაცხადი ჰქონდა წარდგენილი, მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სტრუქტურით არ არის გათვალისწინებული. პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ უზრუნველყო დაესაბუთებინა, რატომ ეთქვა უარი მოსარჩელის კანდიდატურას. გასაჩივრებული აქტების კანონიერად მიჩნევა კი, სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებდა. დაინტერესებული მხარისთვის გასაგები უნდა იყოს, რა მოტივით იქნა მიღებული მის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანობისა და კანონიერების განცდას უნდა ქმნიდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა ჩატარებული კონკურსის შედეგების მიხედვით

– „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების მე-12.2 და მე-15 მუხლები

კომისიის თითოეული წევრის მიერ კანდიდატისათვის დაწერილი ყოველი კონკრეტული ქულა არ საჭიროებს დამატებით დასაბუთებას, ხოლო, თავის მხრივ, კონკურსანტის მიერ გაცემული პასუხების შეფასებით, მიღებული ქულის გონივრულობის შემოწმება სასამართლოს საკუთარი ინიციატივითაც შეუძლია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 იანვრის განმარტება საქმეზე №პს-1445(კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

აღსანიშნავია, რომ სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა სადავო ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის წარმოებაზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოს – მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას არ აკისრებდა გასაუბრების მიმდინარეობის აუდიო ან/და ვიდეო საშუალებებით ასახვის ვალდებულებას. გასაუბრების გამართვის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნული პროცედურების წარმართვა ადმინისტრაციულ ორგანოს არც უფლების სახით ჰქონდა გაწერილი. მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არც უფლების და არც ვალდებულების სახით არ გააჩნდა სხდომის მიმდინარეობის აუდიო-ვიდეო ფორმატით ასახვის შესაძლებლობაზე პირდაპირი საკანონმდებლო მითითება, დაუშვებელია კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ ხსენებულ საშუალებათა გამოუყენებლობა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის უარყოფითი შედეგების დადგომისაკენ ყოფილიყო მიმართული. საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კომისიის თითოეული წევრის მიერ კანდიდატისათვის დაწერილი ყოველი კონკრეტული ქულა არ საჭიროებდა დამატებით დასაბუთებას, ხოლო თავის მხრივ, კონკურსანტის მიერ გაცემული პასუხების შეფასებით, მიღებული ქულის გონივრულობის შემოწმება სასამართლოს საკუთარი ინიციატივითაც შეუძლია. პალატის განმარტებით, მარტოლენ სასამართლოს დასკვნა ადმინისტრაციული წარმოების გარკვეული ხარვეზით/ხარვეზებით ჩატარებასთან დაკავშირებით, არ შეიძლება კანდიდატის ვაკანტური თანამდებობის პირობების დაკმაყოფილების დამადასტურებელ გარემოებად იქცეს. იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია დაწმუნებულიყო, აკმაყოფილებდა თუ არა კანდიდატი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჭირო მოთხოვნებს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაშვებული გარკვეული შეცდომა ან მის შედეგად გამოვლენილი რაიმე ხარვეზი, არ შეიძლებოდა გამხდარიყო მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშნის ერთადერთი საფუძველი.

- მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელის მიერ მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, 110-ე მუხლის პირველი პუნქტი; 57-ე მუხლის მე-2 პუნქტი
 - „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიღლოს შრომის ანაზღაურება საშტატო ნუსხაში ასახული თანამდებობრივი სარგოს მიხედვით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 13 თებერვლის განმარტება საქმეზე №ბს-179(2-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

მოსარჩელე სადაცოდ ხდიდა მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციის საფუძველზე, მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხს. აღნიშნულის თაობაზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეორგანიზაციის დროს თავად ადმინისტრაციული ორგანო წყვეტს თანამდებობათა არსებობა-არარსებობისა და საჭიროების საკითხს, შესაბამისად, მან არ დააკმაყოფილა მხარის სარჩელი თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში. პალატამ აღნიშნა, რომ განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, გაუქმდა მოსარჩელის მიერ დაკავებული შტატი, რაც გახდა საფუძველი მის მიმართ მობილობის პროცედურების დაწყებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიმართ ვერ განხორციელდა მობილობა, იგი გათავისუფლდა სამსახურიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 110-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში. პალატის განმარტებით, რეორგანიზაციის შედეგად მოხელის გათავისუფლების საფუძველია იმ თანამდებობის გაუქმების შედეგად დასაქმების ადგილის ფაქტობრივი არარსებობა, რომელზეც მოხელე დასაქმებული იყო რეორგანიზაციის განხორციელებამდე. რეორგანიზაციის პროცესი არ მიმდინარეობს საუკეთესოს შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით, განსხვავებით, მაგალითად, თანამდებობაზე მოხელის დასაქმებისაგან, რომელიც სწორედ ხსენებული პრინციპის დაცვით წარიმართება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტული საშტატო

ერთეულის გაუქმება იწვევს ამ თანამდებობაზე დასაქმებული პირის სამსახურიდან გათავისუფლებას და აღნიშნული გარემოება გავლენას ვერ იქონიებს იმავე განყოფილებაში იმავე რანგის სხვა კატეგორიით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დასაქმებული სხვა პირების შრომით უფლებებზე.

სადაც თანამდებობის ვაკანტურობის საკითხის მნიშვნელობა პირდაპირ (უშუალო) თანამდებობაზე აღდგენისათვის

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

2020 წლის 2 აპრილის განმარტება საქმეზე №გს-643(კ-კ-19)

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

— „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლი

სადაც თანამდებობის ვაკანტურობის საკითხი ერთმანეთისგან განასხვავებს სამუშაოზე აღდგენის პროცედურებსა და მექანიზმს.

საკასაციო პალატის განმარტებით, ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონით შემოტანილი რეგულაციით მოხელის სამუშაოზე აღდგენაში არ შეიძლება მოიაზრებოდეს სადაც პოზიციაზე დანიშნული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, უნდა მოხდეს სამსახურში აღდგენილი მოხელის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნა იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩევე აღადგინა პირდაპირ (უშუალოდ) მუნიციპალიტეტში მის მიერ ადრე დაკავებულ თანამდებობაზე ისე, რომ არ გამოარკვია მოსარჩევის ძველ თანამდებობაზე აღდგენის შესაძლებლობა და სადაც თანამდებობის ვაკანტურობის საკითხი. პალატის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლი აღგენს და განსაზღვრავს თანამდებობაზე აღდგენის პროცედურას და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს სადაც თანამდებობის ვაკანტურობის ფაქტს. ამდენად, სადაც თანამდებობის სხვა პირის მიერ

დაკავების ფაქტი გამორიცხავს სასამართლოს მიერ იმავე თანამდებობაზე მოსარჩელის პირდაპირ აღდგენას.

- ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, განაცდური წელფასის ანაზღაურება**
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები;
 - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები

ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 2 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-204(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელები დღევანდელი მდგომარეობით იმყოფებიან ფაქტობრივი (თუმცა არა სამართლებრივი) გათავისუფლების რეჟიმში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მოსარჩელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებების საკუთარი ინიციატივით ბათილად ცნობამ წარმოშვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლით დადგენილი წესით მოსარჩელეთა სამსახურში აღდგენის ფაქტობრივი სამართლებრივი წინაპირობები, რის გამოც არსებობდა მოსარჩელეების სამსახურში აღდგენის დავალების საფუძვლები. რაც შეეხება უშუალოდ თანამდებობას, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ რამდენადაც ის პოზიციები, რომლიდანაც მოსარჩელეები იყვნენ გათავისუფლებული, დღეის მდგომარეობით აღარ იყო ვაკანტური და მასზე სხვა პირებია დანიშნული, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ერთიანი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, გამოირიცხება მოთხოვნილ თანამდებობებზე მოსარჩელეთა პირდაპირი წესით აღდგენის ფაქტობრივი შესაძლებლობა.

პალატამ ასევე განმარტა, რომ სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დანამატები უნდა გაიცეს საჯარო დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მობილობის წესის დაცვის აუცილებლობა, ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლი;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“, მუხლი 3.1 „ვ“ ქვეპუნქტი

ტოლფასი თანამდებობის შეფასებას ყოველ კონკრეტულ სამართალურთიერთობაში ფაქტობრივ-სამართლებრივი გარემოებები განსაზღვრავს. მობილობის პროცესში მოხელის დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ ტოლფასი თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-139(4_19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

ორი მუნიციპალიტეტის ერთ თვითმმართველ ერთეულად გაერთიანების შემდეგ დამტკიცდა მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მომსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები. აღნიშნული საშტატო ნუსხით კი, შემცირდა თანამშრომელთა ოდენობა. თვითმმართველი დაწესებულებები გაერთიანების გამო შემცირდა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს დღის წესრიგში დადგა მობილობის წესის განხორციელება, რისი სათანადოობა და კანონთან შესაბამისობაც სადავო გახდა მოცემული სამართალურთიერთობის ფარგლებში. მოსარჩელეები სადავოდ ხდიდნენ საჯარო დაწესებულებების შეწყმის შედეგად უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე დანიშვნას და მოითხოვდნენ ტოლფას თანამდებობაზე აღდგენას. ერთ-ერთი მოსარჩელე აგრეთვე, მოითხოვდა მოხელეთა რეზერვიდან ამორიცვას და ტოლფას თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშნული პირის გათავისუფლებას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მობილობის პროცესში მოხელის დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ ტოლფასი

თანამდებობის არარსებობის დროს, ხოლო მოხელის რეზერვში ჩარიცხვა ხდება მხოლოდ მობილობის პროცედურის წარუმატებლად დასრულების შემდგომ, რაც განსახილველ საქმეში კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდა. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენას არამართებულად დაუკავშირეს კონკურსის წესით დანიშნული საჯარო მოხელის გათავისუფლება, რადგან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის აღდგენას გამორიცხავს ის გარემოება, რომ აღნიშნულ პოზიციაზე კონკურსის წესით დანიშნულია სხვა მოხელე. საკასაციო პალატის განმარტებით, სადაც მობილობის განხორციელებისას, კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა ტოლფასი თანამდებობის დეფინიციას.⁹ ტოლფასი ყოველთვის იდენტურს არ გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გართულდებოდა ტოლფასი თანამდებობის რეალური მოძიება ახლადშექმნილ, რეორგანიზაციას დაქვემდებარებულ დაწესებულებაში. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღმინისტრაციულმა ორგანომ სამართალწარმოების ვერც ერთ ეტაპზე ვერ დაადასტურა, რომ მოსარჩევებისთვის შეთავაზებული იქნა მათი თანამდებობის ტოლფასი თანამდებობა, რითაც დაარღვია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლის მოთხოვნა. ამდენად, მუნიციპალიტეტის მერიამ დაარღვია მობილობის წესი, როდესაც მოსარჩევებისთვის ტოლფასი თანამდებობის შეთავაზების გარეშე, პირდაპირ დაბალი თანამდებობა შესთავაზა.

1.3. სხვა სახის აღმინისტრაციული ორგანოებიდან სამუშაოდან გათავისუფლება

1.3.1 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შტატის შემცირების პირობებში განხორციელებული მობილობის პროცედურის კანონიერება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 110-ე მუხლის პირველი პუნქტი

⁹ ტოლფასი თანამდებობა – იმავე რანგისა და კატეგორიის თანამდებობა, რომლის სამუშაო აღწერილობა/ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები იდენტურია ან უმეტესწილად მსგავსია (იხ. მობილობის წესის 2020 წლის 21 მაისის ცვლილება)

მოხელის რეზერვში ჩარიცხვა უნდა მოხდეს მხოლოდ მობილობის პროცედურის წარუმატებლად დასრულების შემდგომ. ამდენად, მობილობა უნდა განხორციელდეს არა ფორმალურად, არამედ კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით, საჯარო სამსახურის უწყვეტობის, სტაბილურობისა და კვალიფიციური კადრების შენარჩუნების მიზნების გათვალისწინებით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის

2020 წლის 22 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-38(კ-20)

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა მოსარჩელისათვის დაკისრებული ფუნქციების შემცველი შტატის შემცირების პირობებში განხორციელებული მობილობის პროცედურის კანონიერება. პალატის განმარტებით, საჯარო დაწესებულებაში შტატის შემცირება შეიძლება უკავშირდებოდეს შესაბამისი ფუნქციების მქონე საშტატო ერთეულის საჭიროების არარსებობას, ხოლო საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით მოხელის გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მოხელის მობილობა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მობილობის წესით დანიშვნაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, იმავდროულად არ ნიშნავს პირის თანამდებობიდან გათავისუფლებას. მობილობასთან დაკავშირებული პროცედურის დასრულების შემდგომ, პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულება, სადაც შტატის შემცირების გამო მოხელის დარჩენა შეუძლებელია. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მობილობაზე უარის შესახებ შესაბამისი დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფარგლებში ვერ მოექცევა ის თანმდევი შედეგები, რომლებიც თან ახლავს პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემული აღმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გასაჩივრებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენდა უშუალოდ მობილობის წესით დანიშვნის საკითხის გადამწყვეტი ორგანოში დასაქმებულ პირს, ამდენად, მისი უფლების დარღვევის შესაძლებლობა უშუალოდ ამ ორგანოს მხრიდან, შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმაში. ობილობაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სამინისტრომ შეიძლება იმსჯელოს არა მოსარჩელის თანამდებობის აღდგენისა და

მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების, არამედ მისი შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, რამდენადაც მობილობა თავისი არსით, ხელახალი დასაქმების მექანიზმია და გულისხმობს პირის იმავე ან სხვა დაწესებულებაში არსებულ თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნას, კონკურსით გათვალისწინებული პროცედურის გარეშე. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნები, რომლებიც სამინისტროსათვის მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენას და მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრებას უკავშირდება. ამასთან, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ შიდა მობილობის წესით დასაქმებაზე უარის თქმის უკანონობის დადასტურება, ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებებით გამოწვეული უარყოფითი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, არ გამორიცხავს საჯარო მოხელის უფლებას, მოითხოვოს კონსტიტუციით გარანტირებული, სახელმწიფო ორგანოსაგან უკანონოდ მიყენებული ზრანის ანაზღაურება.

1.3.2. აღსრულების ეროვნული ბიურო

პრემიის სახით გაცემული თანხის ხელფასის დანამატად მიჩნევა და მისი იძულებითი წესით ამოღება

— „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997 წლის საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი

პრემიის სტატუსით თანამშრომლებზე ხელფასთან ერთად თანხის გაცემა არ არის დაკავშირებული პირის შრომით შედეგებთან და არ წარმოადგენს თანამშრომელთა ინდივიდუალურ წახალისებას, რის გამოც იგი ხელფასის დანამატს წარმოადგენს და ექვემდებარება ანაზღაურებას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-550(კ-19) <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საკასაციო პალატის განმარტებით, ზოგადად პრემიის თანამშრომლებზე გაცემა დაკავშირებულია პირის შრომით შედეგებზე და წარმოადგენს თანამშრომელთა ინდივიდუალურ წახალისებას, ამდენად, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, პრემიის სახით გაცემული თანხები არ შედის ხელფასის ანაზღაურებაში, ხოლო რაც შეეხება დანამატის ანაზღაურებას, აღნიშნულთან დაკავშირებით

შესაძლებელია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით ხელმძღვანელობა. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების არსი გამორიცხავდა ისეთ ანაზღაურებას, როგორიცაა მაგალითად: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ხარჯების საკომპენსაციო ანაზღაურება (კვების დანამატი), შრომითი შედეგების მიხედვით დაჯილდოვების თანხების (პრემიის) ანაზღაურება და სხვა. თუმცა მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის გათავისუფლების დღიდან მის აღდგენამდე თანამდებობრივი სარგოს გარდა ყველა მოქმედ თანამშრომელზე გაცემულ იქნა თანხები პრემიის სახით, რასაც თანამდებობაზე ყოფნის შემთხვევაში, მოსარჩელეც მიიღებდა. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომელთათვის პრემიის დარიცხვა არა ადმინისტრაციის ვალდებულებას, არამედ მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, მოცემულ შემთხვევაში, პრემიის სტატუსით თანამშრომლებზე ხელფასთან ერთად თანხის გაცემა არ იყო დაკავშირებული პირის შრომით შედეგებთან და არ წარმოადგენდა თანამშრომელთა ინდივიდუალურ წახალისებას (მაგალითად, ყოველკვარტალური, სადღესასწაულო პრემია). ამდენად, თავისი არსით პრემიის სახით გაცემული თანხები ხელფასის დანამატს წარმოადგენდა და ექვემდებარებოდა ანაზღაურებას.

პრემიის სტატუსით თანამშრომლებზე ხელფასთან ერთად თანხის გაცემა არ უკავშირდებოდა კონკრეტულ პირთა შრომის შედეგებს. ამასთან, გაცემული თანხები არ ემსახურებოდა თანამშრომელთა ინდივიდუალურ წახალისებას. ამდენად, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, პრემიის სახით გაცემული თანხები ხელფასის დანამატად იქნა მიჩნეული და დაექვემდებარა ანაზღაურებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამსახურიდან ერთსა და იმავე პერიოდში ორი თანამშრომლის უკანონო გათავისუფლების შედეგად განსაზღვრული იძულებითი განაცდურის სხვადასხვაგვარი ოდენობით ანაზღაურება არღვევდა თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

2. საჯარო რეესტრში უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავები 2020 წელს ამ კატეგორიის დავებზე არსებითად განხილულია 14 საქმე, მათ შორის ახალი გადაწყვეტილება მიღებულია 11 საქმეზე, გაუქმდა და დაბრუნდა ხელახლი განხილვისათვის 3 საქმე.

საკუთრების უფლება აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო აქტებითაც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, რომელიც ადგენს, რომ ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხარვეზები გამოვლინდა სსიპ საჯარო რეესტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ დავებში, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობად იქცა.

2.3. მიწის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში

მიწის რეგისტრაციის დაზუსტებული და დაუზუსტებელი რეგისტრაციის სამართლებრივი მნიშვნელობა

– „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის 7⁴ მუხლი

დაზუსტებული რეგისტრაცია ემსახურება მესაკუთრის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას და არა წარმოშობილი უფლების არამართლზომიერების დადგენას და მის საფუძველზე საჯარო რეესტრის მიერ მანამდე განხორციელებული რეგისტრაციების პროცესში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 15 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-930(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საკასაციო პალატის განმარტებით, დაუზუსტებელი რეგისტრაციით საკუთრების უფლების რეგისტრაცია გულისხმობს მისი დაზუსტების შესაძლებლობას და უძრავ ქონებაზე დაუზუსტებელი რეგისტრაცია არ გამორიცხავს შემდგომში ნაკვეთის საზღვრების კორექტირების შესაძლებლობას. თუმცა რეგისტრაციის დაზუსტების ფარგლებში, დაუშვებელია, სსიპ საჯარო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებდეს საკუთრების უფლების შინაარსის სახეცვლილებას. განსახილველ შემთხვევაში, მარეგისტრირებულმა ორგანომ სადაც უძრავ ქონებაზე ჯერ კიდევ პირველადი რეგისტრაციის პროცესში დაშვებული შეცდომის ქონების მესამე მყიდველთან მიმართებით გამოსწორების

მიზნით, რეგისტრირებული მონაცემების დაზუსტების ფარგლებში განიზრახა იმ სამართლებრივი შედეგის დადგომა, რომელიც, ფაქტობრივად, თავად ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით რეგისტრაციის ნაწილობრივად ბათილად ცნობას უნდა გამოეწვია. ამასთან, მარეგისტრირებელმა ორგანომ რეგისტრაციის ნაწილობრივი გაბათილების ტოლფასი მოქმედებების განხორციელების განზრახულობა გამოიჩინა იმ პირობებში, როდესაც მის მიმართ არ არსებობდა არც სახელმწიფო, არც საზოგადოებრივი და არც სხვა პირის კანონიერი დაინტერესება. პალატის განმარტებით, დაზუსტებული რეგისტრაცია ემსახურება მესაკუთრის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას და არა წარმოშობილი უფლების არამართლზომიერების დადგენას და მის საფუძველზე საჯარო რეგისტრის მიერ მანამდე განხორციელებული რეგისტრაციების პროცესში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, ამასთან, მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან თვითკონტროლის განხორციელება არ უნდა იწვევდეს მანამდე არსებული რეგისტრაციის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას. პალატამ მიიჩნია, რომ საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე, სადაც უძრავი ქონება საჯარო რეგისტრში ერთხელ უკვე იყო რეგისტრირებული მის წინამორბედ მესაკუთრებზე, რის გამოც საჯარო რეგისტრში დაცული მონაცემები არ იძლეოდა კასატორის მხრიდან მიწის ნაკვეთის მახასიათებლების მართებულობაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

მიწის დაუზუსტებელი მონაცემებით აღრიცხული მიწის ნაკვეთის საზღვრების დაზუსტება და ახალ კოორდინატთა სისტემაში რეგისტრაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-197(კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

დავაზე მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენდა მისი ინტერესის დაკმაყოფილების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა სარეგისტრაციოდ წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ზედდება მესამე პირის საკუთრებაში დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებთან. მოცემულ შემთხვევაში, სადაც არ იყო მესამე პირისათვის შესაბამისი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე უძრავი ქონების გადაცემა. სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა საკუთრებაში კანონიერად გადაცემული მიწის ნაკვეთების მდებარეობის შესაბამისობის დადგენა დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფაქტობრივ

მდებარეობასთან. საკასაციო პალატის განმარტებით, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, როგორც საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, უნდა უზრუნველყოს როგორც დაზუსტებული, ისე დაუზუსტებელი რეგისტრაციის მქონე პირების ინტერესთა დაცვა, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების დაზუსტება განახორციელა ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ და დაცულ ინფორმაციათა სათანადო შეფასების გარეშე. პალატამ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია გარკვეული ფართის ფარგლებში ცდომილების დაშვების უფლება, თუმცა აღნიშნული არ უნდა სცდებოდეს კანონით დაშვებული ოდენობის მაქსიმუმს და სასაზღვრო მიჯნის ფარგლებში არსებულ ფართობს¹⁰. პალატამ ასევე განმარტა, რომ სახელმწიფო პროექტის განხორციელების პროცესში მხარეთა შორის დავის გამოვლენის შემთხვევაში სააგენტო ამ დავის გადასაწყვეტად სავალდებულო წესით მიმართავს სანოტარო მედიაციას ან საქმეში რთავს მედიატორს (მედიატორებს), რომელიც (რომლებიც) მხარეებს აცნობს (აცნობენ) მედიაციის პირობებს და მათი თანხმობით ნიშნავს (ნიშნავენ) შეხვედრის დროსა და ადგილს¹¹. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო გადაწყვეტილებები და უნდა დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საჯარო რეესტრის მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონიერება

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი;
- „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8.1 მუხლი.

¹⁰ იხ. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონის მე-11.1 მუხლი.

¹¹ იმავე კანონის მე-18.1 მუხლი.

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება მიზნად ისახავდა განმცხადებლისთვის დამატებითი შესაძლებლობის მიცემას, წარედგინა სათანადო დოკუმენტი და დარეგისტრირებულიყო ნივთის მესაქუთრედ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 22 ივლისის განმარტება საქმეზე №ბრ-44(კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საკასაციო პალატამ განმარტებით, საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის განმცხადებელმა უნდა წარადგინოს საკუთრების უფლების წარმომშობი დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდება მისი საკუთრების უფლების არსებობა კონკრეტულ უძრავ ნივთზე. თუკი მხარე ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მოთხოვნის შესრულებას, კერძოდ, თუ განცხადებას არ ერთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, მარეგისტრირებული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ. საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმომშობისთვის განსაზღვრულია წერილობითი ფორმის დაცვისა და ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სათანადო წესით დამოწმების სავალდებულოობა. მხოლოდ სათანადო წესით გაფორმებული ხელშეკრულება შეიძლება განვიხილოთ საკუთრების უფლების მყიდველზე გადასვლის დამადასტურებელ დოკუმენტად, რომლის წარდგენაც მარეგისტრირებული ორგანოს მიერ საკუთრების უფლების რეგისტრაციის ვალდებულებას წარმოშობს. ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების მქონე პირსა და მოსარგებლეს შორის ფორმის დაუცველად (ზეპირად ან წერილობით) დადებული გარიგების არსებობის ფაქტი დგინდება მხარეებს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმებით, რომელზედაც მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობას ადასტურებს ნოტარიუსი და ეს მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება სკ-ის 61.2 შესაბამისად. ამდენად, მიუხედავად გარიგების კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად დადებისა, მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, გამოესწორებინა გარიგების ნაკლი. ასეთი შესაძლებლობის რეალიზაციის შანსს კი განმცხადებელს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება და დამატებითი ვადის მიცემა აძლევდა. მხარეთა მიერ გარიგების ფორმის დაუცველობა უნდა გამოსწორებულიყო

მოგვიანებით მასზე ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურებით, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო ასეთი ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის წინაპირობა. მოსარჩელის მიერ ნასყიდობის საფასურის გადახდა კი არ ქმნის ფორმის დაუცველად დადებული გარიგების ნამდვილად მიჩნევის წინაპირობებს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მარეგისტრირებელმა ორგანომ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება და მართებულად მოსთხოვა განმცხადებელს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.

მიწის ნაკვეთების იღენტურობის დამდგენი ოქმის კანონიერება

– „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი¹²

იღენტურობის დამდგენი ოქმის გარეშე, მარტოოდენ სამკვიდრო მოწმობა ვერ გახდება უშეალოდ კასატორთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების წინ მდებარე 100 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 2 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-283(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

მოსარჩელის კანონიერი ინტერესი კანონსაწინააღმდეგოდ შედგენილი იღენტურობის დამდგენი ოქმის საფუძველზე მის წინ მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იმ ტერიტორიის კერძო საკუთრების ობიექტად გადაქცევის პრევენციას უკავშირდება, რომელსაც იგი სხვადასხვა დანიშნულებით აქტიურად იყენებდა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კასატორები არ ადასტურებდნენ, რომ მათ თანასაკუთრებაში არსებული ტერიტორიის წინ მდებარე მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრების ობიექტს წარმოადგენდა. განსახილველი დავის ყველა ეტაპზე, ისინი განმარტავდნენ, რომ მათ წინ მდებარე სადავო მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს საკუთრება იყო. პალატის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუკი სადავო ტერიტორია გაუსხვისებელ ტერიტორიათა რიგს განეკუთვნება, კასატორებს გააჩნიათ მათ წინ მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული

¹² შეესაბამება ამჟამად მოქმედი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4¹ მუხლი.

გაუსხვისებელი ზღვისპირა ტერიტორიის კანონსაწინააღმდეგოდ კერძო პირზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის ხელშეშლის იურიდიული ინტერესი. მოცემული დავის მართებული გადაწყვეტისათვის პრინციპული და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ საკითხის გამორკვევას, საქმეში წარმოდგენილ სამკვიდრო მოწმობაში მოაზრებული მამკიდრებლის დანაშთ საკუთრებად მიჩნეული, სადაც მიწის ნაკვეთი ნამდვილად მდებარეობდა თუ არა კასატორების თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მომიჯნავედ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის აღვილზე დათვალიერების ოქმი. მასში მითითებულია, რომ უძრავი ქონების სააღრიცხვო ბარათით წარმოდგენილ მიწის აზომვით ნახაზთან და აღვილმდებარეობასთან იდენტურობა დგინდება, თუმცა უცნობია, რას ეფუძნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირის დასკვნა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ იდენტურობის დამდგენი ოქმის შედგენისას, მუნიციპალიტეტის მიერ არ ჩატარებულა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება. გაურკვეველია ისიც, თუ რა სახის სპეციალური ცოდნა გააჩნდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს მოცემული საკითხის შესაფასებლად, რა მეთოდის გამოყენებით, რა კვლევის საფუძველზე მიიღო მან სადაც გადაწყვეტილება.

მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს სახელზე განხორციელებული რეგისტრაციების მართლზომიერება

- „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების შესახებ“ კანონის მე-7⁴ მუხლი;
- საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი

მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწა ეს არის სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (აშენებული, მშენებარე ან დანგრუებული) ან მის გარეშე, რომელზედაც (მიწის ნაკვეთზე ან შენობა-ნაგებობაზე) ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნის მართლზომიერი მფლობელობის უფლება წარმოეშვა ამ კანონის ამოქმედებამდე, ასევე

ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული, 1994 წლამდე თვითნებურად დაკავებული მიწა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 2 ოქტომბერის განმარტება საქმეზე №ს-861-843(კ-12)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

საერთო წესის თანახმად, კანონის მოქმედების ძალა შემოფარგლულია კანონის გამოქვეყნებისა და გაუქმების პერიოდით. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი არ გამოიყენება: 1) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც განხორციელდა მის გამოცემამდე და 2) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც დადგა მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ; ორივე შემთხვევა წარმოადგენს უმაღლესი იურიდიული პრინციპის ორ შეარეს: განსახილველ ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლო გამოიყენებს იმ კანონს, რომლის მოქმედების პირობებში ფაქტებს ჰქონდა ადგილი. თუ პირმა უფლების რეალიზაცია კანონის მოქმედების პირობებში მოახდინა, მას ამ უფლების განხორციელება იმ დროს მოქმედი კანონით შეუძლია. განსახილველ შემთხვევაში მარეგისტრირებულმა ორგანომ არათუ განახორციელა ისეთ ქონებაზე საკუთრების რეგისტრაცია, რომელზე უფლებაც სასამართლო დავის საგანი იყო, არამედ სახელმწიფოს საკუთრების რეგისტრაციის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში არ ჩართო მოსარჩევე, უგულებელყო სადავო ქონების მიმართ მისი ინტერესები.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების უფლება დაცული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა¹³ და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ასევე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ დამატებითი ოქმის პირველი მუხლით. ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. საკუთრების უფლება ვლინდება პირის უფლებაში, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებაში არსებულ ქონებას, კანონისმიერი თუ სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში. ამასთანავე, საკუთრების უფლებით დაცულია იმ პირთა უფლებაც, რომელთაც კანონით მინიჭებული შესაძლებლობის ფარგლებში წარმოექმნებათ უფლება კონკრეტულ ქონებაზე, თუნდაც ჯერ კიდევ არ იყოს დაცული საკუთრების უფლების წარმოშობის მხოლოდ ფორმალური პროცედურები. სწორედ ამიტომ, მართლზომიერი

¹³ საქართველოს კონსტიტუციის 21.1 მუხლი (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი).

მფლობელის უფლება უძრავ ნივთზე, ასევე, არის საკუთრების უფლებით დაცვის ღირსი ინტერესი.

მიწის მიღება-ჩაბარების აქტი, როგორც საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის საფუძველი

- „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 16.05.1999წ. №327 ბრძანებულების მე-4 პუნქტი
- „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 8.3. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი

სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილებისას გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, მესაკუთრისა და მიწის მიახლოებით მდგრაжობაზე ინფორმაციას მოიცავს. დაუზუსტებელი სახით მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია არ ნიშნავს ასეთი საკუთრების უფლების არარსებობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 9 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-173(კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

საკასაციო სასამართლო აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დავებში რამდენიმე დაინტერესებული მხარის უფლების დაპირისპირების მიზეზი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი უფლების ხარვეზით რეგისტრაცია, რაც მეტწილად განპირობებულია უძრავი ქონების კადასტრული მონაცემების სხვადასხვა სისტემაში აღრიცხვით.

რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს უფლების დუბლირებას, რის გამოც სამართალურთიერთობა ექცევა სასამართლო კონტროლის ფარგლებში.

მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით¹⁴, თუმცა არ გაითვალისწინა, რომ სასამართლო პრაქტიკის სახით მითითებული გადაწყვეტილება არ შეეხებოდა ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც სადავო უძრავ ქონებაზე უფლების გადასვლა მოხდა რამდენიმე პირზე და კანონიერ ძალაში იყო მათი უფლების დამდგენი დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით

¹⁴ სუსგ №ბს-367-363(კ-12) 28.02.2013.

აღირიცხა საჯარო რეესტრში 2006 წელს, როდესაც მიწის მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისათვის, საკუთრების უფლების დამადასტურებელი სარეგისტრაციო მოწმობის მომზადებისა და გაცემისათვის საკმარის დოკუმენტს, თუმცა რეგისტრირებული მონაცემები ექვემდებარებოდა შეძლებომ აუცილებელ დაზუსტებას მიწის აგეგმვის შედეგად შედგენილი საგეგმო-კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე. იმ პერიოდისთვის არ არსებობდა საკადასტრო აზომვითი ნახაზის შედგენა ელექტრონულ კოორდინატთა სისტემაში. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მიღება-ჩაბარების აქტით შეუძლებელია მოსარჩელის სახელზე გამოყოფილი მიწის ნაკვეთის იდენტიფიკაცია, თუმცა დოკუმენტი ადასტურებს შესაბამისი ფართობის მიწის ნაკვეთის ნამდვილად გამოყოფას მოსარჩელისათვის. აღნიშნული კი არ გამორიცხავს საჯარო რეესტრში უძრავ ნივთთან დაკავშირებული, სისტემური რეგისტრაციის ამსახველი დოკუმენტაციის არსებობას და სააპელაციო სასამართლოს ინიციატივით, საჯარო რეესტრიდან შესაბამისი მასალების გამოთხოვის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუშვებელია რეგისტრაციის გაბათილება მისი საფუძვლის ძალაში არსებობის პირობებში. ამასთან, ქვედა ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაამახვილა ყურადღება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებზე და გასაჩივრებული გადაწყვეტილებები ბათილად ცნო რეგისტრირებული ფართების სრული მოცულობის გათვალისწინებით, თუმცა მოსარჩელის ინტერესში შემავალი უძრავი ქონება, მესამე პირების სახელზე რეგისტრირებული ქონებების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა.

2.4. უძრავი ქონების რეგისტრაციის კანონიერება

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება ან რეგისტრაციაზე უარის თქმა

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 21.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი;
- საქართველოს ოუსტიციის მინისტრის 15.01.2010წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 13.3 მუხლი.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით წარმოდგენილი დოკუმენტები არ წარმოადგენს განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველს, იგი შესაძლებელია გახდეს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

მხარემ სადავო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ორ საფუძველს მიუთითა, კერძოდ, დოკუმენტის სანოტარო ანოტაციაში მითითებული ინფორმაციის სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციასთან შეუსაბამობაზე და სარეგისტრაციო დოკუმენტის რეესტრში უფლებამოსილი ავტორიზებული პირის მიერ წარუდგენლობაზე, სააპელაციო სასამართლომ კი შეფასების მიღმა დატოვა დოკუმენტაციის შეუსაბამობის საკითხი. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ უფლების დამდგენი დოკუმენტის მიმართ არსებული ხარვეზი ქმნიდა სარეგისტრაციო მოქმედების შეჩერების საფუძველს, რადგან სარეგისტრაციოდ წარდგენილი იყო ექვსი ფურცლის ნაცვლად ორ ფურცელზე შედგენილი დოკუმენტი. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტი იყო ხარვეზიანი და არ ქმნიდა რეგისტრაციის საფუძველს, ხოლო სარეგისტრაციო სამსახურმა რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით დაარღვია „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონით და შესაბამისი ინსტრუქციით განსაზღვრული წარმოების წესები. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დოკუმენტაციის შეუსაბამობა ქმნიდა არა რეგისტრაციის, არამედ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების პირობას, შესაბამისად აღნიშნული წარმოადგენდა უძრავი ქონების საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს. პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში უძრავ ქონებაზე თავდაპირველი მესაკუთრის საკუთრების უფლებას უპირისპირდება კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრეს არანაკლები ნდობა გააჩნია საჯარო რეესტრის მონაცემთა მიმართ, კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები დაცვის ღირს უკეთეს სიკეთედ არის მიჩნეული კანონმდებლის მიერ. პალატის განმარტებით, რეგისტრაციის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა თუნდაც მისი გამოცემიდან, არ იწვევს შემდგომი რეგისტრაციების ბათილობას, ამდენად იპოთეკარებს არ ეკისრებათ დამატებითი წინდახედულობის გამოჩენის ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში იპოთეკის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს სანოტარო წესით გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რაც ძალაშია და სადავოდ არ გამხდარა მხარეებს

შორის, რაც გამორიცხავს იპოთეკის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების გადამოწმების უფლებამოსილება

– „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3.6 და 29.3 მუხლები.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია განიხილოს ტერიტორიული სამსახურების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი საჩივარი და გადაამოწმოს/ გაკონტროლოს სადავო აქტის კანონიერება, მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-243(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია სარეგისტრაციო წარმოების დროს მარეგისტრირებელი ორგანოს როლსა და წარდგენილ დოკუმენტთა კვლევის ფარგლებზე და განმარტა, რომ მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობასა და უსაფრთხოებაზე. ისინი სარეგისტრაციო წარმოების დროს საგამოძიებო ორგანოს ფუნქციებით არ სარგებლობენ და რეგისტრაციის მიზნებისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობის კვლევას არ ახორციელებენ, გარდა იმ შემთხვევისა თუკი აღნიშნულ დოკუმენტაციაში ეჭვის შეტანის საფუძველი აშკარაა. საკასაციო სასამართლოს მითითებით, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებათა კანონიერების შემოწმების მიზნით მიმართოს როგორც მარეგისტრირებელ ორგანოს, ასევე სასამართლოს. თუ რომელი ორგანო შეისწავლის რეგისტრაციის შესახებ აქტის კანონიერების საკითხს, დამოკიდებულია დაინტერესებული მხარის გადაწყვეტილებაზე. საჩივრით ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიმართვის პირობებში, აღნიშნული ორგანო ვალდებული ხდება განიხილოს, არსებითად იმსჯელოს და მიიღოს

კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო სასამართლოში მომართვის შემთხვევაში, ასეთი ვალდებულება წარმოეშვება სასამართლოს. თუმცა რეგისტრაციის შესახებ აქტის კანონიერების შემოწმების დაქვემდებარება სასამართლოსადმი, მარეგისტრირებელ ორგანოს არ უზღუდავს ამგვარ აქტზე წარდგენილი საჩივრის განხილვის უფლებას, რის გამოც საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გააჩნდა უფლებამოსილება განეხილა წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის საფუძველი

— „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტები, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი

რეგისტრაცია წარმოებს სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც უნდა ერთვოდეს საჯარო რეესტრში წარდგენილ განცხადებას. სარეგისტრაციო დოკუმენტი კი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 2 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-176(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

მხარეთა შორის სადავოდ იყო გამხდარი ნასყიდობის ხელშეკრულების დანაწესით აღწერილი ხელშეკრულების საგანი, კერძოდ, ხელშეკრულებით გასხვისება შეეხებოდა მხოლოდ შენობა-ნაგებობის ნაწილს. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხებ შენობა გამოისყიდა მიწის გარეშე. ამასთან, ფართის გასხვისების მომენტში მიწა, რომელზეც იდგა შენობა და მით უფრო შენობა-ნაგებობის უკან მდებარე მიწის ნაკვეთი, მოსარჩელეს საკუთრებაში არ ჰქონია, რის გამოც იგი მოკლებული იყო ფაქტობრივ-სამართლებრივ შესაძლებლობას, გაესხვისებინა მის საკუთრებაში ჯერ კიდევ არარსებული მიწის ნაკვეთი.

საკასაციო პალატის განმარტებით, შენობა-ნაგებობის ქვეშ არსებული ფართი ამავე შენობის მესაკუთრებს ეკუთვნით ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციულად. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებულია ის შენობა-ნაგებობა, რომლიდანაც შენობის ნაწილი ეკუთვნის მოპასუხეს, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი — მოსარჩელეს, უნდა აღირიცხოს მხარეთა თანასაკუთრებად.

2.4.1. შენობა-ნაგებობისა და მისასვლელი გზის რეგისტრაციის საფუძველი

საჯარო რეესტრში წარდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების სარეგისტრაციო დოკუმენტად მიჩნევა

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აღასტურებს პირის მიერ სამკვიდრო ქონების მიღებას, წარმოადგენს საკუთრების უფლების წარმომშობ, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების სარეგისტრაციო დოკუმენტს, რომელიც დამატებით არ საჭიროებს ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაცემას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 იანვრის განმარტება საქმეზე №პს-1507(კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

მოსარჩელეს სადაცოდ ჰქონდა გამხდარი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უარი უძრავი ქონების რეგისტრაციაზე იმ საფუძვლით, რომ არ იყო წარდგენილი კანონით გათვალისწინებული უფლების დამდგენი დოკუმენტი, მაშინ როდესაც მან მარეგისტრირებელ ორგანოში წარმოადგინა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც დადგენილი იყო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი მასზედ, რომ მან მიიღო მემკვიდრეობა. ეს უკანასკნელი მტკიცებულება მარეგისტრირებელმა ორგანომ რეგისტრაციის მიზნებისათვის არ მიიჩნია საკმარის საფუძვლად.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების უფლების მემკვიდრეობით-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმომშობის შემთხვევაში, საჯარო რეესტრი საკუთრების უფლების რეგისტრაციას ახორციელებს არა მემკვიდრეთა სრულად მოძიების თუ მათი არსებობის გამორიცხვის, არამედ მისთვის საკუთრების უფლების წარმომშობი დოკუმენტის წარდგენის შემდგომ. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა გაიზიარეს ადმინისტრაციული ორგანოს შეფასება, რომ მოსარჩელეს მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების მოწმობა უნდა წარედგინა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, არც საკუთრების მოწმობის არსებობა და არც მის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია არ გამორიცხავდა შესაძლო მემკვიდრეების მომავალში (უფლების რეგისტრაციის შემდგომ) გამოჩენასა და მათ მიერ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით სამომავლო დავის წამოწყებას. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების რეგისტრაციის

განხორციელების საფუძველია განმცხადებლის მხრიდან წარდგენილი უფლებადამდგენი ღოკუმენტი, ამდენად, უფლების რეგისტრაცია არ ხდება დამოკიდებული პოტენციურ მემკვიდრეთა არსებობა-არარსებობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს პირის მიერ სამკვიდრო ქონების მიღებას, წარმოადგენს საკუთრების უფლების წარმომშობ, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების სარეგისტრაციო ღოკუმენტს, რომელიც დამატებით არ საჭიროებს ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაცემას და მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებული იყო სადაც უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაცია განეხორციელებინა.

საერთო სარგებლობის გზის მესამე პირთა საკადასტრო საზღვრებიდან გამოთავისუფლება

- „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქისათვის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 16.05.99წ. №327 ბრძანებულება;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.01.10წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 25-ე მუხლი

უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაცია და მათში ცვლილებების შეტანა წარმოებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლების დამდგენი ღოკუმენტისა და საკადასტრო მონაცემების საფუძველზე, საკადასტრო რუკა დგება შესაბამის კოორდინატთა სისტემაში განხორციელებული აგეგმვის საფუძველზე და არა ნაკვეთის ფაქტობრივი საზღვრის ან ღობის გათვალისწინებით. უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ამსახველი ღოკუმენტი - ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომელიც დგება სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში და შესაბამისობაში უნდა იყოს უფლებადამდგენი ღოკუმენტაციის მონაცემებთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 11 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-209-209(კ-18) <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

დავის წარმოება განპირობებული იყო მოსარჩელეთა ნაკვეთამდე მისასვლელი გზის მოწყობის ინტერესით. საქმეში დაცული ღოკუმენტაციის მიხედვით მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებულ ნაკვეთამდე გაყვანილი იყო გზა, თუმცა ფაქტობრივი

მდგომარეობით მიწის ნაკვეთს გზა არ გააჩნია და მომიჯნავე მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრები გადის ყოველგვარი გამყოფი გზის გარეშე. პალატამ მიიჩნია, რომ დადგენას საჭიროებდა წინა მესაკუთრეების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებით მიწის ნაკვეთის გზასთან დაკავშირების, კერძოდ მიღება-ჩაბარების აქტში მოსაზღვრე ობიექტების ასახვა და ზემოაღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის საქმეში დაცულ სხვა დოკუმენტებთან ერთობლიობაში შეფასება. სარჩელის მიზნის მიღწევა კი გულისხმობდა საერთო სარგებლობის გზის გამოთავისუფლებას მესამე პირთა საკადასტრო საზღვრებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეთა ინტერესს შეადგენდა სადაცო რეგისტრაციების მხოლოდ მესამე პირთა საკადასტრო საზღვრებში საერთო სარგებლობის გზის მოქცევის ნაწილში ბათილად ცნობა, სახეზე იყო მოთხოვნის დაზუსტების საჭიროება. როგორც საჯარო რესტრის მონაცემების მიხედვით, ისე ფაქტობრივი მდგომარეობით არ გააჩნია დამოუკიდებელი კავშირი საჯარო გზასთან არც საფეხმავლო და არც საავტომობილო. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან, მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად¹⁵.

მისასვლელი გზის რეგისტრაციის კანონიერება

– „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.12 მუხლი

სავალი გზა არ შეიძლება დარეგისტრირდეს კერძო პირის საკუთრებად, თუმცა შესაძლებელია სადაცო მიწის ნაკვეთის მეორეზარისხოვან და მისასვლელ ერთადერთ გზად მიჩნევა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-34(კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

მოსარჩელე სადაცოდ ხდიდა მის საკუთრებამდე მისასვლელი გზის მესამე პირის მიერ რეგისტრაციის ფაქტი. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ისე უარყვეს სარჩელი და შემოიფარგლნენ მხოლოდ გზის სტატუსის ფორმალური განმარტებით და შესაძლო ალტერნატიულ გზაზე მითითებით (მხოლოდ

¹⁵ სკ-ის 180-ე მუხლი.

ორთოფოტოზე დაყრდნობით), რომ არ დაუდგენიათ, რამდენად შეეძლო ესარგებლა მოსარჩევეს ალტერნატიული გზით და რამდენად უზრუნველყოფდა ალტერნატიული გზა მის მიერ მისი საკუთრებით ჯეროვნად სარგებლობის უფლების რეალიზებას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს შეფასება იმის თაობაზე, რომ დარევისტრირებული უძრავი ქონების სადავო მონაკვეთი ვერ აკმაყოფილებდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით შესაბამისად გზად მიჩნევის კრიტერიუმებს. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას, მოსარჩევის მიერ მისი მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ, საქმეში წარმოდგენილი და დამატებით მოძიებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე, რევისტრაციის საფუძვლად მითითებული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის გათვალისწინებით, უნდა შეაფასოს და დაადგინოს სადავო მიწის ნაკვეთის მოსარჩევის საკუთრებამდე მისასვლელ ერთადერთ გზად მიჩნევის და მოსარჩევის მიერ აღნიშნული ტერიტორიით სარგებლობის აუცილებელი საჭიროების არსებობა/არარსებობის საკითხი.

3. მიწის კანონმდებლობიდან გამომდინარე აქტების კანონიერება

2020 წელს ამ კატეგორიის დავებზე არსებითად განხილულია 9 საქმე, მათ შორის ახალი გადაწყვეტილება მიღებულია 5 საქმეზე, გაუქმდა და დაბრუნდა ხელახალი განხილვისათვის 1 საქმე, უცვლელად დატოვებულია 3 საქმე.

სადავო მიწის ნაკვეთის ფლობა-სარგებლობის ფაქტი, როგორც საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ და „გ“ ქვეპუნქტები

როგორც უკვე წარმოშობილი, აგრეთვე, არარევისტრირებული, ჯერ კიდევ რეალიზებადი უფლების არსებობა, თანაბრად დაუშვებელს ხდის საკუთრების უფლების აღიარების წესით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის ფიზიკურ თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირზე გადაცემას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებულ დავაზე საკასაციო სასამართლომ უპირველესად, მიზანშეწონილად მიიჩნია იმსჯელოს საკუთრების უფლების აღიარების დასაშვებ ფარგლებზე. საკასაციო პალატის განმარტებით, საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საკუთრების უფლების აღიარების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებით ცალსახად გამოირიცხება უკვე განკერძოებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარების წესით სხვა კერძო სამართლის სუბიექტის საკუთრებაში სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით გადაცემა, ვინაიდან კერძო საკუთრების ობიექტის სახელმწიფოს მხრიდან განკარგვა ლახავს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებას. ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების აღიარებისათვის შემაფურხებელ ფაქტობრივ გარემოებას არა მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციით ფიქსირებული, ფიზიკური თუ კერძო სამართლის იურიდიული პირის სახელზე უკვე წარმოშობილი საკუთრების უფლება ქმნის, არამედ კონკრეტულ პირზე სადაცო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული საკუთრების უფლების მოპოვებისათვის საჭირო უფლებადამდგენი დოკუმენტის არსებობაც. შესაბამისად, როგორც უკვე წარმოშობილი, აგრეთვე, არარეგისტრირებული, ჯერ კიდევ რეალიზებადი უფლების არსებობა, თანაბრად დაუშვებელს ხდის საკუთრების უფლების აღიარების წესით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის ფიზიკურ თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირზე გადაცემას. პალატამ, ასევე აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებით დაინტერესებული განმცხადებელი უფლებასაღიარებელ მიწის ნაკვეთს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაუუფლა და 1976 წლიდან განცხადების წარდგენის მომენტამდე ფლობდა და სარგებლობდა სადაცო უძრავი ქონებით. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და საბჭოთა საქართველოს პერიოდის სამართლებრივი რეალობის, აგრეთვე, მოსარჩევის

ოჯახის მიერ სადაც მიწის ნაკვეთის საკუთარი ნებით მიტოვების ფაქტისა და ამ უძრავი ქონების 40-წლიანი ფლობა-სარგებლობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებაში გადაცემულ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება

- „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილებით დამტკიცებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი

თვითნებურად დაკავებული მიწა მოიცავს მუნიციპალურ საკუთრებასაც, რის გამოც დასაშვებია საკუთრების უფლების აღიარება ამგარ მიწის ნაკვეთებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 5 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-89(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მუნიციპალური საკუთრება არ წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრების ნაირსახეობას, თუმცა წარმოადგენს საჯარო საკუთრების დამოუკიდებელ ნაირსახეობას. პალატის განმარტებით, მოსახლეობის ინტერესებს შეესაბამება მათ მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწებზე მათივე საკუთრების უფლების აღიარება, ამ უფლების რეალიზაცია კი არ ადასტურებს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრების უფლების შეზღუდვას. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ადგილზე დათვალიერების ოქმი ან/და სხვა რაიმე წერილობითი სახის მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ კომისია განცხადების განხილვის მიზნით გასული იყო ადგილზე, დაათვალიერა უფლებაასაღიარებელი მიწის ნაკვეთი და სხვა მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე მიიღო

სადავო გადაწყვეტილება. კომისიის მხრიდან მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების თვითნებურად დაკავებისა და მიწის ნაკვეთით სარგებლობის, აგრეთვე, მისი მყარი სასაზღვრო მიჯნით შემოღობის ერთპიროვნული, ფაქტობრივად დაუდასტურებელი მითითების საპირისპიროდ, საქმეში მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც ცალსახად ადასტურებს მოსარჩელის მიერ უფლებაასაღიარებელი მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტს. მოსარჩელის მიერ წარდგენილ განცხადებას თან ერთვოდა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით განსაზღვრული საკუთრების უფლების აღიარებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი, კერძოდ, დაზუსტებული აზომვითი ნახაზი, მეზობლების თანხმობა და ექსპერტიზის დასკვნა, რაც აღმინისტრაციულ ორგანოს წარდგენილი განცხადების დაკმაყოფილების წინაპირობას უქმნიდა, თუმცა საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ მითითებულ დოკუმენტთა უგულებელყოფით, საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსისა და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში)“ არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების „შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიღო უფლებაასაღიარებელ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი

– „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

საკუთრების უფლების აღიარების კომისიას გააჩნია ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევის მთელი რიგი საშუალებები, მათ შორის, უფლებაასაღიარებელი მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის ობიექტურად იქნეს გამორკვეული სადავო მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობის სარგელობლობასთან დაკავშირებით დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი მდგომარეობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 იანვრის განმარტება საქმეზე №პს-1343(კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

საკასაციო პალატის განმარტებით, მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ცნობა-დახასიათება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე, სასამართლოს აქტი, ორთოფოტო

(აეროფორტოგადაღება), აბონენტად აყვანის დოკუმენტი, გადახდის ქვითარი ან/და სხვა დოკუმენტი. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მოხმარებისა და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება შესაძლოა წარმოადგენდეს მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელ ერთ-ერთ და არა ერთადერთ მტკიცებულებას. მოცემულ შემთხვევაში უფლებაასაღიარებელ მიწის ნაკვეთზე მდებარე საცხოვრებელ სახლში არ გააჩნია კომუნიკაციები, კონკრეტულად, არ აქვს შეყვანილი ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია კი მეზობლისგან აქვს გადმოყვანილი, რაც შეუძლებელს გახდიდა მოსარჩევის მიერ ზემოხსენებულ დოკუმენტთა მოპოვებას და შემდგომში მის სასამართლოში წარდგენას. ამდენად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს სრულყოფილად, დეტალურად, ზედმიწევნით არ ჰქონდა შესწავლილი მოსარჩელის რეალური საცხოვრებელი პირობები, სააპელაციო სასამართლოს ხელთ არ გააჩნდა ის ფაქტობრივი წანამძღვრები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა სხვა მტკიცებულებათა არსებობის პირობებში, მარტოოდენ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მოხმარების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო სადაც მიწაზე არსებული შენობა-ნაგებობის ფლობის ფაქტის გამორიცხვას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სრულყოფილად არ გამოუკვლევია ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა შეფასებას იმისა, ექცეოდა თუ არა სადაც მიწის ნაკვეთი თვითნებურად დაკავებული მიწის დეფინიციაში და შესაბამისად, ექვემდებარებოდა თუ არა იგი მასზე საკუთრების უფლების კანონით დადგენილი წესით აღიარებას. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა სრულყოფილად, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში გამოკვლეული და შესწავლილი, კონკრეტულად რა მდგომარეობით არსებობდა შენობა-ნაგებობის სახურავი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების პერიოდისათვის.

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება

– „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი

საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემდებარება თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მათ შორის, სასაფლაო და პანთეონი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 17 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-707(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებული იყო მხოლოდ ის გარემოება, რომ უფლებასასაღიარებელ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა წარმოადგენდა დროებით შენობა-ნაგებობას, მაშინ როდესაც ექსპერტის დასკვნაში მითითებულია, რომ შენობა წარმოადგენს ნაგებობას და არა დროებით ნაგებობას.

სადავო მიწის ნაკვეთი, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, მოქცეულია საცხოვრებელ ზონაში (სზ-2), მასზე გათვალისწინებული იყო სასაფლაოების სპეციალური შეზღუდვა. სადავო განკარგულების დასაბუთებაც არ შეიცავდა მითითებას უფლებააღიარებას მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული სასაფლაოების სპეციალური შეზღუდვის არსებობა-არსებობაზე. კასატორის მითითებით, ამგვარი ტერიტორიები დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენგეგმაზე აღნიშნულია სპეციალური ზონით, რომელთა შემადგენლობაშიც არ შედის მის მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დავის ხელახალი განხილვის პროცესში პასუხი უნდა გასცეს კასატორის მიერ მითითებულ არგუმენტებს და სამართალწარმოების მონაწილეთა მოსაზრებების მოსმენის შემდგომ, მისცეს სამართლებრივი შეფასება სადავო სამართლებრივ საკითხს.

თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის საკუთრების აღიარება მაგისტრალური მილსადენის დაცვის ზონაში

- „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი
- საქართველოს მთავრობის 28.07.16წ. №376 დადგენილებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ 3.2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი და 3.3 მუხლი

საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემდებარება თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სანიტარულ-დამცავი ზონები, თუმცა საკუთრების უფლების აღიარება დაშვებულია მაგისტრალური მილსადენის დაცვის ზონებში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 4 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-116(კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

პალატის განმარტებით, დამცავი ზონა გულისხმობს ნაკვეთით სარგებლობის გარკვეულ სამართლებრივ რეჟიმს, რაც იმთავითვე არ გამორიცხავს მის საკუთრებაში აღიარების შესაძლებლობას. სანიტარულ-დამცავ ზონაში, რკინიგზის გამოყოფის ზოლის გარეთ, დაიშვება ავტომობილის გზების, ავტოფარეხების, მანქანების სადგომების, საწყობების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების განთავსება. მოცემულ დავაში, მოსარჩელის თვითნებურად დაკავებული მიწის ფართის მომიჯნავედ საკუთრება რეგისტრირებული აქვს სხვა პირს, რომელსაც ამ მიწაზე საკუთრების უფლება უღიარა მუნიციპალიტეტის აღიარების კომისიამ, როგორც თვითნებურად დაკავებული ფართი. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას¹⁶. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარზე უარი განაცხადა იმის გამო, რომ

¹⁶ დაუშვებელია აღმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რამდენიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისთვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება (სზაკ-ის მე-4 მუხლი).

ანალოგიურ ვითარებაში სხვა პირის, სადაც ნაკვეთის მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ხოლო პალატამ საოქმო განჩინებით უარი განაცხადა საქმის წარმოების შეწყვეტაზე და მიუთითა, რომ საჩივარზე უარი ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის ასეთი პოზიცია და განმარტა, რომ აღმინისტრაციულ სასამართლოწარმოებაში აღგილი აქვს არა სამძებრო (ინკვიზიციურ) პრინციპს დისპოზიციურობის შეზავებით, არამედ დისპოზიციურობას ინკვიზიციურობის ელემენტებით, რის გამოც სასამართლოს უფლება არ აქვს გადაწყვეტილებით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა¹⁷. მხარეებს აქვთ თანაბარი უფლება გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, მათ აგრეთვე უფლება აქვთ უარი თქვან გასაჩივრებაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმით აპელანტმა მოახდინა სსკ-ის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სასკ-ის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად არის მიმდინარე წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი

— „ფიზიკური და კერძო სამართლის ოურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის აუცილებელი პირობაა მიწის ნაკვეთით 2007 წლამდე სარგებლობის ფაქტის დადგენა;

ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები იმ შემთხვევაში ჩაითვლება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ ის დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-1338(კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით დავაზე მოსარჩელემ საბოლოოდ შემდგომში მოითხოვდა თავის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე ფართზე საკუთრების უფლების აღიარება.

¹⁷ სსკ-ის 248-ე მუხლი.

საკასაციო პალატის განმარტებით, დაინტერესებულ ფიზიკურ პირს შეუძლია მოითხოვოს იმ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, რომელიც მდებარეობს თავის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ და მისი ფართობი ნაკლებია თავის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე. ამასთანავე, უნდა დასტურდებოდეს მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის დაკავების ფაქტი და თვითნებური ფლობა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის კანონის ამოქმედებამდე. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სადაცო ნაკვეთით 2007 წლამდე მფლობელობის ფაქტი დადგინდება როგორც ფიზიკურ პირთა განცხადებებით, ასევე ნოტარიულად დამოწმებული სამ მეზობელთა თანხმობებით¹⁸, თუმცა ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები იმ შემთხვევაში ჩაითვლება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ ის დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში დაცული 2014 წლის ორთოფოტო მასალა (აეროფოტოგადაღება) არ ადასტურებდა 2007 წლის კანონის ძალაში შესვლის პერიოდამდე სადაცო მიწის ნაკვეთის (485 კვ.მ.) თვითნებურად დაუფლების ფაქტს, ხოლო 10.06.17წ. შედგენილი რუკა, ასევე არ ასახავდა კანონის ძალაში შესვლამდე არსებულ მდგომარეობას. ერთიანი ღობით სადაცო ნაკვეთის ერთიან სივრცეში მოქცევა არ ადასტურებდა ასეთი ვითარების არსებობას, მოთხოვნილი ნაკვეთის მომიჯნავე ნაკვეთთან ერთიან სივრცეში ყოფნას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებაში გადაცემულ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება

— „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი

თუ მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია სახელმწიფო და/ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად, საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციის

¹⁸ ნოტარიუსი არ ადასტურებს განცხადებაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და, შესაბამისად, პასუხს არ აგებს მათზე („სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 62.2 მუხლი) და ამოწმებს მხოლოდ დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას („ნოტარიატის შესახებ“ კანონის 38-ე მუხლი).

გათვალისწინებით, აღნიშნული ფაქტით მტკიცდება დასახელებულ მიწაზე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელების შესაძლებლობა და უტყვიარობა. ამდენად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებას ამ მიწაზე მუნიციპალიტეტის უფლების დარეგისტრირება არ აძრკოლებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 5 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-84(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

მიწის ნაკვეთის შესახებ ქონების მართვის სააგენტოს ბრძანებების კანონიერებასთან დაკავშირებულ დავაზე, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებას ამ მიწაზე მუნიციპალიტეტის უფლების დარეგისტრირება არ აძრკოლებს და საკუთრების უფლების აღიარება ამგვარ მიწის ნაკვეთებზე აპსოლუტურად დასაშვებად მიიჩნია.

პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს მუნიციპალიტეტის მიერ არა ქონების განკარგვას, არამედ კერძო პირთათვის კანონით მოპოვებული საკუთრების უფლების რეალიზების უზრუნველყოფას. მოსარჩელის მიზანი თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას უკავშირდება, უფლებასაღიარებელ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმება არა თუ შექმნის მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ გარანტიებს, არამედ პირიქით, შეაფერხებს და გაართულებს ზემოხსენებული მიზნით მოთხოვნის დაკმაყოფილებას. შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილია, მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების საფუძვლით მიმართოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მუნიციპალური ქონების გამოცალკევების მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად, მოითხოვოს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრირებულ თვითნებურად დაკავებულ უფლებასაღიარებელ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება.

თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების საფუძველი

— „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 5¹ მუხლის მე-3 ნაწილი და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი;

– „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

ფიზიკურ პირზე საკუთრების უფლების აღიარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი განცხადების წარდგენის მომენტისათვის ნამდვილად ფლობს, სარგებლობს ან თვითნებურად დაკავებული აქვს მიწის ნაკვეთი, რა დროსაც დაინტერესებულმა პირმა საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელ მუდმივოქმედ კომისიაში უნდა წარადგინოს ის უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც გამორიცხავს აღნიშნული მიწის ნაკვეთის სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მართლზომიერი ან თვითნებურად დაკავების ფაქტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-317-317(კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

მოცემულ დავაზე, სადავო ტერიტორიის ფლობის დამადასტურებლად, განმცხადებლის მიერ კომისიაში წარდგენილ იქნა საკადასტრო აზომვითი ნახაზი ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებით, სიტუაციური გეგმა, ორთოფოტო, საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ინფორმაცია უძრავ ნივთზე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ნაკვეთის 1989 წლიდან ფლობის თაობაზე მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

თუმცა თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ სამი საფუძვლით, კერძოდ, არ დადასტურდა განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის თვითნებურად ფლობის ფაქტი, მიწის ნაკვეთის ნაწილი წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტებით დაკავებულ მიწის ნაკვეთს და სადავო ტერიტორია მოიცავს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. საკასაციო პალატის განმარტებით, მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ცნობა-დახასიათება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე, სასამართლოს აქტი, ორთოფოტო (აეროფოტოგადაღება), აბონენტად აყვანის დოკუმენტი, გადახდის ქვითარი ან/და სხვა დოკუმენტი. პალატამ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თვითნებურად დაკავებული მიწის დეფინიცია არ შეიცავს მითითებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაზე,

თუმცა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მიღების პერიოდში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი რეალობის, აგრეთვე კანონის სისტემური და ტელეოლოგიური განმარტების გათვალისწინებით, არ გამოირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების აღიარება. აღსანიშნავია, რომ რეგისტრაციას და სახელმწიფო ქონების ფაქტობრივ გამიჯვნას წინ უსწრებდა განმცხადებლის მიერ ნაკვეთის თვითნებურად დაკავება, სადაც ტერიტორია ამჟამად შემოღობილია მავთულბადით და ნაწილობრივ ხის მასალით, ამასთან, ნაკვეთზე განთავსებულია კაპიტალური ნაგებობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის დადგენა, რომ პირის მიერ მოხდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის დაკავება, ხოლო ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებიდან ადგილობრივ საკუთრებაში გადაცემით არ გაუქმებულა ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესაძლებლობა, ვინაიდან აღნიშნულით არ მომხდარა ნაკვეთის პრივატიზება, მისი განკურმოება.¹⁹

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება და რეგისტრაცია

— „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7⁴ მუხლი

თუკი საჯარო რეესტრში არ არსებობს ჩანაწერი, რომელიც დაადასტურებს კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე კერძო საკუთრების არსებობას, ის წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და რეგისტრაციით ხდება მხოლოდ და მხოლოდ არსებული ფაქტის დაფიქსირება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 2 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-765(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში აღრიცხვის შესახებ მიმართვამდე ადმინისტრაციული ორგანო უნდა ადგენდეს მის დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმართ სხვა პირთა უფლების არსებობას, თუმცა მოცემულ შემთხვევაში თავად მოსარჩელეც ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ არ მოიპოვება მათი მართლზომიერი მფლობელობის

¹⁹ იხ. ასევე სუსგ №ბს-504-501(კ-17) 28.10.2019.

დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, რომელიც სადავო მიწის ნაკვეთზე მის საკუთრების უფლებას დაადასტურებდა. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე ნაკვეთს.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლებელია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისათვის დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად. ამდენად, სადავო ბრძანების საფუძველზე უძრავ ნივთებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია არათუ ზღუდავს მოსარჩელის უფლებას, არამედ წარმოადგენს ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას, რომ მოსარჩელე განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზება და სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით დადგენილი პროცედურის დაცვით, პრივატიზაციის გზით, მასზე მოიპოვოს საკუთრების უფლება.²⁰ ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტის არსებობის პირობებშიც, 2012 წლის 1 იანვრიდან კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა დაკარგა მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, ასევე თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესაძლებლობა, ასევე გამოირიცხება მოსარჩელის, როგორც დაინტერესებული პირის აღმინისტრაციულ წარმოებაში სავალდებულო წესით მიწვევა, ასევე სადავო აქტების ბათილად ცნობის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობა.

²⁰ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული დამატებებისა და ცვლილების შეტენის თაობაზე 2010 წლის 7 დეკემბრს №3889 – IIIს კანონის პრეველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონს დაქმატა შემდეგი შინაარსის 7⁴ მუხლი - კერძო სამართლის იურიდიული პირის მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების ვადა, რომელიც ამომწურა 2012 წლის 1 იანვარს.

მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისა და ყოველი მომდევნო რეგისტრაციების ბათილად ცნობა

- „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები;
- „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი;
- საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 129-ე მუხლი

ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს საკოლმეურნეო კომლის ქონებას და იგი არის კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომელზედაც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 1 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-786(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

მიწაზე ერთ-ერთი უფლების ხარვეზით რეგისტრაციის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდა რამდენიმე დაინტერესებული მხარის უფლება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილების მიღებისას არ შეაფასა და შეაჯერა საქმესთან დაკავშირებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია. სარეგისტრაციო წარმოების საფუძველია განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.²¹ პალატამ აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთებზე პირველადი რეგისტრაციის განხორციელების პერიოდში, მიწის მიმართ უფლებათა სახელმწიფო რეგისტრაცია წარმოებდა კანონით „მიწის რეგისტრაციის შესახებ“.

²¹ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი.

პირველადი რეგისტრაცია ხდებოდა ორ საფუძველზე: მიწის და სხვა უძრავი ქონების ობიექტებზე უფლებების დადგენისა და ამ ქონებაზე უფლებების გადასვლის საფუძველზე. უძრავი ქონების ობიექტზე უფლებების დადგენის საფუძველზე რეგისტრაცია გულისხმობდა გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში მიწის კადასტრის სამუშაოების ჩატარებას, რათა რეგისტრირებულ და დოკუმენტირებულ იქნეს საკუთრება, უძრავი ქონების საზღვრები და მასზე უფლებები. ამდენად, უძრავი ქონების ობიექტებზე უფლებების რეგისტრაცია მოიცავდა ორ მთავარ მოქმედებას: მიწის კადასტრის სამუშაოების ჩატარებას, ე.ი სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებას, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, საზღვრების დადგენას და დოკუმენტირებას და ამ ქონებაზე უფლებების დადგენას.

ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია წარმოადგენდა საკუთრების უფლების რეგისტრაციის ერთ-ერთ საფუძველს.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია წარმოადგენდა იმ სახის დოკუმენტს, რომელიც მხარეს ანიჭებდა შესაძლებლობას, კანონმდებლობის საფუძველზე, მოეთხოვა უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაცია. მოცემულ შემთხვევაში, სადაც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლად მითითებული იყო არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გადამხდელთა სიები, თუმცა აღნიშნულ სიებში მხარეები არ ფიქსირდებიან, ასეთი სია არ მოიძებნა საჯარო რეგისტრშიც. პალატის განმარტებით, თავისთავად ეს გარემოება არ იწვევს სადაც აქტების ბათილად ცნობას, თუმცა იმ ვითარებაში, როდესაც სადაც არის ქცეული აღნიშნული საგადასახადო სიების საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციები და მოსარჩელის მტკიცებით, სადაც ქონება კომლის საკუთრებას წარმოადენდა, აღნიშნული გარემოება ქმნიდა საფუძვლიან ეჭვს სადაც რეგისტრაციების კანონიერების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე

ყველა გარემოება და გადაწყვეტილების მიღებისას არ შეაფასა და შეაჯერა საქმესთან დაკავშირებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.

4. სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე დავები

2020 წელს ამ კატეგორიის დავებზე სულ განიღულია 11 საქმე, მათ შორის ახალი გადაწყვეტილება მიღებულია 6 საქმეზე, გაუქმდა და დაბრუნდა ხელახალი განხილვისათვის 3 საქმე, უცვლელად დატოვებულია 2 საქმე

უნებართვო მშენებლობის ობიექტის დემონტაჟის ვალდებულების დაკისრების კანონიერება

— პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

საჯარო რეესტრში აღრიცხული ობიექტის დემონტაჟის დავალება ხელყოფს ფიზიკური პირის საკუთრების უფლებას, თუ „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით“ არ იქნება დასაბუთებული უფლებაში ჩარევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი და ლეგიტიმური მიზანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე №პს-1106(3კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შედეგად მოსარჩელის მიმართ გამოცემული ზედამხედველობის სამსახურის მითითების, დადგენილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანების კანონიერება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც ცალსახად არ დგინდებოდა სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი პირი, კანონმდებლობა პასუხისმგებლობას სწორედ უნებართვო შენობის მესაკუთრეს აკისრებს. პალატამ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება მოსარჩელის სამართალდამრღვევად ცნობისა და დაჯარიმების ნაწილში შესულია კანონიერ ბალაში და სადავო აღარ არის გასაჩივრებული აქტების კანონიერება სამართალდარღვევის ფაქტის არსებობაზე. მოცემულ შემთხვევაში სადაცოა მხოლოდ უნებართვოდ აშენებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ვალდებულებისაგან გათავისუფლების ნაწილში გასაჩივრებული

გადაწყვეტილების კანონიერება. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ უნებართვოდ აშენებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ნაწილში საქმის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა სადავო შენობა-ნაგებობის სამართლებრივი მდგომარეობა და საქმეზე დადგენილი გარემოებები, რომლის თანახმად, მოსარჩელემ უძრავი ქონება (ავტოფარეხი) შეიძინა მას შემდეგ, როდესაც სადავო ობიექტი უკვე აშენებული იყო და აღრიცხული იყო საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით წინა მესაკუთრის სახელზე. სადავო იყო სწორედ ის გარემოება, რამდენად არსებობს მოსარჩელისათვის კანონის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დავალების საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ უძრავ ნივთზე მოსარჩელის საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მას შემდეგ, როცა შენობა აშენებული იყო და მოსარჩელის მოქმედების შედეგად არ განხორციელებულა სადავო შენობა-ნაგებობაზე გაბარიტების რაიმე ცვლილება. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც საქმეზე არ დგინდებოდა უფლების ბოროტად გამოყენების მიზნით მოსარჩელის მიერ მოქმედებების განხორციელება, საჯარო რეესტრში აღრიცხული ობიექტის დემონტაჟის დავალება ხელყოფს ფიზიკური პირის საკუთრების უფლებას, ამდენად, უკანონოდ შექმნილი საკუთრების ობიექტის კეთილსინდისიერი შემძენის მიმართ არ არსებობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულების დაკისრების საფუძველი, თუ უტყუარად არ დადასტურდება, რომ იმავე პირის უკანონო მოქმედება (მოქმედებები) დაედო საფუძვლად ან ხელი შეუწყო უკანონო საკუთრების ობიექტის შექმნას, რაც მოიცავს, როგორც უნებართვოდ მშენებლობის წარმოებას, ასევე კანონის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. მითითებული გარემოებების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, საკუთრების უფლებაში ნებისმიერი ჩარევა გამართლებული უნდა იქნეს უპირატესი უფლების დაცვის მიზნით, აღნიშნულის მტკიცების ტვირთი კი აღმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება²².

²² საკ-ის მე-17.2 მუხლი.

უნებართვო მშენებლობის გამო დაკისრებული ჯარიმისგან გათავისუფლების საფუძველი

- „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის 14.2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები;
- „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019 წ.
საქართველოს კანონის პირველი მუხლი, მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტი.

სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების მომენტს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს. სადაც აქტების გასაჩივრების შემთხვევაში პირისათვის საბოლოო შედეგს იწვევს სასამართლო გადაწყვეტილება და არა სადაც აქტები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 2 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-7(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

საკასაციო პალატის განმარტებით, სამშენებლო სამართალდარღვევის გამო პასუხისმგებლობა ეკისრება მშენებლობის მწარმოებელ პირს და არა უძრავი ქონების მესაკუთრეს. მოცემულ დავაზე ტერიტორიის ის ნაწილი, რომელზედაც უკანონო მშენებლობა იქნა განხორციელებული, წარმოადგენდა არა სამართალდარღვევის ჩამდენი პირის, არამედ მოსარჩელის შვილის საკუთრებას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს სადაც აქტების დემონტაჟის ნაწილში ბათილად ცნობის საფუძვლები, რადგან შენობა-ნაგებობა დღეის მდგომაროებით სხვა პირის კერძო საკუთრებაა, რაც გამოიწვევდა მესაკუთრის კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების შელახვას. რაც შეეხება მოსარჩელისათვის დაკისრებულ ჯარიმას, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან სამშენებლო სამართალდარღვევა ჩადენილია 2019 წლის 15 იანვრამდე, ხოლო მოსარჩელისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილება გასაჩივრებულია და ჯერ არ იყო აღსრულებული, ხოლო მოსარჩელე პენსიონერია და, ამავდროულად, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, არსებობს მასზე დაკისრებული ჯარიმის გაუქმების საფუძველი.

სამშენებლო დავის გამო პენსიონერზე დაკისრებული ჯარიმის გაუქმების
საფუძველი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 2 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-7(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

სხვა²³ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უნებართვო მშენებლობის წარმოებისათვის გათვალისწინებული სათანადო სანქციის – დაჯარიმების ან/და უნებართვო ნაგებობის დემონტაჟის სახით²⁴, დამრღვევისათვის დაკისრება არ ხდება დაუყოვნებლივ, გადაცდომის აღმოჩენისთანავე, ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით²⁵, მითითებით სავარაუდო დამრღვევს განესაზღვრება ვადა განხორციელებული ქმედების მართლზომიერების დასადასტურებლად ან დარღვევის გამოსასწორებლად²⁶, მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების შესრულებასთან მიმართებით²⁷, უკეთუ შემოწმების აქტში დაფიქსირდა დარღვევა – მითითების პირობების შეუსრულებლობა, აქტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას პირისათვის სახდელის დაკისრების შესახებ, ამასთანავე, სამართალდარღვევა გამოსწორებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მითითებით განსაზღვრული ვადის ამოწურვის მიუხედავად, სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილების გამოცემამდე დამრღვევი აღმოფხვრის სამართალდარღვევას²⁸. მოცემულ დავაზე სამართალდამრღვევად ცნობისა და სახდელის დაკისრების შესახებ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილებას მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ძირითადად იმ საფუძვლით, რომ სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა ორი თვით – 2015 წლის 13 სექტემბრამდე, შესაბამისად, მას ამ თარიღამდე ჰქონდა სამართალდარღვევის გამოსწორების უფლება, თუმცა მისი შემოწმება განხორციელდა ვადაზე ადრე – 11.09.2015წ., რითაც მოესპო ღობის სრული დემონტაჟის შესაძლებლობა.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მოსაზრება, რომ საქმის განხილვის ვადის გაგრძელება განხორციელდა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოსათვის და

²³ სუსგ №ბს-468-465(კ-17) 21.01.2020.

²⁴ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25.9 მუხლი.

²⁵ იმავე კოდექსის 25.2 მუხლი.

²⁶ იმავე კოდექსის მე-15 მუხ., „ღ“ ქვ.პ.

²⁷ იმავე კოდექსის 25.5 მუხლი.

²⁸ იმავე კოდექსის 25.7 მუხლი.

განმარტა, რომ პირს წინასწარ უნდა ჰქონდეს თავისი ქმედებების სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის გონივრული შესაძლებლობა. საქმის წარმოების ვადის გაგრძელება მოხდა ზუსტად განსაზღვრულ თარიღამდე, შესაბამისად, სავარაუდო სამართალდამრღვევს წარმოეშვა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ აღნიშნული ორთვიანი ვადის ამოწურვის ბოლო დღემდე არ მოხდებოდა მისი შემოწმება ან სახდელის დაკისრება. პალატის განმარტებით, კანონმდებლის უპირატესი მიზანია არსებული სამართალდარღვევის აღმოფხვრა, მისი გამოსწორება და არა დამრღვევის დასჯა. ამდენად, როდესაც ერთი მხრივ, არ იყო ამოწურული დარღვევის გამოსწორების ვადა, ხოლო მეორე მხრივ განმეორებითი შემოწმებისას დადგინდა, რომ დემონტაჟი ნაწილობრივ განხორციელებული იყო, ხოლო მოსარჩელე მზადყოფნას გამოთქვამდა იმავე დღეს დემონტაჟის ნებაყოფლობით დასრულებაზე, გაურკვეველია მისთვის სახდელის დაკისრების დანიშნულება, სადაც დადგენილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, უნებართვო ნაგებობა: რკინის ბოძები და მავთულბადის ღობე დემონტირებულია, ამასთანავე, მოსარჩელე საპენსიო ასაკისაა, რის გამოც არსებობდა სადაც სამართალურთიერთობის მიმართ, მოსარჩელისათვის დაკისრებული ჯარიმის დაკისრებული ჯარიმის გაუქმების საფუძველი²⁹.

სამშენებლო სამართალდარღვევის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

– „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. საქართველოს კანონის პირველი მუხლი, მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

ფიზიკური პირები, რომლებიც არიან ასაკით პენსიონერები (ქალი 60 წლის ასაკიდან, მამაკაცი 65 წლის ასაკიდან) თავისუფლდებიან ჯარიმის/ საურავის გადახდისგან 2019 წლის 15 იანვრამდე ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. საქართველოს კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

²⁹ „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქ.პ.

მოსარჩელე სადაცოდ ხდიდა სამართალდარღვევის არსებობის ფაქტს იმ საფუძვლით, რომ მას სამშენებლო სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, რადგან 2000-2001 წლებში აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებდა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს უნდა ეხელმდებლობა სავარაუდო სამართალდარღვევის გამოვლენის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით და განეხორციელებინა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებული ლონისძიებები, ხოლო გაეთვალისწინებინა ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის მიერ შესრულებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები არა დღეს მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობის, არამედ სწორედ იმ პერიოდისათვის მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობის შესაბამისი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან 2000-2001 წლებში განხორციელებული მსგავსი ტიპის სარეკონსტრუქციო სამუშაოები არათუ ნებართვის აღებას, არამედ აღმინისტრაციული ორგანოსთვის მშენებლობის შეტყობინების ვალდებულებას არ საჭიროებდა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო სამართალდარღვევის შემადგენლობა, აღნიშნული კი გამორიცხავდა მოსარჩელის სამშენებლო სამართალდამრღვევად მიჩნევას და მისთვის შესაბამისი სანქციის დაკისრებას. ამასთან, საკასაციო პალატამ გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. კანონის ამოქმედების მომენტისათვის იყო პენსიონერი, წარმოადგენდა ამ კანონის სუბიექტს, შესაბამისად, არსებობდა მისთვის დაკისრებული ჯარიმის ნაწილში კანონით გათვალისწინებული შეღავათის გავრცელების საჭიროება, კერძოდ, მასზე დაკისრებული ჯარიმის გაუქმების საფუძველი.

სოციალურად დაუცველ და დევნილ პირებზე შეღავათის გავრცელება სამშენებლო სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას

— „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტები;

- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილი

ადმინისტრაციული სახდელისგან თავისუფლდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი 100 001 ქულაზე ნაკლებია, აგრეთვე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 2 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-186(2) 19-
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა მოსარჩევე დააჯარიმა უნებართვოდ მიშენების განხორციელებისათვის და უნებართვოდ განხორციელებული მიშენების დემონტაჟი დაევალა. განსახილველი დავის გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლომ შეზღუდული იყო წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების ფარგლებით, რომლებითაც სადავოდ გამხდარი იყო მხოლოდ მოსარჩევეზე დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის ოდენობა, რის გამოც პალატა მოკლებული იყო შესაძლებლობას, საკასაციო წესით მოცემული დავის განხილვისას შეამოწმოს, ჰქონდა თუ არა აღვილი სამართალდარღვევის ჩადენას, ამასთან, გადაწყვიტოს არსებობდა თუ არა მოსარჩელისათვის დემონტაჟის დავალების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფოს თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის იმპერატიულად განსაზღვრის პირობებში, არ არსებობდა მოსარჩელისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის ოდენობის - 10 000 ლარის 8 000 ლარამდე შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები. ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებში დაცული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე იყო სოციალურად დაუცველი, აგრეთვე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილი, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ ფაქტობრივ გარემოებებად არ იქნა დადგენილი. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქმეში

წარმოდგენილი დევნილის მოწმობა გაცემული იყო 2014 წლის 24 იანვარს, რის გამოც განსახილველ საქმესთან მიმართებით დამატებით გამოსარკვევი და დასადგენია, ძალაშია თუ არა მოსარჩელისათვის 2014 წლის 24 იანვრის მდგომარეობით მინიჭებული დევნილის სტატუსი. იმ შემთხვევაში, თუკი დადასტურდება მოსარჩელეს „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტად მიკუთვნება, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია მხოლოდ 10 000 და 8 000 ლარის სხვაობის - 2 000 ლარის ნაწილში იმსჯელოს მოსარჩელესთან მიმართებით ადმინისტრაციულ სახდელებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათის გავრცელების შესაძლებლობაზე. რაც შეეხება დაკისრებული სანქციის დარჩენილ ნაწილს - 8 000 ლარს, იმ შემთხვევაში, თუკი სააპელაციო პალატის მიერ გამოკვლეული ინფორმაციით მოსარჩელე „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტად ჩაითვლება, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, 8 000 ლარის ნაწილში ადმინისტრაციული სახდელისაგან პირის გათავისუფლება განსახილველ საქმეზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სტადიაზე უნდა იქნეს განხორციელებული.

სოციალურად დაუცველ პირზე დაკისრებული ჯარიმის გადახდისაგან გათავისუფლება

— „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019 წ. კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

„ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019 წ. კანონით შეღავათი ეხება მხოლოდ ჯარიმისაგან და საურავისაგან განთავისუფლებას და არა შენობის პირვანდელ მდგომარეობის მოყვანის დავალებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 27 თებერვლის განმარტება საქმეზე №პს-1164(კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

იმავე კატეგორიის სხვა დავაზე, რომელიც ეხებოდა სამშენებლო სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობის ფასადის რეკონსტრუქციას, კერძოდ, შენობაზე ფანჯრის ღიობის შემცირებას, მეორე

ფანჯრის ღიობის გადიდებას და მის ნაცვლად კარის მოწყობას, საკასაციო პალატამ ადმინისტრაციული სახდელისაგან – ჯარიმისა და საურავისაგან, გაათავისუფლა სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, ხოლო ბრძანება მოსარჩელისთვის შენობის პირვანდელ მდგომარეობის მოყვანის დავალების ნაწილში მიიჩნია კანონიერად და განმარტა, რომ ის გარემოება, რომ მაცხოვრებლების მიერ მოხდენილი რეკონსტრუქციის შედეგად კასატორს არ აქვს ფართში სხვა შესასვლელი, ქმნიდა არა უკანონო რეკონსტრუქციის, არამედ კანონმდებლობით დადგენილი წესით და პროცედურებით რეკონსტრუქციის ნებართვის საკითხის დასმის საფუძველს. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის გაუქმების საფუძველს არ ქმნის კასატორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ იდენტურ გარემოებაში კორპუსის სხვა მაცხოვრებლებისათვის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა არ მოუთხოვიათ. საკასაციო პალატის განმარტებით, სამართალდარღვევაზე რაეგირება არ განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული სფეროს უფლებამოსილებათა რიგს, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს პრაქტიკა ამ მიმართებით ვერ ახდენს გავლენას სადაც აქტის კანონიერებაზე, მოცემული დავის ფარგლებს სცილდება ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა სხვა დარღვევის მიმართ.

უნდართვოდ აშენებული კაპიტალური შენობა-ნაგებობის დემონტაჟისა და დაჯარიმების შესახებ აქტების კანონიერება

- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „„ქვეპუნქტი
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლი

აქტებს, რომლებიც აწესებენ ან აძლიერებენ პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, უკუქცევითი ძალა არა აქვთ, შესაბამისად, ახალი რეგულაციით პასუხისმგებლობის დამძიმების შემთხვევაში, მართებულია დავის გადაწყვეტისას სანქციის დაკისრებისას მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების გამოყენება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 16 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-1139(კ-18)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ უნებართვო მშენებლობისთვის პირის დაჯარიმების და შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესახებ აქტის კანონიერების შემოწმებისას, შეფასებული უნდა იყოს ყველა საქმეზე წარმოდგენილი გარემოებები, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერები, საკადასტრო გეგმა, ასევე დაკისრებული ჯარიმის ოდენობის კანონიერება, სადაც შენობა-ნაგებობისა და მის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის სამართლებრივი მდგომარეობა.

საკასაციო პალატის განმარტებით, სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების მომენტს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს, თუმცა აღნიშნული მოწესრიგება გასათვალისწინებელია მხოლოდ პასუხისმგებლობის შემსუბუქებისას ან გაუქმებისას, თუმცა იმ ვითარებაში, როცა ქვედა ინსტანციის სასამართლოს არ დაუდგენია სადაც შენობა-ნაგებობისა და მის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის სამართლებრივი მდგომარეობა, შეუძლებელი იყო მსჯელობა გასაჩივრებული აქტების კანონიერებაზე, რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნიდა, აღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ხელახლი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა.

მშენებლობის ნებართვის მოპოვება სანაპირო ზოლისთვის უსაფრთხო სამშენებლო პროექტის ფარგლებში

- „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, 37-ე მუხლი, 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი;
- „ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეების ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ 27.10.2000 წლის საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი.

მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა. ზღვის პლაჟზე დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი, დროებითი კონსტრუქციების განთავსება.

2010 წელს მოსარჩელესა და ქ. ბათუმის მერიას შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობით მიწის ნაკვეთის გადაცემის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელეს აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაეცა ზღვისპირა ბულვარზე მდებარე მიწის ნაკვეთი, ხელშეკრულების თანახმად, აღნაგობის უფლების მქონე პირს დაეკისრა ვალდებულება, რომ საკუთარი ხარჯით აეშენებინა პირის და მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

საკასაციო პალატის განმარტებით, მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა, რომელიც გაიცემა სამ სტადიად, მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა შეეხებოდა არა პირის, არამედ მის მომიჯნავედ არსებული ინფრასტრუქტურის მშენებლობას. კერძოდ, მოსარჩელე ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე ითხოვდა საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობის მიზნით არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას, რა მოთხოვნაც გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ დაკმაყოფილდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე, რომელიც მონაწილეობდა სანაპირო ზოლში ან/და სანაპირო ზონებში მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ და მეორე სტადიაზე. დასკვნის შესაბამისად, ზღვის პლაჟის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასზე დასაშვები იყო მხოლოდ მსუბუქი, დროებითი კონსტრუქციების განთავსება. საკასაციო პალატამ მიიჩნია: მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების დამადასტურებელი მტკიცებულებების ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მიწოდება, რის გამოც არ არსებობდა გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები, თუმცა მიუხედავად განსახილველ სადავო ურთიერთობაში მოსარჩელის ინტერესთა დაკმაყოფილების შეუძლებლობისა, მხარეთა შორის გაფორმებული მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულების ძალაში ყოფნის პირობებში, მოსარჩელემ შეინარჩუნა უფლება, ადმინისტრაციულ ორგანოებს წარუდგინოს როგორც უშუალოდ საზოგადოებისათვის, აგრეთვე, საზღვაო სანაპირო ზოლისათვის უსაფრთხო სამშენებლო პროექტი და ახალი პროექტის ფარგლებში

ეძიოს მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული მიზნის მიღწევის გზები.

უნებართვო სამშენებლო სამუშაოების სუბიექტის დადგენის მნიშვნელობა სამართალდარღვევის სწორი კვალიფიკაციისთვის

- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, 44.2 მუხლი;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 და 33-ე მუხლები

სამართალდარღვევის სწორი კვალიფიკაციისათვის, უნდა დადგინდეს: სახეზეა უნებართვო მშენებლობა თუ რეკონსტრუქციის წარმოება და ამ სამშენებლო სამუშაოების შედეგად, მოხდა თუ არა შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილება. არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-53(კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

მოცემულ დავაზე ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ არ იყო გამოკვლეული ქმედების კვალიფიცირების წინაპირობების არსებობა, ამასთანავე, დადგენას საჭიროებდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების სუბიექტი. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება აღიარა მხოლოდ შენობის ფასადის შუა ნაწილზე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ შენობის ფასადის დანარჩენ ნაწილებთან მიმართებაშიც სათანადოდ ვერ დაასაბუთა, გამოიწვია თუ არა სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებამ შენობის გაბარიტების გაზრდა და კავშირში იყო თუ არა მეზობელ მიწის ნაკვეთებთან მოსარჩელის უძრავი ქონების გადაფარვა სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებასთან. შესაბამისად, დაუსაბუთებელია ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნა მოსარჩელისათვის ბრალის სრულად შერაცხვასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციულმა ორგანომ ქმედების რეკონსტრუქციად მიჩნევის პირობებში, უტყუარად არ დაადგინა: ჰქონდა თუ არა ადგილი შესაბამისი ქმედების განხორციელებისას გაბარიტების ცვლილებას. აღნიშნულ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, რამდენადაც, უნებართვო სარეკონსტრუქციო სამუშაოებით გამოწვეული შენობა-ნაგებობის გაბარიტების

ცვლილების გამორიცხვა ქმნის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის არა 44.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, არამედ 44.2 მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას და სანქციის სახით აწესებს ჯარიმის განსხვავებულ ოდენობას. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადაც დადგენილებაში მითითებული მტკიცებულებები არასაკმარისი იყო ქმედების სამართლებრივი შეფასებისათვის. პალატის განმარტებით, შეფარდებული მუხლის საფუძველზე პირის სანქცირებისათვის, პირველ რიგში, მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დადასტურდეს ფაქტის არსებობა, ხოლო შემდეგომ – სავარაუდო სამართალდამრღვევის კავშირი ფაქტთან.

მშენებლობის მიზნით გადაცემულ და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების აღრიცხულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის აკრძალვის კანონიერება

– „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საჯარო ინტერესებს, ხელყოფს სხვათა უფლებებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე №პს-1233(კ-18) <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი სწორედ ინდივიდუალური ბინათმშენებლობისთვის გადაცემული იქნა მოსარჩელის მამკვიდრებლისთვის, ხოლო მოგვიანებითაც საკუთრების უფლების აღრიცხვისა და პრივატიზაციის დროს მიწის ნაკვეთს არ გააჩნდა ლანდშაფტურ-სარეკრიაციო ზონის სტატუსი, შესაბამისად, მოსარჩელეს არ ჰქონდა შეზღუდული უფლება გამოეყენებინა საკუთარი მიწის ნაკვეთი შეხედულებისამებრ. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის სადაც აქტის მიღებამდე, არ იყო დადგენილი შესაბამისი ფუნქციური ზონა და სადაც აქტით პირველად მოხდა ზონის განსაზღვრა, სახელმწიფოს მიერ სამშენებლო მიზნით მიწის ნაკვეთის განკარგვა და მოგვიანებით ამ მიწის ნაკვეთისთვის იმგვარი ფუნქციური ზონის განსაზღვრა, რაც ხელს უშლის მის მიერვე გამოცემული აღმჭურველი შინაარსის გადაწყვეტილების აღსრულებას, ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერი მმართველობის პრინციპს. მოცემულ შემთხვევაში მესაკუთრეს ერთმევა

შესაძლებლობა, მიწის ნაკვეთი გამოიყენოს მისთვის გადაცემული მიზნით – სამშენებლოდ, ამასთან, ქონების დანიშნულების განსაზღვრა ხდება იმგვარი სარგებლობისათვის, რომელიც შინაარსობრივად მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება და ვერანაირად ვერ იქნება გამოყენებული მესაკუთრის მიერ.

ნებართვის გარეშე გამოჭრილი ღიობების ლეგალიზაცია

- ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.09წ. №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 34-ე მუხლის მე-4, მე-15 პუნქტები;
- საქართველოს პრეზიდენტის 24.11.2007წ. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-4.1 მუხლი.

ლეგალიზაციის აქტი არის აღმჯურველი აქტი; შესაბამისი ორგანო ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს ობიექტის კანონმდებლობით დადგენილ ქალაქთმშენებლობით პირობებთან შესაბამისობას; მიჯნის ზონაში მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა წარმოადგენს ლეგალიზაციის სავალდებულო პირობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 მარტის განმარტება საქმეზე №გს-202-200(კ-17)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

სამშენებლო დავაზე, რომელიც ეხებოდა სამეურნეო ობიექტების ღიობების ლეგალიზებას, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია სადაცო სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი კანონმდებლობისა და ღიობის მოწყობის პერიოდის დადგენა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამშენებლო მიწის ნაკვეთების საზღვარი (საკადასტრო საზღვარი) არის ორი სახის: საზოგადოებრივი საზღვარი და სამეზობლო საზღვარი. საზოგადოებრივი საზღვარი სახეზეა როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთი ესაზღვრება ქუჩას ან/და სხვა საზოგადოებრივ სივრცეს, ხოლო სამშენებლო მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვარი სახეზეა, როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთი ესაზღვრება სამშენებლო მიწის ნაკვეთს, ან ისეთ

არასამშენებლო მიწის ნაკვეთს, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს. სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში განთავსებულად ითვლება შენობა ან მისი ნაწილი, რომელიც სამეზობლო საზღვრიდან 3.0 მეტრზე ნაკლები მანძილით არის დაშორებული, შენობის საანგარიშო ზედაპირის ან მისი ნაწილის განთავსება სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში დასაშვებია სამეზობლო საზღვრის მხარეს კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის, ასევე აივნის, ერკერის და ტერასის გარეშე. პალატის განმარტებით, მესამე პირთა ინტერესების დაცვა ხდება არა მხოლოდ მშენებლობის ნებართვის გაცემის, არამედ ლეგალიზაციის პროცესში. ამასთანავე, ზემოაღნიშნული არ ადასტურებს სადავო სამართალურთიერთობების მიმართ უპირობოდ სამეზობლო წესების გამოყენების შესაძლებლობას. მეზობლებისაგან თანხმობის წარმოდგენის მართლზომიერება საჭიროებდა ღიობების მოწყობის პერიოდში სამეზობლო საზღვრის არსებობის ფაქტის დადგენას. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დაუსაბუთებელია სადავო გადაწყვეტილებაში განცხადების განუხილველად დატოვების საფუძვლად იმის მითითება, რომ აზომვით ნახაზში არ იყო მითითებული კარის აღმნიშვნელი ხაზი. აღნიშნული იყო ხარვეზის შევსებისათვის დამატებითი ვადის მიცემის და არა განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი. შესამოწმებია არქიტექტურის სამსახურის მიერ ფოტოსურათების დამატებით მოთხოვნის კანონიერება, ასევე შესაფასებელია, თუ რამდენად არსებობდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ობიექტის ადგილზე დათვალიერების საჭიროება, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა მიუთითებდა ფოტოსურათების დამატებით წარდგენის შეუძლებლობაზე მოსარჩელის შენობის წინ დროებითი ნაგებობების აღმართვის გამო.

5. საგადასახადო დავები

ამ კატეგორიის დავებზე სულ განხილულია 7 საქმე, მათ შორის, ახალი გადაწყვეტილება მიღებულია 1 საქმეზე, დაბრუნდა ხელახალი განხილვისათვის 2 საქმე, უცვლელად დატოვებულია 4 საქმე

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილება შეცვალოს სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაცია სათანადო პირობების არსებობისას

– საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი

საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსის, რის გამოც მხოლოდ ვარაუდი, რომელიც არ ემყარება კონკრეტულ მტკიცებულებებს, არ შეიძლება გახდეს სამეურნეო ოპერაციის ფორმის შეცვლისა და დამატებითი დარიცხვის საფუძველი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეილახება პირის კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრებისა და თავისუფალი მეწარმეობის უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 იანვრის განმარტება საქმეზე №ბს-1579(2)–18
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საგადასახადო დავაზე სადავო იყო სალაროში დაფიქსირებული ფულადი ნაშთის პასუხისმგებელ პირზე გაცემულ უპროცენტო სესხად განხილვის ნაწილში შემოსავლების სამსახურის აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, კერძოდ, ფულადი ნაშთის ოდენობა და ამავე დროს საწარმოს მიერ სხვადასხვა ორგანიზაციიდან და საბანკო დაწესებულებიდან სესხის გამოტანა გახდა საფუძველი იმისა, რომ საგადასახადო ორგანომ ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნია გადამხდელის მიერ მითითებული მონაცემები და რეალურად არსებული ვითარება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო ორგანოთა მიერ არ უნდა მოხდეს მეწარმის შეზღუდვა, რომ მან არსებული ფულადი ნაშთები სავალდებულო წესით განათავსოს საბანკო ანგარიშზე, რამეთუ მეწარმე დამოუკიდებლად წყვეტს მისი საქმიანობის მიმართულებებს, ხელშეკრულებების დადების საკითხს და მხოლოდ მას შეუძლია, გადაწყვიტოს, მიმართავს საბანკო დაწესებულებას თანხების განთავსების თაობაზე საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით თუ ფულად თანხებს შეინახავს სალაროში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება მეწარმის საქმიანობის შეზღუდვა კანონმდებლობით გაუთვალისწინებული საფუძვლით და აღნიშნული შეზღუდვა შეუსაბამობაში იქნება კანონით გარანტირებულ პირის უფლებების უზრუნველყოფასთან. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საგადასახადო ორგანო გადასახადების დარიცხვისას უნდა გამოიკვლიოს სალაროში არსებული თანხების მიზნობრიობა და დაასაბუთოს საკუთარი ვარაუდი გადამხდელის მიერ გამოყენებული ფორმის შინაარსთან შეუსაბამობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მოსაზრება არ შეიძლება გახდეს სამეურნეო ოპერაციის ფორმის შეცვლის და დამატებითი დარიცხვის საფუძველი, ამასთან უპირატესობა ენიჭება სწორედ შინაარსობრივ მხარეს და არა მხარეთა მიერ გამოყენებულ ფორმას. კანონმდებლობა გადასახადის გადამხდელს არ უზღუდავს სალაროში ფულადი ნაშთის განთავსებასა და მის ოდენობას, არ უკრძალავს სესხის აღებას სალაროში

ნაშთის არსებობის პარალელურად და საგადასახადო ორგანო მხოლოდ ამ ფაქტობრივი გარემოების გარდა ვერ მიუთითა და დაასაბუთა საკუთარი ვარაუდი გადამხდელის მიერ გამოყენებული ფორმის შინაარსთან შეუსაბამობის შესახებ, მაშინ როდესაც მოსარჩევე მიუთითებდა სალაროში არსებული ნაშთის მიზნობრიობაზე და კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ მოქმედი სახელშეკრულებო თავისუფლების მოქმედების ფარგლებში, სწორედ ხელშეკრულების მხარეების შეთანხმების საგანს წარმოადგენდა ვალდებულების შესრულების დროისა და წესის განსაზღვრა, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ განხორციელებული ოპერაციებით არ დარღვეულა კანონის მოთხოვნები და არ არსებობდა სალაროში დაფიქსირებული ფულადი ნაშთის პასუხისმგებელ პირზე გაცემულ უპროცენტო სესხად განხილვის საფუძველი.

გასვლითი საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობის კანონიერება

— საქართველოს საგადასახადო კოდექსის 264-ე მუხლი

ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაში დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი ჩარევის თავიდან ასაცილებლად, კანონმდებლობით მოწესრიგებულია საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობის ვალები. საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობა შესაძლებელია, შეჩერდეს სათანადო საფუძვლების არსებობისას და უნდა განახლდეს შემოწმების მიმდინარეობის დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრისთანავე. ამასთან, შემოწმების მიმდინარეობის ვადაში არ გაითვალისწინება მისი შეჩერებიდან განახლებამდე პერიოდი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 6 ნოემბრის განმარტება საქმეზე №პს-15 (კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საგადასახადო ორგანოს, როგორც გადასახადების ადმინისტრირების განმახორციელებელი ორგანოს, უმთავრესი ვალდებულება გადასახადის გადამხდელთა მიერ გადასახადების სწორად, დროულად და სრულად გადახდის კონტროლია³⁰. აღნიშნული ვალდებულების შესრულება კი შესაძლებელია მიმდინარე კონტროლის განხორციელებით ან საგადასახადო შემოწმების

³⁰ საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

ჩატარებით. ამასთანავე, ვინაიდან საგადასახადო შემოწმებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს გადასახადის გადამხდელისთვის დამატებითი თანხის დარიცხვა, აუცილებელია, რომ შემოწმება წარიმართოს კანონმდებლობის ზედმიწევნით და სრულად დაცვით, გადამხდელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით. გასვლითი საგადასახადო შემოწმების ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 3 თვისა³¹, საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით, შესაძლებელია შემოწმების ვადის დამატებით გაგრძელება არა უმეტეს 2 თვისა³². საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან კანონმდებლობით საგადასახადო შემოწმების შეჩერება უნდა მოხდეს მხოლოდ სათანადო საფუძვლით, შემოწმების შეჩერების თაობაზე გამოიცემა შემოსავლების სამსახურის ბრძანება, რომელიც, როგორც ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ექვემდებარება დამოუკიდებლად გასაჩივრებას. მოცემულ შემთხვევაში კი, საზოგადოებას შემოწმების შეჩერების შესახებ ბრძანებები არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, ისინი კანონიერად მიიჩნევა და განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლო მათ კანონიერებას ვერ შეამოწმებს.

პასუხისმგებლობა საგადასახადო სამართალდარღვევისათვის

— საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 და მე-7 ნაწილები

გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით საგადასახადო კანონმდებლობას არ აქვს უკუმალა და გადასახადებით დაბეგვრის დროისთვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დროს მოქმედი კანონმდებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

³¹ საგადასახადო კოდექსის 264-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

³² თუ დაწყებული საგადასახადო შემოწმების გაგრძელება ვერ ხერხდება დაუძლეველი ძალის ან სხვა გარემოების გამო, საგადასახადო ორგანის უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას საგადასახადო შემოწმების შეჩერების შესახებ. საგადასახადო შემოწმება განახლდება დაუძლეველი ძალის ან სხვა გარემოების აღმოფხვრისთანავე. საგადასახადო შემოწმების ვადის დინება განახლდება აღნიშნული შემოწმების გაგრძელების დღიდან (იმავე კოდექსის იმავე მუხლის მე-9 ნაწილი)

ადმინისტრაციული საქმიანობა, რომლის ერთ-ერთი ფორმა აქტის გამოცემაა, უნდა შეესაბამებოდეს საქმიანობის განხორციელების მომენტში მოქმედ კანონმდებლობას³³. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ აქტების მართლზომიერების შეფასებისას ხელმძღვანელობდა მათი გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, რომ საკითხის მოწესრიგებელი კანონქვემდებარე აქტებისა და საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმების უმრავლესობა 28.06.2019წ. საბაჟო კოდექსის მიღებიდან გამომდინარე, ძალადაკარგული იყო³⁴. პალატამ აღნიშნა, რომ გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით საგადასახადო კანონმდებლობას არ აქვს უკუძალა და გადასახადებით დაბეგვრის დროისთვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დროს მოქმედი კანონმდებლობა³⁵, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი უკავშირდება არა მხოლოდ საქონლის საბაჟო გატარებას, არამედ საგადასახადო სამართალდარღვევის არსებობის საკითხს. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა³⁶. ამასთანავე, სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ საგადასახადო ორგანოს მიერ მისი გამოიყენების, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ სანქციის გამოიყენების კანონიერების შეფარდების პერიოდს. განსახილველ შემთხვევაში ახალი მოწესრიგებით სანქციის გაუქმება ან შემსუბუქება არ მომხდარა³⁷, რის გამოც საკასაციო პალატის განჩინებაში გამოიყენებული იყო საგადასახადო კოდექსის

³³ სზაკ-ის მე-5 მუხლი.

³⁴ ამ კოდექსის დებულებები ვრცელდება მხოლოდ კოდექსის ამოქმედების დღიდან დეკლარირებულ საბაჟო პროცედურებზე, კოდექსის ამოქმედებამდე დეკლარირებულ სასაქონლო ოპერაციებზე ვრცელდება საბაჟო კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის დებულებები და მათ შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე აქტები (საბაჟო კოდექსის 213-ე მუხ. მე-4 და მე-5 ნაწ.).

³⁵ საგადასახადო კოდექსის 2.2 მუხ.

³⁶ იმავე კოდექსის 269.2 მუხ.

³⁷ ახალი საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას და იმავე სანქციას საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მაღლად საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადმოტანისათვის (168-ე მუხ.) და იმპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირების მიზნით საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანისათვის (167-ე მუხ.), ხსენებული მუხლებით სანქციები არ შემცირებულა.

შესაბამისი ნორმები და საკითხის მომწესრიგებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებები, კერძოდ, სადაც აქტების გამოცემის დროს საგადასახადო კოდექსი პირველი მუხლის მოქმედი რედაქციით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს ეკისრება საგადასახადო კოდექსით ან/და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა³⁸. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საბაჟო დეკლარაციაში იმპორტირებული საქონლის მონაცემების ისეთი არასწორი მონაცემის გამოვლენისას, რომელიც იწვევს პასუხისმგებლობას, მაგრამ არ წარმოადგენს დეკლარაციის ბათილად ან/და ძალადაკარგულად ცნობის საფუძველს, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი დადგენილი წესით აღგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს, რა დროსაც საგადასახადო ორგანოს სათანადოდ არ შეუფასებია დეკლარაციის შევსებისას გამოვლენილი ზარვეზის თანმდევი სამართლებრივი შედეგები, რის გამოც საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ იყო დასაბუთებული კონკრეტული ნორმის საფუძველზე სამართალდარღვევის ოქმის შედეგენის მართლზომიერება.

გადასახადის უკანონოდ დაბეგვრილი თანხის უკან დაბრუნება

— საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი

საგადასახადო აგენტის და გადასახადის გადამხდელის გათანაბრებაში იგულისხმება საგადასახადო აგენტისათვის იმ უფლებების მინიჭება და ვალდებულებების დაკისრება, რომლებიც საგადასახადო კოდექსის საფუძველზე გადასახადის გადამხდელს აქვს, თუმცა გათანაბრება არ გულისხმობს საგადასახადო აგენტის უფლება-მოვალეობების გადასახადის გადამხდელისათვის გადაცემას. გადასახადის უკანონოდ დარიცხვის, ანუ კანონიერი საფუძვლის გარეშე პირის დაბეგვრის შემთხვევაშიც, გადასახადის უკანონოდ დაბეგვრილი თანხის დაბრუნება ეკისრება შესაბამის საგადასახადო ორგანოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 24 სექტემბრის განმარტება საქმეზე №ბს-833 (კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

³⁸ საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

საკასაციო პალატის განმარტებით, გრანტის მიმღები ფიზიკური პირი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან³⁹, რის გამოც საგადასახადო ორგანოები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გადასახადის გადამხდელს დაუბრუნონ ზედმეტად გადახდილი თანხა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით⁴⁰. სააპელაციო პალატამ დავა გადაწყვიტა საგადასახადო კოდექსის ნორმების დანაწესების გათვალისწინების გარეშე, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელე ითხოვდა საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნებას, რომლის გაცემის ვალდებულება კანონმდებლობის მიხედვით არა საგადასახადო აგენტს, არამედ საგადასახადო ორგანოებს ეკისრება⁴¹. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ მოითხოვა უკვე დაბეგრილი/დაქვითული თანხის უკან დაბრუნება, დავის საგანი არ ეხებოდა საგადასახადო აგენტისათვის ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების, კერძოდ საგრანტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე საგრანტო თანხის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა/დაქვითვისაგან თავის შეკავებას, აკრძალვას, ამდენად სათანადო მოპასუხე მოცემულ დავაში ვერ იქნება საგადასახადო აგენტი. განსახილველ შემთხვევაში დადგენილი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ სააპელაციო პალატის მიერ სათანადო მოპასუხედ მიჩნეული იქნა საგადასახადო აგენტი, ხოლო საგადასახადო ორგანო საქმეში ჩაბმული იყო არა მოპასუხედ, არამედ მესამე პირად. საკასაციო პალატა მოკლებულ იყო შესაძლებლობას არასათანადო მოპასუხე შეცვალოს სათანადო მოპასუხით, რის გამოც საქმე დაბრუნდა ხელახლა განხილვისათვის.

საგადასახადო ორგანოს ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობა

³⁹ საგადასახადო კოდექსის 82.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁴⁰ საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლის 1 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

⁴¹ საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი.

- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვის ვადების დაცვის გარდა, აუცილებელია, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებული ვადა იყოს გონივრული. საქმის განხილვის ვადის გონივრულობის შეფასებისას სასამართლოს მიერ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რამდენიმე ობიექტური კრიტერიუმი, მათ შორის საქმის სირთულე, მოდავე მხარეების და შესაბამისი კომპეტენტური უწყებების ჩართულობა, ასევე საქმის განხილვის შედეგი დაინტერესებული მხარეებისათვის⁴².

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 29 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-98 (23-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა პირველ ინსტანციაში საქმის უკან დაბრუნების შესახებ და განმარტა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთწინააღმდეგობის პირობებში სააპელაციო სასამართლოს პროცესის ეკონომიურობის პრინციპის გათვალისწინებით, თავად შეეძლო ესარგებლა სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებით, შეეგროვებინა დამატებით ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, ხოლო მათი შეფასების, ურთიერთშეჯერების შედეგად ემსჯელა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე და თავად დაედგინა საქმეზე ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას თავად უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს⁴³, კანონიერ ძალაში შესული ორი გადაწყვეტილებების ურთიერთშეჯერების შედეგად შეაფასოს - საგადასახადო დეპარტამენტის სადაცო

⁴² იხ. საქმე კრისი ჩეხეთის წინააღმდევ, §72

⁴³ საქმის გონივრულ ვადაში, უფექტიანად განხილვა ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა დაცვის ეფობული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ასპექტია (იხ. საქმე ქიბინიძე საქართველოს წინააღმდევ, §39).

ბრძანების აღსრულების შესახებ სარჩელის საფუძვლიანობა და ასევე, იმსჯელოს სარჩელის ხანდაზმულობის საკითხზეც.

საგადასახადო შემოწმების აქტისა და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა

— საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-9 ნაწილი და 301-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი

საგადასახადო შემოწმების აქტი და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება ამ დოკუმენტის საფუძველზე გამოცემულ საგადასახადო მოთხოვნასთან ერთად მათი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 28 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-535 (2_19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საკასაციო პალატის განმარტებით, საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე⁴⁴. დავის განმხილველი ორგანო საჩივარს არ განიხილავს, თუ გასულია საჩივრის წარდგენის ვადა⁴⁵.

განსახილველ შემთხვევაში, შესაფასებელი იყო მოსარჩელის მიერ გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი 30-დღიანი ვადის დარღვევის გამო ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების კანონშესაბამისობა. სადაც საკითხის მართებული გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო: კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარებულად მიჩნევის ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების დადგენა და იმის განსაზღვრა, განხორციელდა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან გადასახადის გადამხდელისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

⁴⁴ საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

⁴⁵ იმავე კოდექსის 301-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

სამართლებრივი აქტის კანონით დადგენილი წესით ჩაბარება. ამასთან, გასაჩივრების ვადის დარღვევის არსებობა-არარსებობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია აღნიშნული ვადის დინების დაწყების ზუსტი თარიღის დადგენა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა მოსარჩელის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, ვინაიდან პირს შესაბამისი წესის დაცვით ჩაპბარდა როგორც საგადასახადო მოთხოვნა, ასევე მისი გამოცემის საფუძველი დოკუმენტები - აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა და გადასახადის დარიცხვის თაობაზე ბრძანება.

საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისას არაპირდაპირი მეთოდის გამოყენება
– საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტი

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ორი ან მეტი ფაქტის არსებობის შემთხვევაში, პირის საგადასახადო ვალდებულებები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 8 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-106 (კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

მოცემულ შემთხვევაში შეფასების საგანს დეკლარირებული შემოსავლების გაწეულ ხარჯებთან თანაფარდობის საკითხის გარკვევა წარმოადგენდა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მხოლოდ კანონით შეიძლება გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურისა და შემოღების წესის, მათი განაკვეთების ან განაკვეთების ფარგლების დადგენა, ასევე გადასახადისაგან გათავისუფლება. გადასახადის გადამხდელის კონსტიტუციური ვალდებულებაა, კუთვნილი მოცულობით გადასახადების დეკლარირება და გადახდა. აღნიშნული კონსტიტუციური ვალდებულების სათანადოდ შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სიზუსტით აღრიცხვა, რაც საგადასახადო ვალდებულების კანონით დადგენილი ოდენობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა⁴⁶. ამასთან, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია

⁴⁶ საქართველოს კონსტიტუციის 67.1 მუხლი.

სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე⁴⁷.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, პირის საგადასახადო ვალდებულებები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (აქტივების სიდიდის, საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების, პირის შესახებ ინფორმაციის მისი საქმიანობის სხვა საგადასახადო პერიოდთან ან სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემების შედარების, აგრეთვე სხვა მსგავსი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე), როდესაც პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის ან/და პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯი აჭარბებს დეკლარირებულ შემოსავალს და ამავე დროს, მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების შედეგად საგადასახადო შემოწმების დაწყების შესახებ საგადასახადო ორგანოს შესაბამისი აქტით განსაზღვრულ შესამოწმებელ პერიოდში გამოვლენილია პირის მიერ საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ორი ან მეტი შემთხვევა.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ არაპირდაპირი მეთოდის გამოყენება განხორციელდა ორი პირობის კუმულაციურად არსებობის გამო, რამდენადაც, გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპის დარღვევა, რომლის დადასტურებასთან ერთად დგინდება საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ორი ფაქტი, წარმოშობს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილებას არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს პირის საგადასახადო ვალდებულებები⁴⁸.

6. სოციალური დავები

აღნიშნული კატეგორიის საქმეზე სულ განხილულია 9 საქმე, მათ შორის ახალი გადაწყვეტილება მიღებულია 4 საქმეზე, გაუქმდა და დაბრუნდა ხელახალი განხილვისათვის 1 საქმე, დატოვებულია უცვლელად 4 საქმე

⁴⁷ „გადასახადების აღმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების 24.1 მუხლი.

⁴⁸ ანალოგიურია სუსკ №ბს-566-561(2კ-16) 24.01.17.

6.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფა

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მეორე პუნქტი;
- „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტი და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ 28-ე მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1991 წლის №4 ზოგადი კომენტარების მე-8(ა) პუნქტი.

სამართლებრივად გარანტირებული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება არ ნიშნავს საცხოვრებელი ფართის მხოლოდ საკუთრებაში გადაცემას და ის შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით, მათ შორის, კერძო სუბიექტთან ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმების გზით. ამასთან, არ არის სავალდებულო, ხელშეკრულება იყოს მუდმივმოქმედი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 29 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-11 (კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით დავაზე, საკასაციო სასამართლომ შიდა საკანონმდებლო და საერთაშორისო სამართლის აქტებზე დაყრდნობით განმარტა, რომ სამართლებრივად გარანტირებული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება არ ნიშნავს საცხოვრებელი ფართის მხოლოდ საკუთრებაში გადაცემას და ის შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით, მათ შორის, კერძო სუბიექტთან ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმების გზით. მფლობელობის ფორმის მიუხედავად, ნებისმიერ პირს უნდა გააჩნდეს მფლობელობის გარანტის ხარისხი, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ დაცვას სხვადასხვა საფრთხის, მაგალითად, იმულებითი გამოსახლების წინაშე. მოცემულ დავაზე მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენდა ფართის გამოყოფა როგორც საკუთრების უფლებით, ასევე ქირავნობის ხელშეკრულების დადების გზით. პალატამ აღნიშნა, რომ საყურადღებოა, ქირავნობის ხელშეკრულების ორმხრივი ბუნება. საცხოვრებელი ფართის მუდმივად დასაქირავებლად საკმარისი არაა მხოლოდ სახელმწიფოს ნება, სავალდებულოა კერძო სუბიექტის თანხმობა, მისი კუთვნილი ფართის უვადოდ გაქირავების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ

მიიჩნია, რომ სახელმწიფოს (თვითმმართველი ერთეულის) ვალდებულება მდგომარეობს ისეთი საკანონმდებლო და ფინანსური მექანიზმების შექმნაში, რომელიც უზრუნველყოფს პირის უფლებას გარანტირებულ საცხოვრებელ ფართზე და აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება შესაძლოა განხორციელდეს სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით და ამ პირებს უნდა გააჩნდეთ მასზე შეუფერხებელი წვდომის შესაძლებლობა, რის გამოც უფლების დაცვის თვალსაზრისით, განმსაზღვრელია არა მოსარჩევის ნივთთან სამართლებრივი კავშირის ფორმა, არამედ ამ კავშირის სიმყარე და იმის გარანტირებული შესაძლებლობა, რომ ხელშეკრულება, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად დაიდება.

6.2. დევნილებზე ქულების მინიჭება

საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე დევნილი ოჯახისათვის მინიჭებული ქულების შემცირების კანონიერება

- „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის პირველი დე მესამე პუნქტები.

მინიჭებულ ქულებზე დამოკიდებულია დევნილთა უფლებების სრულყოფილი დაცვა და სოციალური გარანტიებით სათანადოდ სარგებლობა, ხოლო ქულების ოდენობაზე არის დამოკიდებული დევნილის საცხოვრებლით დაკმაყოფილების რიგითობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 27 ნოემბრის განმარტება საქმეზე №ბს-143 (პ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

მოცემულ საქმეზე მთავარ სადაცო საკითხს წარმოადგენდა მოსარჩელის დევნილი ოჯახისთვის, საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, ქულის მომატებაზე უარის თქმის კანონიერება. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დევნილთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ გარანტიას ქმნის დევნილის უფლება

გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, რაც, გულისხმობს დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემას ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფას. გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომელიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დაგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. დევნილთა საჭიროების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით განისაზღვრება, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, რა რიგითობით მოხდება საცხოვრებელი ფართის შეთავაზება, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის შესყიდვა და იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა. ამდენად, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გათვალისწინოს დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ნორმატიულად განსაზღვრული კრიტერიუმები და ოჯახს მიანიჭოს შესაბამისი ქულა. მოსარჩელის ოჯახს 2015 და 2018 წლებში ქულები მიენიჭა შესაბამის პერიოდებში მოქმედი ნორმების მიხედვით, რამაც, საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე, მისი ხელახალი შემოწმებისას ქულის შემცირება გამოიწვია. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის ნორმას უკუმალა მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება, როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით და როდესაც იგი არ ამბიმებს/არ აუარესებს პირის მდგომარეობას, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ ნორმატიულ აქტს უკანონოდ მიანიჭა უკუქცევითი ძალა, რადგან შეცვალა უკვე არსებული ვითარება და შედეგად გააუარესა მოსარჩელის მდგომარეობა.

6.3. ეკომიგრანტების განსახლების საკითხი

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულისთვის საცხოვრებელი სახლის გადაცემის წინაპირობები

- „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის,

განსახლების კრიტერიუმების, ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის „შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანების დანართი №1-ის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 და მე-12 პუნქტები

ეკომიგრანტი ოჯახი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის პროცესში. სააგენტოს ტერიტორიული სამმართველო არ განიხილავს იმ ეკომიგრანტი ოჯახების განაცხადებს, რომლებსაც სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მიერ დაზარალების გამო ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 5 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-644 (კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოსთვის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახის (ეკომიგრანტების) განსახლების მიზნით, მოსარჩელის სასარგებლოდ კომპენსაციის ანაზღაურების დაკისრება. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახად (ეკომიგრანტად) (შემდგომში – ეკომიგრანტი ოჯახი) ჩაითვლება ოჯახი, რომლის საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარვისია) და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას მეწყერის, ღვარცოფის, კლდეზვავის, ქვათაცვენის, მდინარეების ნაპირების გარეცხვის, თოვლის ზვავის, ჯდენადი გრუნტის გამო, გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ ეკომიგრანტად ითვლება განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირები, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/სახლში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში. პალატის

განმარტებით, ეკომიგრანტი ოჯახი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის პროცესში. ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტი არ განიხილავს იმ ეკომიგრანტი ოჯახების განაცხადებს, რომლებსაც სახელმწიფოს ან დონორი ორგანიზაციების მიერ დაზარალების გამო ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება, ხოლო ბოლო ეტაპზე განიხილება იმ ეკომიგრანტი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)ს საკუთრებაში აქვთ სხვა საცხოვრებელი სახლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ საცხოვრებელი სახლის მოცულობა რადიკალურად არ შეესაბამება ოჯახის წევრთა სულადობას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩევე საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი, სადაც იგი ცხოვრობს, მოცემული გარემოება აღნიშნულ ეტაპზე, მოსარჩელის ოჯახისათვის კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულისთვის საცხოვრებელი სახლის გადაცემის წინაპირობები

— „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის, განსახლების კრიტერიუმების, ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის „შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანების დანართი №1-ის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები

ეკომიგრანტი — განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/სახლში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 5 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-620 (კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

მოცემულ დავაზე დადგენილ იქნა, რომ ამბროლაურის რაიონში 90-იან წლებში სტიქიური უბედურების შედეგად წარმოქმნილი მეწყერის და მიწისძვრის შედეგად, მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი დაზიანდა და მთლიანად დეფორმირებული იყო, რის გამოც საჭირო იყო სახლის დემონტაჟი.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, იმ პირობებში, როდესაც უდავოა, რომ მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი დაზიანდა სტიქიური მოვლენების შედეგად, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იმის გარკვევა, კონკრეტულ ეტაპზე რამდენად მართებულად და საფუძვლიანად უთხრა უარი ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელეს საცხოვრებელი ფართის გამოყოფის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო შესაბამისი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რაც დაადასტურებდა განცხადების განხილვის პერიოდისათვის ქ. თბილისში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოსარჩელის მეუღლის საკუთრებაში არსებობას და განმარტა, რომ განცხადების განხილვის პერიოდისათვის გადამწყვეტი იყო იმ გარემოების დადგენა ოჯახს საკუთრებაში, და არა ფაქტობრივ მფლობელობაში, პქონდა თუ არა აღტერნატიული საცხოვრებელი ფართი და იგი შეძლებდა თუ არა მასში ცხოვრებას სტიქის შედეგად საცხოვრებელი ფართის განადგურების შემდეგ.

6.4. სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული დავები

სოციალური დახმარების შეწყვეტის კანონიერება

— „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტი საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრება ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. სარეიტინგო ქულის მატების ერთ-ერთ საფუძვლად ფიქსირდება ოჯახის მიერ წინა პერიოდთან შედარებით მეტი ელექტროენერგიის მოხმარება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-751 (კ-19) <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საარსებო შემწეობის შეწყვეტასთან დაკაშირებით, დავაზე მოსარჩელის ოჯახს მეუღლის გარდაცვალების გამო განხორციელდა მისი ოჯახის გადამოწმება, შედგა

დეკლარაცია და მას შეუწყდა სოციალური დახმარება, რაზე არ დაეთანხმა მოსარჩელე იმ მიზეზით, რომ მისი ოჯახის სოციალური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. საკასაციო პალატის განმარტებით, ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, მიღება ოჯახის სარეიტინგო ქულა. ოჯახისათვის სარეიტინგო ქულის განსაზღვრისას მნიშვნელობა ენიჭება უფლებამოსილი პირის მიერ ოჯახის დეკლარაციაში შეტანილ თითოეულ მონაცემს, მათ შორის, დეტალურად და სრულყოფილად უნდა იქნეს ასახული კომუნალურ გადასახდელებზე გაწეული ხარჯი. საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრება ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის ოჯახის სარეიტინგო ქულის მატების ერთ-ერთ საფუძვლად ფიქსირდება ოჯახის მიერ წინა პერიოდთან შედარებით მეტი ელექტროენერგიის მოხმარება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახის გადამოწმებისას მოხმარებული ელექტროენერგიის მიზნობრიობის კვლევა არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, ხოლო საქმის მასალებით არ დგინდებოდა მოსარჩელის ოჯახის სარეიტინგო ქულის დასადგენად შევსებულ ოჯახის დეკლარაციაში უზუსტო მონაცემების არსებობა, რის გამოც სარჩელს არ გააჩნია დაკმაყოფილების პერსპექტივა.

მიუღებელი სოციალური სუბსიდიის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობა

- „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა, მისი დანიშვნა-გაცემის წესი და პრინციპების“ მე-2 მუხლი
- სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი

სარჩელის წარდგენის გზით უფლების დაცვა მხოლოდ დროის გარკვეულ პერიოდშია შესაძლებელი. ხსენებული ვადის გასვლის შედეგად მოთხოვნა ხანდაზმული ხდება, რაც მისი სასარჩელო წესით დაცვას გამორიცხავს არა მატერიალური, არამედ პროცესუალური თვალსაზრისით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-187 (კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

სოციალური სუბსიდიის ანაზღაურებასთან დაკავშირებით დავაჩე საკასაციო პალატამ ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მოთხოვნა 2012-2013 წლებში მიუღებელი თანხის სის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის დაკისრების შესახებ სარჩელის ხანდაზმულობის გამო. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის გადასაწყვეტად გათვალისწინებულ უნდა იქნეს სადაცო სამართალურთიერთობის ბუნება. მნიშვნელოვანია, დადგინდეს ხანდაზმულობის ვადის მოცულობა და გასაჩივრების ვადის ათვლის დაწყების მომენტი. ამასთანავე, უნდა გამოირიცხოს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ან ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის წინაპირობების არსებობა. პალატის განმარტებით, სარჩელის წარდგენის გზით უფლების დაცვა მხოლოდ დროის გარკვეულ პერიოდშია შესაძლებელი, ხოლო ვადის გასვლის შედეგად მოთხოვნა ხანდაზმული ხდება, რაც მისი სასარჩელო წესით დაცვას გამორიცხავს არა მატერიალური, არამედ პროცესუალური თვალსაზრისით. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადის დარღვევის საკითხის დასადგენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრას. ვინაიდან საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაცემა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა, სადაცო სამართალურთიერთობაზე გამოყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. განსაზილველი სარჩელით სადაცოდაა გამხდარი 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 2 ოქტომბრამდე პერიოდის მიუღებელი სუბსიდიის ანაზღაურება, სარჩელი კი წარდგენილია 2019 წლის 19 აპრილს ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დარღვევით.

6.5. საპენსიო დავები

პენსიის შეწყვეტის კანონიერება; მიუღებელი პენსიის ანაზღაურების საფუძველი

- „პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი;
- საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლის მე-10 ნაწილი;

- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №2/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტის“ მე-6.1 მუხლი

საჯარო საქმიანობად არ მითხნევა საუბრო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 იანვრის განმარტება საქმეზე №ბს-1510 (კ-18) <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

დავის საგანს წარმოადგენდა მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩხოროწყუს რაიონული განყოფილებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი პენსიის ანაზღაურების დაკისრება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული დავის ფარგლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, ახორციელებდა თუ არა საოლქო საარჩევნო კომისიაში ბუღალტრის თანამდებობაზე დანიშნული მოსარჩელე საჯარო საქმიანობას. პალატამ აღნიშნა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიაში ბუღალტრად მუშაობის პერიოდში მოსარჩელე არ წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, ვინაიდან იგი არ იყო დანიშნული მოხელისათვის განკუთვნილ საშტატო თანამდებობაზე, არამედ არამუდივი ამოცანების შესრულებაზე უფლებამოსილ პირს, რომელიც გარკვეული ვადით იყო დასაქმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ცესკოში შესაბამისი საფინანსო ანგარიშის წარდგენის პროცედურების დასრულებამდე. ამდენად, ყოვლად გაუმართლებელი და უთანასწორო იქნებოდა მით უფრო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე კონკრეტული ვადით (ასევე დროებით) დასაქმებული ბუღალტრის საჯარო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტად მიჩნევა.

სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით წელთა ნაშსახურების ანგარიშის შედგენა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში გადაგზავნა

– „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტი, მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მესამე ნაწილი, 16.4 მუხლი;

შინაგან ჯარებში სამსახური წარმოადგენს შეიარაღებულ ძალებში სამსახურს, რის გამოც სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის შესაძლებლობა გათვალისწინებულია როგორც შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებზე ასევე შინაგანი ჯარებიდან დათხოვნილ მოსამსახურეებზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 25 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-1362 (2პ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

შინაგანი ჯარის მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნასთან დაკავშირებით დავაზე, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ხვდება სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირთა წრეში, თუმცა მნიშვნელოვანია იმ საკითხის შეფასება, თუ რამდენად აკმაყოფილებდა იგი სამხედრო მოსამსახურისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების განმსაზღვრელ პირობებს. პალატის განმარტებით, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილი იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, ხოლო წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახურიდან. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ შინაგან ჯარებში სამსახური ცალსახად წარმოადგენდა შეიარაღებულ ძალებში სამსახურს, ვინაიდან საქართველოს შინაგანი ჯარები შედიოდნენ საქართველოს შსს-ს სისტემაში და წარმოადგენდნენ საქართველოს სამხედრო ძალების შემადგენელ ნაწილს, რის გამოც მოსარჩელე სრულად აკმაყოფილებდა კანონით განსაზღვრულ კომპენსაციის დანიშვნისათვის საჭირო კანონისმიერ წინაპირობებს.

მიუღებელი პენსიის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერება

- „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18.1 მუხლი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22.1 მუხლი

პენსია, რომელიც პირს ექუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 დეკემბრის განმარტება საქმეზე №ბს-186(კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

მოცემულ საქმეზე მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მისი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადებამდე მიუღებელი პენსიის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ აქტის კანონიერების შეფასება და შესაბამისი პენსიის ანაზღაურება, თუმცა განსახილველი დავის საგანს არ წარმოადგენდა მოსარჩელის მეუღლისათვის პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების კანონიერების შეფასება, ვინაიდან პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა ეხებოდა მხოლოდ მოპასუხისათვის 2009 წლის 1 მაისიდან მეუღლის გარდაცვალებამდე პენსიის თანხის დაკისრებას. პალატის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა ეხებოდა არა უშუალოდ საპენსიო უფლებას, არამედ, პენსიას, როგორც მემკვიდრეობით მიღებულ აქტივს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის მართებულად გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი იყო იმ გარემოების დადგენა, მამკვიდრებლის გარდაცვლილად გამოცხადების მომენტისთვის, რა ოდენობის პენსიის მოთხოვნის უფლებას მოიცავდა სამკვიდრო ქონებაში შემავალი მისი ქონებრივი უფლებები და შესაბამისად, რა ოდენობის თანხის მიღების უფლება გადავიდა მის მემკვიდრეზე.

პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის დავის საგნის ფარგლებში მოსარჩელის უფლება მიუღებელ პენსიაზე შესაძლოა არსებობდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მამკვიდრებელს მის სიცოცხლეში კომპეტენტური ორგანოს მიერ უფლებამოსილების არასათანადოდ განხორციელების შედეგად, შეეზღუდა პენსიის განახლების უფლება, ასევე უნდა დაადგინდეს ის გარემოება, პენსიის შეჩერების საფუძველი იყო თუ არა პირის უგზო-უკლოდ დაკარგულად აღიარება ან უგზო-უკლოდ დაკარგვის ფაქტი, ხოლო ამ ფაქტის გამორიცხვის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოსარჩელისთვის პენსიის ანაზღაურების საფუძვლებზე და ასანაზღაურებელი პენსიის შესაძლო ოდენობის თაობაზე იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ცალკე სადაცოდ არ ხდიდა მისი მეუღლისათვის პენსიის შეჩერების და შეწყვეტის კანონიერება. პალატის განმარტებით, პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. მოსარჩელემ 1 წლის ვადაში მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მამკვიდრებლის მიუღებელი პენსიის მოთხოვნით. შესაბამისად, არ არსებობდა ხანდაზმულობაზე მითითებით მოსარჩელისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

7. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები

აღნიშნული კატეგორიის დავებზე სულ განხილულია 6 საქმე, მათ შორის მიღებულია ახალი გადაწყვეტილება 2 საქმეზე, გაუქმდა და დაბრუნდა ხელახალი განხილვისათვის 2 საქმე დატოვებულია უცვლელად 2 საქმე

7.1. სახელმწიფო ქონების პრივატიზება

სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერების შეფასება

— „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ კანონის 6.5 მუხლი

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე კეთილსინდისიერი შემძენის
ინსტიტუტი არ გამორიცხავს ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესაძლებლობას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 6 მარტის განმარტება საქმეზე №ბს-698-690(2_2_კ-15)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებულ საქმეზე სადაცო იყო
მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 9 შენობის აღრიცხვა სახელმწიფოს
და შემდგომში ფიზიკური პირების სახელზე. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ
დაკარგა კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ
მოსარჩელის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა დაუზუსტებელი სახით.
საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეგისტრაციის ახალი სისტემის
დანიშნულება სანივთო უფლების უკეთესი დაცვაა და არა საკუთრების უფლების
შეზღუდვა, ახალი კოორდინატთა სისტემის შემოღება შედეგად არ უნდა იწვევდეს
ფორმალურ-სამართლებრივი პროცედურის შესრულებით მესაკუთრებე უკვე
რეგისტრირებული ნაკვეთის მესამე პირის მიერ დაუფლებას, არ უნდა ხელყოფდეს
სამართლებრივ უსაფრთხოებას, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, მანამდე
წარმოებული რეგისტრაციების იურიდიული ძალის დაკარგვას,
მარეგისტრირებული ორგანოს, როგორც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა
და საჯარო წესრიგის გარანტის დანიშნულების შეცვლას. საჯარო რეგისტრის
ეროვნული სააგენტოს ცაგერის სარეგისტრაციო სამსახური ვალდებული იყო
მოპასუხის სახელზე საკუთრების რეგისტრაციამდე დაედგინა უძრავ ნივთზე უკვე
რეგისტრირებული საკუთრების უფლება „საჯარო რეგისტრის შესახებ“ კანონის
23-ე მუხლის შესაბამისად. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ
ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე კეთილსინდისიერი
შემძენის ინსტიტუტი არ გამორიცხავს ხელშეკრულების ბათილად ცნობის
შესაძლებლობას. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს უფლება არა
ჰქონდა განკარგოს კერძო საკუთრებაში არსებული ქონება და ვალდებული იყო
გამოერკვია ქონებაზე სხვა სუბიექტის საკუთრების უფლების არსებობა, რადგან
კანონი არ ითვალისწინებს, მესაკუთრის ინფორმირების გარეშე, მისი ქონების
გასხვისების შესაძლებლობას⁴⁹. ამდენად, დასტურდება, რომ სადაცო აქტები, მათ
შორის ცაგერის სარეგისტრაციო სამსახურის გასაჩივრებული გადაწყვეტილებები,

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 05.11.2013წ. №3/1/531 გადაწყვეტილება.

რომლითაც ფაქტობრივად საკუთრების უფლება დაკარგა მოსარჩევე მხარემ, ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს და სზაკ-ის 60¹ მუხლის თანახმად მართებულად იქნა ბათილად ცნობილი ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

სადავო უძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების კანონიერება

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 119-ე მუხლის მე-3 ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-252(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

უძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების კანონიერებასთან დაკავშირებულ დავაზე, სადავოდ იყო გამხდარი უძრავ ქონებათა საპრივატიზებო ნუსხაში მოხვედრისა და მისი გასხვისების დაშვების კანონიერება და მიწის ნაკვეთთა გასხვისების პროცედურული მხარე, კერძოდ საჯაროობის პრინციპი. მოცემულ დავაზე გასარკვევი იყო, თუ რით იყო განპირობებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მოთხოვნა სადავო უძრავ ქონებებთან მიმართებით საკითხის უკეთ შესწავლის შესახებ, ასევე გასათვალისწინებელია ამ კომისიის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვით, კომისიამ, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, სადავო ქონების საპრივატიზებო ნუსხიდან ამოღება მოითხოვა. საქმეში არსებული მასალებით და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, არ დგინდებოდა, წარმოადგენდა თუ არა გასხვისებული მიწის ნაკვეთები საჯარო მიზნებისათვის განკუთვნილ სივრცეს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის სადავო უძრავი ქონების გასხვისება განხორციელდა არა ელექტრონული, არამედ საჯარო აუქციონის წესით. აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზანი იყო საკუთრების/სარგებლობის უფლების მინიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირისთვის, რომელიც ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო საჯარო აუქციონის

განხორციელებისას ადმინისტრაციული წარმოების შემჭიდროებულ ვადებში, დაჩქარებულად, განხორციელების ფაქტი. საეჭვო ფაქტობრივ მდგომარეობას ამბათრებდა ისიც, რომ სადავო უძრავი ქონების გასხვისება განხორციელდა არა ელექტრონული, არამედ საჯარო აუქციონის წესით.

7.2. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის გამო

სამეწარმეო საქმიანობისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერად სარგებლობისათვის შესაბამისი საფასურის გადახდა

— „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1³ პუნქტი.

სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას კომერციული მიზნით იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად, საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 28 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-489(2) 19
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით არამართლზომიერად სამეწარმეო მიზნებისთვის სარგებლობის გამო მოსარჩელისათვის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ თანხის დაკისრებასთან დაკავშირებით დავაზე, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მიუხედავად ხელშეკრულებისა და იჯარის რეგისტრაციის შეწყვეტისა, მოპასუხე 2016 წლის 10 დეკემბრამდე შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე აგრძელებდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობას და იყენებდა სამეწარმეო საქმიანობისთვის, რაც სახელმწიფოს სასარგებლოდ თანხის დაკისრების საფუძველია. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოპასუხე სადავოდ გახადა მხოლოდ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მხრიდან მოსარჩელის მიერ წარდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის უპირობო გაზიარება და მის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის უარყოფა და მიიჩნია, რომ მისთვის დაკისრებული თანხის ოდენობა არ შეესაბამება საღავო პერიოდში არსებულ რეალური საბაზრო ღირებულებით განსაზღვრულ საიჯარო ქირათა ჯამურ ოდენობას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის უპირობო გაზიარებამ მისთვის წინასწარ დადგენილი ძალის მინიჭება განაპირობა, მაშინ როდესაც საექსპერტო დასკვნის მიმართ არსებული სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ეფუძნებოდეს უფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი დასკვნის შინაარსობრივ მხარეს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნებთან მიმართებით განვითარებული მსჯელობების გაუზიარებლობისა, შედეგობრივად, მოპასუხეს მართებულად დაეკისრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ 1 005 653 ლარის გადახდა.

სამხედრო პირის მიმართ კონტრაქტის დარღვევის გამო დაკისრებული შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლოს შემცირება.

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ისე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შემციროს „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტებლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 2 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-570(კ-19) <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო სამხედრო მოსამსურის დაჯარიმებასთან დაკავშირებით დავაზე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში,

როდესაც მოპასუხე პირადი პატაკის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან რეზერვში - სახეზეა მისი მხრიდან ზელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც ქმნის ჯარიმის სახით თანხის დაკისრების საფუძველს, თუმცა მიიჩნია, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა აშკარად შეუსაბამოა, რაც იძლევა მისი შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს. საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო პირის ქონებრივი და სხვა პატივსადები ინტერესი, შეაფასა, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პალატამ გაითვალისწინა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტი შეწყდა მოპასუხის პირადი პატაკის გამო და ადგილი არ ჰქონია კონტრაქტით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევას და მიიჩნია, რომ სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, არსებობს დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

საგრანტო ზელშეკრულების საფუძველზე გაცემული და არამიზნობრივად გახარჯული საგრანტო თანხის უკან დაბრუნების საფუძველი

- „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი
- საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის“ მე-16-მე-18 მუხლები

გრანტი გამოიყენება მხოლოდ ზელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისათვის. სხვა მიზნებისათვის გრანტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გრანტის გამცემის (დონორის) თანხმობით; გრანტის მიმღების სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება სწორედ მაშინ, როდესაც დადასტურდება მიზნობრივად გადაცემული სახსრების კონკრეტული მიზნების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 1 ოქტომბრის აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-966(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAmin.aspx>

ა(ა)იპ სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის დაფინანსების მიზნით საგრანტო ზელშეკრულებასთან დაკავშირებით დავაზე, საკასაციო პალატამ არ

გაიზიარა სააპელაციო პალატის განმარტა იმის თაობაზე, რომ საგრანტო თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარუდგენლობა იმთავითვე არ გულისხმობდა იმას, რომ კონკრეტული თანხები არ იყო გაცემული ორგანიზაციის მიერ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესაბამისად და მათ საწინააღმდეგოდ განმარტა, რომ გრანტის გაცემის დროს გადამწყვეტია საგრანტო თანხების მიზნობრივად გახარჯვა მხოლოდ იმ ოდენობით, რაც განსაზღვრული მიზნის მიღწევის საჭიროებით იქნა განპირობებული. საკასაციო პალატის განმარტებით, გრანტის მიმღების სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება არა მხოლოდ მიღებული გრანტის კონკრეტული მიზნის მისაღწევად გახარჯვის მიმართ ნების გამოხატვისას, არამედ სწორედ მაშინ, როდესაც დადასტურდება მიზნობრივად გადაცემული სახსრების კონკრეტული მიზნების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოყენება. ორგანიზაციის მიერ კონკრეტული თანხის საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესაბამისად ხარჯვა საჭიროებს სწორედ უტყუარად დამადასტურებელი მტკიცებულებებით, კერძოდ, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციით დადასტურებას, რამდენადაც მოცემული საკითხისადმი სხვაგვარი მიღომა შეუძლებელს გახდიდა გრანტის სახით გაცემული თანხების ხარჯვის კონტროლს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის ხელახალი განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა მიმართოს ყველა საშუალებას, რაც ხელს შეუწყობს იმის გამორკვევას, ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი გრანტის სახით გაცემული ფინანსური სახსრების მოპასუხის მხრიდან რეალურ, მიზნობრივ გახარჯვას.

აღმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მისი მოსამსახურის მიერ განხორციელებული ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრების ფარგლები

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლები;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.1. მუხლი

სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 2 ივლისის გამარტივა საქმეზე №ბს-797 (კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მისი მოსამსახურის მიერ განხორციელებული ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას გადამწყვეტია დადგინდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კანონით განსაზღვრული აუცილებელი პირობების არსებობა. პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელის მოტივების მიუხედავად, ასევე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეფასების გარეშე, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დავის ძირითადი საგანი არსებითი შეფასების მიღმა დატოვეს. იმ პირობებში, როდესაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსარჩელემ სარჩელი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ წარმოადგინა, სარჩელი ეფუძნებოდა სარეგისტრაციო სამსახურის უკანონო ქმედებას სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები ძირითადად მოსარჩელის მხრიდან მესამე პირის მიმართ მოთხოვნის წარუდგენლობას დაუკავშირა და გაითვალისწინა მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლებზე კი სასამართლოს სათანადო შეფასება არ გაუკეთებია, მიუხედავად იმისა, რომ სარჩელი ეფუძნებოდა სარეგისტრაციო სამსახურის უკანონო ქმედებას, რის გამოც მოსარჩელემ მოთხოვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს არ წარმოადგენდა ბინის მეპატრონის მიერ მისი წარმომადგენლის სახელზე გაცემული მინდობილობის შინაარსი, რამეთუ აღნიშნული შეფასებული იყო კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით, რომლის თანახმად დადგენილი იყო, რომ გაცემული მინდობილობა არ შეიცავდა უძრავი ქონების გასხვისების უფლებამოსილებას. ასეთ პირობებში გარიგების რეგისტრაციისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება და ვალდებულება იყო შეემოწმებინა გარიგების მხარის სათანადობა, რეგისტრირებული უძრავი ნივთის გამყიდველის ანუ მისი მესაკუთრის ვინაობა და რადგან გარიგებას არეგისტრირებდა წარმომადგენლის მეშვეობით, შეესწავლა წარმომადგენლობის შინაარსი და გარიგება არ დაეშვა არასათანადო მხარეებს შორის. აღნისნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელისთვის მიყენებული ზარალი გამოიწვია სარეგისტრაციო სამსახურის მოსამსახურე პირის ქმედებამ, რომელმაც გულისყურით არ წაიკითხა წარდგენილი მინდობილობა და დაამოწმა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის გაყიდვის უფლებამოსილებაც მინიჭებული არ ჰქონდა მეპატრონის წარმომადგენელს.

8. სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დავები

აღნიშნული კატეგორიის დავებზე სულ განხილულია 6 საქმე, მათ შორის ახალი გადაწყვეტილება მიღებულია 4 საქმეზე, გაუქმდა და დაბრუნდა ხელახლი განხილვისათვის 1 საქმე, უცვლელად დარჩა 1 საქმე

აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მოვალისგან ამოღებული თანხის განაწილების კანონიერება

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი, მე-17.5 მუხლის „ა“ პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტი, 38.5 მუხლი
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №144 ბრძანებით დამტკიცებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის“ მე-2.1 და მე-3.1 მუხლები.

იმულებითი აღსრულების პირობებში, აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდევინება საინკასო დავალებების საფუძველზე, მოვალის საბანკო ანგარიშებიდან.

საქმეზე სადაც იყო ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების ვადაში მოვალის მიერ ნების გამოხატვის შედეგად, საინკასო დავალების საფუძველზე ორი თვის გასვლის შემდეგ ვალდებულების შესრულება, რამდენად წარმოადგენდა ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებას და უნდა განხორციელდეს თუ არა შესრულებული ვალდებულებიდან აღსრულების საფასურის სრული ოდენობით დაფარვა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ აღსრულების საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმებზე აღსრულების საფასური ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმებზე საფასურის სახით გადახდილი თანხა კრედიტორს უბრუნდება ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად. პალატამ განმარტა, რომ მხოლოდ მოვალის მიერ გამოხატული ნება ყველა შემთხვევაში ვერ ჩაითვლება აღსასრულებელი მოთხოვნის კანონით დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით შესრულებად და სააღსრულებო წარმოება დასრულებულად, თუმცა მოვალისათვის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის მიცემული ვადის არსი მდგომარეობს მხარეებისათვის იძულების ღონისძიებებით გამოწვეული სიმნელეების აცილებაში, ადმინისტრაციული და სხვა რესურსების დაზოგვაში. იძულებითი აღსრულების პირობებში კი აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდევინება საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან. აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.⁵⁰ განსახილველ შემთხვევაში წარდგენილი საინკასო დავალება არ წარმოადგენდა იძულებითი აღსრულების ღონისძიებას და იგი გაიცა მოვალის მიერ გამოხატული ნების – მოთხოვნის ნებაყოფლობით აღსრულების უზრუნველსაყოფად. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უფლებამოსილების სათანადოდ განუხორციელებლობამ – პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობამ

⁵⁰ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტი.

გამოიწვია მოსარჩელის საკუთრების უფლების დარღვევა, რაც გამოიხატა აღსრულებადი ვალის შემცირებაში, რის გამოც მოთხოვნა საფუძვლიანად მიიჩნია.

იმულებითი აუქციონის შეჩერებისა და შეწყვეტის დაუშვებლობა

— „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი დაუშვებლად მიიჩნევს აუქციონის შეჩერებასა და შეწყვეტას, კანონის 70-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 2 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-681 (კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ნოტარიუსის მიერ გაიცა სააღსრულებო ფურცელი მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე, რის გამოც მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენდა სადაც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შენარჩუნება. პალატის განმარტებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ძალაში ყოფნისა, მოსარჩელის ინტერესის დაკმაყოფილება მოცემული დავის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კერძო აღმასრულებელმა და შემდგომში აღსრულების ეროვნულმა ბიურომ კანონიერად და სწორად განახორციელა სააღსრულებო ფურცლის აღსრულებისათვის საჭირო პროცედურები, ხოლო მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა, კანონით დადგენილი საშუალებებით გაცნობოდა აღსრულებასთან დაკავშირებით მომავალში განსახორციელებელ

ცალკეულ ქმედებას და ვებგვერდის საშუალებით მიეღო ინფორმაცია აუქციონის მიმდინარეობის შესახებ.

პალატამ დაუშვებლად მიიჩნია იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, ასევე სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.⁵¹ მოცემულ შემთხვევაში კი, დადგენილია, რომ პროკურორის მხრიდან ასეთი მიმართვა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენილი არ ყოფილა. პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც კანონიერად იყო მიჩნეული აღმასრულებლის ქმედებები და სადაც განკარგულება, რომელიც აუქციონის შედეგს წარმოადგენდა, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა აუქციონის შედეგების გაუქმების თაობაზეც.

მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის გზით განკარგვის კანონიერება

– სააღსრულებო წარმოებათა შესახებ “ კანონის 32-ე, 42-ე და 44-ე მუხლები

ქონების კუთვნილებისა და დარღვეული უფლებების აღდგენის შესახებ დავა შეიძლება წარმოიშვას იმ სააღსრულებო მოქმედებების შესრულების დროს, რომლებიც დაკავშირებულია ქონებაზე გადახდევინების მიქცევასთან და ქონებაზე ყადაღის დადებასთან, როცა აღსრულებით ილახება იმ მესამე პირთა ქონებრივი ინტერესები, რომლებიც არ არიან მხარეები სააღსრულებო წარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 9 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-10 (კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

⁵¹ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს სარჩელი სააღსრულებო ბიუროს განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ იმ საფუძვლით, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა დაუშვებელი იყო და დარღვეულ უფლებებში აღდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველზე. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოვალისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეეხებოდა იმ ტიპის მოძრავ ქონებას, რომელიც აღმოჩენილი იყო მოვალესთან, მაგრამ მესამე პირს მასზე გააჩნდა უფლებები. ასეთ შემთხვევაში აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეეძლო დაევალებინა მოვალეს თავისი ქონების ნუსხის წარმოდგენა, ასევე ინფორმაცია ამ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ. ქონების ნუსხაში მოვალემ უნდა მიუთითოს აგრეთვე მესამე პირის მიმართ თავისი მოთხოვნის საფუძველი და მტკიცებულებები და ასევე ის ქონება, რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვს მას მესამე პირის მიმართ. აღსრულების ეროვნული ბიურო კი ვალდებული იყო შეამოწმოს მოვალის მონაცემების სისწორე და სისრულე. მოცემულ შემთხვევაში, კონკრეტული ქონება იმყოფებოდა არა მოვალის ან მოვალესთან დაკავშირებული მესამე პირის, არამედ განსახილველ სააღსრულებო წარმოებასთან შემხებლობაში არ მყოფი პირის მიწის ნაკვეთზე და მის საკუთრებაში. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ მოვალესთან აღმოჩენილი ქონების მიმართ და მოვალესთან საერთოდ შემხებლობაში არ მყოფი პირის საკუთრებაში აღმოჩენილი ქონების მიმართ დადგენილი მოთხოვნები, რაც თავის მხრივ, არ იძლევა არსებითად იდენტური მიდგომის განვითარების შესაძლებლობას. ასეთ პირობებში, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადაც განკარგულება მოსარჩელის მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის გზით განკარგვის ნაწილში უკანონოა და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

ხანდაზმულობის მოტივით სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისა და სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების კანონიერება

— „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აღმასრულებელმა უნდა განსაზღვროს მოთხოვნათა ხანდაზმულობის საკითხი მატერიალური სამართლის მიხედვით; ხანდაზმულია თუ არა მოთხოვნა, უნდა დადგინდეს ხანდაზმულობის დამადასტურებელ და გამომრიცხავ გარემოებათა დამდგენი მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის გზით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-66 (კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

მოცემულ საქმეზე მოსარჩევეთა ინტერესი უკავშირდებოდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის აღსრულებას. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურომ მიიჩნია, რომ გასულია აღსასრულებელი სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, ამასთან, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 10 წელი. საკასაციო პალატის განმარტებით, დავის გადაწყვეტის მიზნით, განსახილველ შემთხვევაში, ერთი მხრივ, უნდა დადასტურდეს კანონით დადგენილ ვადაში სააღსრულებო წარმოების დაწყების ფაქტი, ხოლო მეორე მხრივ, სააღსრულებო წარმოების დაწყებულად მიჩნევის შემთხვევაში — აღსრულების ვადის გასვლის გამო სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძვლის არსებობა, ასევე უნდა შეფასდეს — აქვს თუ არა ადგილი სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის აღსრულების შეუძლებლობას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაფასებელია — განპირობებულია თუ არა ურთიერთობის მონაწილის მხრიდან კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში სათანადო ზომების მიუღებლობა, უფლების რეალიზებისადმი ინტერესის დაკარგვით, ხოლო ხანდაზმულია თუ არა მოთხოვნა, უნდა დადგინდეს ხანდაზმულობის დამადასტურებელ და გამომრიცხავ გარემოებათა დამდგენი მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის გზით. პალატამ განმარტა, რომ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.⁵² მოცემულ შემთხვევაში

⁵² სსკ-ის 267-ე მუხლი.

სააღსრულებო ფურცლის კანონით დადგენილ ვადაში აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენით შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, რამდენადაც უფლებამოსილმა პირმა საკუთარი მოთხოვნის დაცვის მიზნით განახორციელა შესაბამისი ღონისძიება, ხოლო თუ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.⁵³ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 142.1 მუხლით განსაზღვრული ათწლიანი ხანდაზმულობის ვადის გარდა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის რეალიზაციის დაწყების ვადას გულისხმობს, არსებობს აგრეთვე სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის კანონით განსაზღვრული ვადა, რომლის გასვლაც იწვევს უკვე დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტას. პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც კრედიტორების (კასატორების) მხრიდან არ არსებობდა დამატებითი ნების გამოვლენის ვალდებულება სააღსრულებო წარმოება, აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის პირობებში, უნდა დასრულებულიყო იმავე წარმოების ფარგლებში. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს სახელით მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მათ უპირობო და სავალდებულო შესრულებას. სასამართლო აქტების ეფექტური აღსრულების განხორციელების აუცილებლობა დადგენილია როგორც ეროვნული, ისე ევროპული სასამართლო პრაქტიკით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა უსაგნოს ხდის სააღსრულებო წარმოებას, რასაც შედეგად მოსდევს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მძიმე შედეგი – მართლმსაჯულების აღუსრულებლობა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააღსრულებო ბიურომ ვერ უზრუნველყო მისთვის კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულება – აღსრულებას დაქვემდებარებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

ხანდაზმულობის მოტივით სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების კანონიერება

- სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები;

⁵³ სკ-ის 141-ე მუხლი.

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

ერთიანი ვალდებულების მხოლოდ დროში განწილვადებული შესრულება საკმარისი არ არის განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გამოყენებისათვის. ამისათვის აუცილებელია დადგინდეს, რომ მხარეთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობა მიეკუთვნება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 ივლისის განმარტება საქმეზე №ბს-100 (კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხანდაზმულობის სტანდარტული ვადების პარალელურად, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას⁵⁴, რომლის გამოყენება ხდება ერთ შემთხვევაში, როცა დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომელიც მომავალში უნდა შესრულდეს. პალატის განმარტებით, საკითხის შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა სახის სამართლებრივი ურთიერთობაა მხარეთა შორის ჩამოყალიბებული, რა მიზნითაც არსებითია მხარეთა შორის შემდგარი და სასამართლოს მიერ დადასტურებული აქტის სამართლებრივი ბუნების შესწავლა. საკასაციო სასამართლომ დავის სამართლებრივი ანალიზის სრულყოფილი განხორციელების მიზნით, აქვე საჭიროდ მიიჩნია „სასამართლო აქტით დადასტურებული მორიგება“ გაიმიჯნოს „მატერიალურ-სამართლებრივი მორიგებისგან“. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო განჩინებით დადასტურებული მორიგების შედეგად, პროცესის მონაწილეთა შორის ჩამოყალიბდა სამართალურთიერთობის ახალი საფუძველი, დაიდო ახალი ხელშეკრულება, საიდანაც წარმოიშვა მათი მოთხოვნები და ვალდებულებები. საკასაციო სასამართლომ, მხარეთა შორის შემდგარი გარიგებიდან გამომდინარე, გამორიცხა ვალდებულებათა სიმრავლეზე მითითება და მიიჩნია, რომ სახეზეა ერთიანი

⁵⁴ სკ-ის 142-ე მუხლის მუხლის თანახმად, 1. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება; 2. თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა.

ვალდებულების დროში გაწილვადებული შესრულება, რის გამოც ვალდებულება ვერ შეფასდება „პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად“ და მის მიმართ გამოყენებადია ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა.

9. სხვა კატეგორიის დავები

სხვა ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერებასთან დაკავშირებულ დავებზე განხილულია სულ 5 საქმე, მათ შორის 3 საქმეზე მიღებულია ახალი გადაწყვეტილება, 2 საქმეზე წინა ინსტანციის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაბრუნდა ხელახალი განხილვისათვის

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება

– „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონის 32-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი

სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა დაადგინოს მოქალაქეობის შეწყვეტის გონივრული საფუძვლები, მოქალაქეობის დაკარგვა განპირობებული უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნით და აკმაყოფილებდეს პროპორციულობის პრინციპს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა ადამიანის უფლებების მომეტებული და გაუმართლებელი შეზღუდვის სარჯზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 ივნისის განმარტება საქმეზე №ბს-858 (3კ-19) <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

განსახილველ შემთხვევაში მოთხოვნას წარმოადგენდა მოქალაქეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით 2007 წლის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის დასკვნის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა კომისიის დადგენილებისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ბათილად ცნობა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოქალაქეობის დაკარგვა არ არის იურიდიული პასუხისმგებლობის ზომა, სანქციის დაკისრება ჩადენილი სამართალდარღვევისთვის, იგი იმიჯნება მოქალაქეობის ჩამორთმევისგან. მოქალაქის მიერ, თუნდაც მძიმე დანაშაულის ჩადენა ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ, არ ქმნის მოქალაქეობის ჩამორთმევის წინაპირობებს. სადაც

აქტის გამოცემის მომენტში მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად ითვალისწინებდა მოქალაქეობის დაკარგვას სხვა სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრების და არასაპატიო მიზეზით საკონსულო აღრიცხვაზე ორი წლის განმავლობაში არდადგომის შედეგად.⁵⁵ 2014 წელს მოქალაქეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა შეიცვალა, რის გამოც განხორციელდა გაეროს 1961წ. კონვენციის რატიფიცირება და ახლებულად ჩამოყალიბდა საკითხის მოწესრიგებელი რიგი ნორმები. „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ 30.08.1961წ. კონვენციის მიხედვით, მოქალაქეობის დაკარგვა მიზანშეუწონლად მიიჩნევა, უკეთუ პირი რჩება მოქალაქეობის გარეშე. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება, თუმცა მასში არ არის მითითება განსაზღვრული ქვეყნის (მაგალითად, წარმოშობის ან მუდმივი საცხოვრებლის მიხედვით) მოქალაქეობაზე, რის გამოც პირს შესაძლებლობა აქვს შეინარჩუნოს დაბადებით მოპოვებული მოქალაქეობა, ხოლო პირი ასევე არ არის შეზღუდული გახდეს სხვა ქვეყნის ნატურალიზებული მოქალაქე.

პალატამ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია შეფასდეს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი გავლენა მოქალაქეობაშეწყვეტილ პირზე, მის უფლებებზე, ყოველდღიურ საქმიანობასა და ცხოვრებაზე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის სადავო ბრძანებულების გამოცემიდან 10 წლის შემდეგ წარმომადგენლის მეშვეობით დავის წამოწყება ქმნიდა სადავო აქტის სათანადო წესით გამოქვეყნებისა და ხანდაზმულობის ვადის დაცულობის საკითხების გარკვევის საჭიროებას, რადგან მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა განხორციელდეს გონივრულობის და პროპორციულობის პრინციპის დაცვით.

⁵⁵ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30.04.2014წ. ორგანული კანონით განსხვავებულად მოწესრიგდა რიგი საკითხები, მათ შორის მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლებიდან ამორიცხა საზღვარგარეთ მუდმივად ცხოვრება და საკონსულო აღრიცხვის გაუვლელობა.

შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა

– „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები

უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 16 აპრილის განმარტება საქმეზე №ბს-370 (კ-19)⁵⁶
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიიჩნია⁵⁷. საკასაციო პალატის განმარტებით, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახე არის შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ადამიანზე.⁵⁸ საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს. ამრიგად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ინტერესების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის ხარჯზე. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, ერთმანეთს შეუპირისპიროს

⁵⁶ ანალოგიური საქმეებია: №ბს-207(კ-20)07.10.2020; №ბს-815(კ-19) 16.04.2020.

⁵⁷ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები.

⁵⁸ მავე კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება ბინადრობის ნებართვის გაცემის თუ ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

სახელმწიფო ორგანო, რომლისგანაც სერვისების განვითარების სააგენტოს შეუძლია, მიიღოს ინფორმაცია უცხოელის მიერ ქვეყნისა და საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნის თაობაზე, არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, რომელთა დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატორი და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁵⁹ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო კი არ იყო უფლებამოსილი, კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვნილი ინფორმაცია მხარეებს გააცნოს და იგი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახოს და მიიჩნია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო მოსარჩელისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 7 ოქტომბრის განმარტება საქმეზე №ბს-1294(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

⁵⁹ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისმე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისა. სახელმწიფოს მხოლოდ ობიექტური საფუძვლით შეეძლო მოსარჩევისთვის ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა, თუკი დაასაბუთებდა პირთა არაიდენტურ მდგომარეობაში ყოფნას ან განსხვავებული მოპყრობის გამართლების მიზეზებს დასახელებდა.

საქმეზე მთავარ სადაც საკითხს წარმოადგენდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების სავალდებულობა და კანონმდებლობით მისი იძულებითი აღსრულების შესაძლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. პალატამ განმარტა, რომ თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო, ყველა სხვა ანალოგიურ შემთხვევაში იგივე გადაწყვეტილება მიეღო და აღნიშნა, რომ მოსარჩევისათვის ზიანის ანაზღაურებაზე უარი განპირობებული იყო არა იმ გარემობით, რომ სახელმწიფო არ აღიარებდა მის მიმართ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, არამედ იმით, რომ ზიანის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი.

პალატამ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მხოლოდ ობიექტური საფუძვლით შეეძლო მოსარჩევისთვის ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა, თუკი დაასაბუთებდა პირთა არაიდენტურ მდგომარეობაში ყოფნას ან განსხვავებული მოპყრობის გამართლების მიზეზებს დასახელებდა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურებისთვის ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნისა და ჯარიმის დაკისრების კანონიერება

- „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის

№36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“, მე-15, მე-16 და 15¹ მუხლები.

სამედიცინო დაწესებულებაში თემატური შემოწმების დანიშვნისას გასათვალისწინებელია კონკრეტულ პერიოდში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაცია, რომლის დარღვევაც, შემოწმების სხვა ფორმალური წესების დაცვისა თუ კლინიკის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის გამოვლენის შემთხვევაშიც კი, აცლიდა სააგენტოს დარღვევაზე რეაგირებისა და შესაბამისი სანქციის გამოყენების უფლებამოსილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 დეკემბრის განმარტება საქმეზე №გს-254(კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე ძირითადად გამოვლენილი იყო ტექნიკური ხასიათის დარღვევები, არ დასტურდება, რომ ტექნიკურ ხარვეზებს მოჰყვა სამედიცინო დაწესებულებისთვის დაკისრებული უმთავრესი მოვალეობის - პაციენტთა მდგომარეობაზე სათანადო რეაგირების დარღვევა, ასევე, არ დასტურდება ისეთი ზიანის არსებობა, რასაც შედეგად აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა სამედიცინო დაწესებულების სანქცირება. ამასთან, კანონმდებლობა სადაც სამართალურთიერთობისას კონტროლის ხანდაზმულობის ვადების ხანგრძლივობას განსხვავებულად არეგულირებდა 2015 წლამდე და მას შემდეგ პერიოდებში⁶⁰, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ კონტროლის განხორციელების ვადის ათვლას ყოველთვის უკავშირებდა შემთხვევის დასრულების მომენტს. პალატის განმარტებით, ხანდაზმულობის გამოსაყენებელი ვადა შემთხვევის დასრულების მომენტისთვის მოქმედი ნორმით უნდა განისაზღვროს. შემოწმებამ სადაც შემთხვევაში მოიცვა პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შემოწმების ვადები განსხვავებულად რეგულირდებოდა. სწორედ ამიტომ, შემოწმების დანიშვნისას სააგენტოს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა კონკრეტულ პერიოდში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაცია, რომლის დარღვევაც, შემოწმების სხვა ფორმალური წესების დაცვისა თუ კლინიკის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის გამოვლენის შემთხვევაშიც კი, აცლიდა სააგენტოს დარღვევაზე

⁶⁰ „პროგრამის“ 2015 წლის 26 ოქტომბრამდე არსებული რედაქციის მე-15 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული იყო, რომ კონტროლის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შემთხვევის დასრულებიდან 3 (სამ) კალენდარულ წელს. კონტროლის 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა კი პირველად გათვალისწინებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №552 დადგენილებით („პროგრამის“ მე-15¹ მუხლის მე-2 პუნქტი).

რეაგირებისა და შესაბამისი სანქციის გამოყენების უფლებამოსილებას. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხანდაზმულობის ვადების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით 2015 წლის ცვლილება, უკუმალის თაობაზე დათქმას არ შეიცავდა, რის გამოც სააგენტო შემოწმების პერიოდისათვის აღარ იყო უფლებამოსილი, დაენიშნა 28.02.2013-დან 29.05.2014-ს ჩათვლით პერიოდის შემოწმება. ამასთან მნიშვნელოვანია, შეფასდეს გამოვლენილი დარღვევების ფაქტობრივი შემადგენლობა და ხასიათი. საკასაციო პალატამ გაითვალისწინა რა პასუხისმგებლობის დაკისრების მარეგულირებელი ნორმების ამოქმედების პერიოდი და მოსარჩელის შემოწმების პერიოდის მხედველობაში მიღებით, მიიჩნია, რომ კლინიკას სანქცია არ უნდა დაკისრებოდა მკაცრი აღრიცხვის ფორმების არასათანადოდ წარმოებისთვის.

კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინიჭების კანონიერება

— „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე №ბს-268 (კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის შეცვლის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების კანონიერებასთან დაკავშირებით დავაზე, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებას იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა და მის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთისათვის ფუნქციური ზონის ცვლილებაზე. საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე იმ საფუძვლით, რომ მითითებული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით, მოქცეულია სატრანსპორტო ზონაში და სარეკრეაციო ზონაში და მასზე

საკუთრების უფლების აღიარება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. საკასაციო პალატის განმარტებით, სახელმწიფოს მიერ სამშენებლო მიზნით მიწის ნაკვეთის განკარგვა და მოგვიანებით ამ მიწის ნაკვეთისთვის იმგვარი ფუნქციური ზონის განსაზღვრა ხელს უშლის მის მიერვე გამოცემული აღმჭურველი შინაარსის გადაწყვეტილების აღსრულებას, ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერი მმართველობის პრინციპს. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ გამოყენების მიზნით იქნა გადაცემული მოსარჩელის მამკვიდრებლისთვის, შესაბამისად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან ერთად მისი სამშენებლოდ გამოყენების უფლება გადაეცა მოსარჩელეს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღრიცხვისას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადაც განკარგულებით დაცული იყო მხოლოდ საჯარო ინტერესები, თუმცა საქმეზე სათანადო გადაწყვეტილების მიღება კი სწორედ ინტერესთა თანაფარდობისა და შესაბამისი ბალანსის დაცვის შედეგად უნდა იქნეს მიღებული. ადმინისტრაციული ქმედების დროს საჭიროა ურთიერთსაპირისპირო ინტერესების ერთმანეთთან სწორი ურთიერთშეფარდება. პალატის განმარტებით, ლანდშაპტურ-სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინიჭებით მოსარჩელეს ეკრძალებოდა მშენებლობის წარმოება მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ვინაიდან ამ სტატუსის მინიჭება გულისხმობს, რომ მიწის ნაკვეთის განვითარება უნდა მოხდეს სარეკრეაციო მიზნებისთვის და ნაკვეთი გამოყენებული უნდა იქნეს საზოგადოებრივ სივრცედ, რაც, შესაძლოა, აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას წარმოადგენდეს, თუმცა, იმ ხარისხით ზღუდავს საკუთრების უფლებას, რომ შინაარსს უკარგავს მას, რადგან საკუთრება სარგებლობის უფლების გარეშე მხოლოდ ფორმალურად რეგისტრირებულ უფლებად იქცევა. ასეთ პირობებში, ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახალი წარმოების ფარგლებში უნდა იმსჯელოს და დაასაბუთოს მოსარჩელის მიერ მის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებულ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის შეცვლის შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობაზე.

უმაღლესი განათლების მიღების ფაქტის აღიარება სასამართლოს მიერ

- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 25¹ მუხლის პირველი პუნქტი;
- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები

წარსულში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებაზე უარის თქმა სწავლის შედეგების ფაქტობრივი გაბათილებაა და ავტომატურად არ შეიძლება გახდეს ფიზიკური პირის მიერ უკვე მოპოვებული შრომის უფლების შეზღუდვის საფუძველი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 23 დეკემბრის განმარტება საქმეზე №პს-121(კ-20)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

წარსულში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებასთან დაკავშირებით დავაზე შეფასების საგანს წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ 1993-1997 წლებში, მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება. კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი საარქივო დოკუმენტაცია თბილისის ცენტრალურ არქივში არ იყო დაცული, რის გამოც არქივი მოკლებული იყო შესაძლებლობას წარედგინა მოსარჩელის მიერ უმაღლეს დაწესებულებაში სწავლების ფაქტის შესახებ ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ წარსულში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარება/არაღიარების საკითხი მხარისათვის აღმჭურველი ბუნებისაა, რომლის საფუძველზეც დაინტერესებულ მხარეს გარკვეული უფლებამოსილება ენიჭება. შესაბამისად, უმაღლესი განათლების აღიარებაზე უარი სამართლებრივი შედეგებით უთანაბრდება აქტის გაუქმებას და ამ დოკუმენტის მიმართ სრული მოცულობით ვრცელდება კანონიერი ნდობის დამცველობითი ფუნქცია. საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ წარსულში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებაზე უარის თქმა სწავლის შედეგების ფაქტობრივი გაბათილებაა და ავტომატურად არ შეიძლება გახდეს ფიზიკური პირის მიერ უკვე მოპოვებული შრომის უფლების შეზღუდვის საფუძველი. პალატის განმარტებით, განათლების მიღების ფაქტის დადგენის მიზნებისათვის, პირის მიერ პროგრამის სრულად გავლა და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმით/ბრძანებით ან/და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო უურნალით ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სხვა სახის დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი არასაკმარისი მტკიცებულები (სტუდენტის ბილეთი და მოწმეთა ჩვენება), ასევე, დასადგენია, მუშაობდა თუ არა მოსარჩელე იმ კვალიფიკაციით, რაც სტუდენტის ბილეთშია მითითებული და აღნიშნულის საფუძველზე, ახორციელებდა თუ არა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე მოქმედებას. საკასაციო პალატამ გაითვალისწინა ის

გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს ან შეაფასოს მტკიცებულებები და საქმე დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის.

10. პროცესუალურ-სამართლებრივი საკითხები

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი

გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2020 წლის 22 ივლისის განმარტება საქმეზე №პს-1377(კ-19)
<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

სადავო მიწის ნაკვეთით მფლობელობასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის კომისიის აქტის ბათილად ცნობის შესახებ ერთ-ერთ დავაზე სააპელაციო პალატამ საქმე განიხილა კოლეგიური შემადგენლობით, თუმცა განჩინება არ იყო ხელმოწერილი ყველა მონაწილე მოსამართლის მიერ. პალატამ განმარტა: თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, გადაწყვეტილებას აყალიბებს ამ სასამართლოს თავმჯდომარე ან ერთ-ერთი მოსამართლე, ხოლო ხელს აწერს ყველა მოსამართლე, რომლებიც მის დადგენაში მონაწილეობდნენ, მათ შორის, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე. ასეთი ვალდებულების დარღვევა კი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. მოსამართლე ხელმოწერით ადასტურებს დოკუმენტში მითითებული გარემოებებისა და სასამართლოს აქტით გათვალისწინებული მოწესრიგების ნამდვილობას, მატებს მას ლეგიტიმაციას, აძლევს საბოლოო სახეს და ამცირებს სასამართლოს აქტის გაყალბების რისკებს. მხოლოდ სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტი იწვევს იურიდიულ შედეგებს. სწორედ ამიტომ,

„სასამართლო გადაწყვეტილება საპროცესო დოკუმენტად ჩაითვლება მხოლოდ მის დადგენაში მონაწილე ყველა მოსამართლის მიერ ხელმოწერის შემდეგ, ასეთი ხელმოწერის არარსებობას უკავშირდება იგივე პროცესუალური შედეგი, რაც საქმეში სასამართლო გადაწყვეტილების არარსებობას, ანუ ითვლება, რომ საქმეზე გადაწყვეტილება არ იყო დადგენილი“.⁶¹

დასკვნა

მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე საქმეში მონაწილე ყველა პირის თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ნორმის განმარტებისას სასამართლო არ გასცდეს კანონის ფარგლებს. სასამართლო განმარტავს სამართლის ნორმებს, მაგრამ არ ქმნის მათ. მართლმსაჯულება შებოჭილია კანონით. აღნიშნული ძირითადი პრინციპი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გააჩნია კანონშემოქმედებითი ფუნქცია, იგი ახდენს მხოლოდ ნორმის განმარტებას შესაბამისი კანონის ფარგლებში.

როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში არის აღნიშნული, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი, ამიტომ სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით და გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში.

⁶¹ ოს. სუსგ №გს-53-52(პ-06) 22.05.2006.

კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს, კერძოდ, ყოველი ნორმა განმარტებული უნდა იქნეს არა ფრაგმენტულად, არამედ სისტემური და ტელეოლოგიური მეთოდებით, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს - გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს - ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა განყენებულად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს - გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ნორმის განმარტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოწესრიგების მიზანი, ნორმა უნდა განიმარტოს სხვა ნორმებთან კავშირში და არა იზოლირებულად. ნორმის მხოლოდ გრამატიკული განმარტება, როგორც წესი არ იძლევა მისი რეალური შინაარსის სრულად წვდომის შესაძლებლობას.

ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს - ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს - გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა.

მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არამხოლოდ პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ჯეროვანი და ეფექტური მართლმსაჯულება მიიღწევა არა მხოლოდ სასამართლოს მიერ კონკრეტული კონფლიქტების გადაწყვეტის, არამედ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების დროული აღსრულების უზრუნველყოფით.